გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
11 თებერვალი ხუთშაბათი 2010
№033 (13021) ფასი 60 თეთრი



# ცრემლიანი განშორება

## მერებაშვილმა დინამო დატოვა

## ნაკლები ფულით, მაგრამ ევროპული პერსპექტივით. მერებაშვილმა, შუალედური კლუბი მჭირდებოდაო...

ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა კი დაიხურა, მაგრამ ფიფას ჩარევით თბილისის „დინამოს" ლიდერმა გიორგი მერებაშვილმა ნოვი სადის (სერბეთი) „ვოივოდინასთან" ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ნოვისადელებს ადგილობრივ ჩემპიონატში მესამე ადგილი უკავიათ. შეგახსენებთ, რომ „ვოივოდინაში" თბილისის „დინამოს" კიდევ ერთი ყოფილი ლიდერი მიხეილ ხუციშვილი თამაშობს.

იმ დროს, როცა მერებაშვილის გაცილებით მაღალი რანგის ჩემპიონატში გადასვლას ველოდებოდით, რატომ სერბეთი? ამის შესახებ გიორგი გულახდილად გვესაუბრება...

**- „ვოივოდინასთან" კონტრაქტი როგორ გააფორმეთ? სერბული კლუბის წარმომადგენელი ესტუმრა თბილისს?**

- ტელეფონით ვისაუბრეთ. კონტრაქტი კი ფაქსით გამომიგზავნეს და აქ მოვაწერე ხელი. ორწლინახევრიანი ხელშეკრულებაა. ეს ვარიანტი „გაგრასთან" მატჩამდე შემომთავაზეს და იმდენად მოულოდნელი იყო, თავი შევიკავე და რაკი სატრანსფერო ფანჯარაც დახურული იყო, გარიგება უკვე ჩაშლილიც მეგონა. თუმცა სერბები კონტრაქტს ჯიუტად მოითხოვდნენ. თურმე, „ცრვენა ზვეზდასთან" მნახეს და კლუბის პრეზიდენტმა ჩემს ტრანსფერზე ზრუნვა მაშინვე დაიწყო. თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობაც ემხრობოდა ამ ნაბიჯს, წინადადებას და მეც დავთანხმდი. ფეხბურთში ჩახედული ადამიანი მიხვდება, რომ ბალკანელები დიდ ფულს ვერ შემომთავაზებდნენ. შემიძლია გითხრათ, რომ ევროპული კლუბის კვალობაზე საკმაოდ მცირე ანაზღაურებას დავთანხმდი. თუმცა „ვოივოდინას" ხელმძღვანელობა შემპირდა, რომ გუნდში დამკვიდრების შემთხვევაში, 6 თვეში ევროპის ერთ-ერთ ცნობილ კლუბში გამიშვებენ. „ვოივოდინა" ასე მუშაობს და ჩემთვის ეს დიდი სტიმულია.

**- კონტრაქტი რომ ორწლინახევრიანია?**

- კი, მაგრამ ეს კლუბის სტრატეგიას ვერ შეცვლის. „ვოივოდინა" ფეხბურთელებს ზრდის და ძლიერ ევროპულ კლუბში ყიდის. ევროპელი სელექციონერები სერბეთს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ამას გარდა, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო რაღაც შუალედური ტრამპლინი, ანუ ისეთი კლუბი, სადაც უფრო მაღალ დონეზე სათამაშოდ მოვემზადებოდი. იყო რამდენიმე საინტერესო ვარიანტიც - სამი თურქული კლუბი მიწვევდა, ერთ-ერთი „ბურსასფორი" იყო. ან თუნდა ბრემენის „ვერდერი", ათენის „პანათინაიკოსი", სალონიკის პაოკ, ბელგიის „ანდერლეხტი"... ზოგმა „დინამოს" ფინანსური მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. განსაკუთრებით ხარკოვის „მეტალისტი" აქტიურობდა. არ დავმალავ - ამ გუნდში გადასვლა ძალიან მაფრთხობდა. მე ტექნიკური ფეხბურთელი ვარ, ხარკოველები კი, ისევე, როგორც უკრაინული გუნდების უმრავლესობა, ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობს. მოკლედ, ჩემი სტილის გუნდი არ იყო, ფეხბურთელის კარიერისთვის კი გუნდის სწორად შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რაკი ცხოვრებისეული არჩევანის წინაშე ვიდექი, ბევრი ვიფიქრე და ბოლოს სერბეთი ვამჯობინე - ნაკლები ფულით, მაგრამ ევროპული პერსპექტივით. სერბებმა ფეხბურთელების მომზადება კარგად იციან. სხვათა შორის, კონტრაქტი დღეს გავაფორმე, ფიფაში კი ვერ დაარეგისტრირეს, რადგან სამუშაო საათები დასრულებული იყო. თუმცა, წესით, ფორმალური მხარე ხვალ უნდა დასრულდეს. „ვოივოდინამ" ფიფას წინასწარ აცნობა, კონტრაქტის გაფორმებას რომ ვაპირებდით და მგონი, ტრანსფერი განხორციელდება. სხვათა შორის, სატრანსფერო ფანჯარა დახურული იყო, როცა „ვოივოდინას" პრეზიდენტმა ფიფას სთხოვა - ერთი დღეც მოგვეცითო და მოულოდნელად თანხმობა მიიღო... გულწრფელად გეუბნებით, სინანულის გრძნობა დამეუფლა - „დინამო" ხომ ჩემი ოჯახივით იყო, აქ უზარმაზარი გამოცდილება და სამეგობრო შევიძინე. რაღა დაგიმალოთ და, თვალზე ცრემლები მომადგა. კლუბს, ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებსა და ჩვენს გულშემატკივრებს, „გლადიატორებს", მადლობა იმ დიდი სიყვარულისთვის, რასაც მათგან წლების განმავლობაში ვგრძნობდი.

მერაბ მამულაშვილი



## მათ ადგილზე, მე საქართველოს უყოყმანოდ ავირჩევდი

>> გვერდი 5

## გაბელიას სია და ჩანაფიქრი

## ათოვდა ზამთრის მოედნებს

## არ ვიფიქროთ რეფორმაზე?

>> გვერდი 3



## ხიზანიშვილის სრული დებიუტი და ლადოს კიდევ ერთი გაბრწყინება

ლეგიონის ამბები

>> გვერდი 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანი ვიზიტი

## ნახავენ, შეაფასებენ, მოახსენებენ...

### უეფადან ტორესი და კლიმენტი გვეწვივნენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ უეფას ექსტრადახმარება რომ სთხოვა, ამაზე ადრეც ვწერდით. ევროპული ფეხბურთის თავკაცებს დამატებით დახმარებაზე უარი არ უთქვამთ, თუმცა მანამდე იმ ობიექტების მონახულება ითხოვეს, რომელიც უეფას პროგრამა „ჰეთ თრიკის" დაფინანსებით უნდა დასრულებულიყო. დიახ, უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო, არ დასრულებულა და უეფას თავად სურს, მოინახულოს ეს ობიექტები და მიზეზებშიც გაერკვეს.

სწორედ ამ მიზნით ჩამოფრინდა გუშინ თბილისში უეფას ორი ჩინოსანი. კერძოდ - ორგანიზაციის ეროვნულ ასოციაციათა განვითარების დეპარტამენტის შეფი **პასკალ ტორესი** და პროგრამა „ჰეთ თრიკის" ხელმძღვანელი **ჟოზეფ კლიმენტი**. აეროპორტში მათ ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** დახვდნენ.

ტორესი და კლიმენტი დღეს დილიდან იმ ობიექტებს მოინახულებენ, სადაც სამუშაოები უეფას პროგრამა „ჰეთ თრიკის" დაფინანსებით მიმდინარეობს. ლაპარაკია რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე, ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე", საგურამოს ბაზასა და „ვიტ ჯორჯიას" სტადიონზე (მცხეთაში). სტუმრები არსებულ მდგომარეობას შეაფასებენ და ანალიზს უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** წარუდგენენ. შესაბამისად, უეფას საბოლოო გადაწყვეტილებაც (ექსტრადახმარების თაობაზე), მნიშვნელოვანწილად ამ ვიზიტზე იქნება დამოკიდებული. ტორესი და კლიმენტი მედიის კითხვებს დღეს 12 საათზე, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" უპასუხებენ, თბილისიდან კი ხვალ გაემგზავრებიან.

**დავით ცაბაძე**

U 17

## 13 მარტს გერმანიასთან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, **რევაზ არველაძის** თქმით, საბოლოოდ გადაწყდა გერმანიისა და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებების ამხანაგური მატჩის ჩატარება. ამ თემაზე მკითხველი წინა დღეებშიც იყო ინფორმირებული. ვწერდით, რომ შეხვედრა მარტის პირველ ნახევარში გაიმართებოდა, ახლა კი დაზუსტებითაა ცნობილი, რომ **გიორგი დევდარიანის** გუნდი გერმანელებთან ძალებს 13 მარტს მოსინჯავს.

მატჩი გერმანიაში ჩატარდება, გასარკვევია მხოლოდ შეხვედრის გამართვის ადგილი. გერმანიის საფეხბურთო კავშირი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ამის შესახებ რამდენიმე დღეში აცნობებს.

მართალია, საქართველოს ნაკრები სხვა ფორმაციის გუნდს შეხვდება, მაგრამ მაინც ალსანიშნავია, რომ გერმანელმა 17-წლამდელებმა ევროპის წინა ჩემპიონატზე გაიმარჯვეს. ქართველთათვის ეს სპარინგი უდავოდ სასარგებლო გამოდგება. იმ დროისთვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდი მოახლოებული იქნება და ჩვენი გუნდის მომზადების დონე გერმანიაში კარგად გამოჩნდება. გერმანიიდან საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, სავარაუდოდ, ავსტრიაში გადაინაცვლებს, სადაც ელიტრაუნდის წინ ბოლო შეკრებასა და სპარინგმატჩებს ჩაატარებს. ავსტრიიდან კი ჩვენი გუნდი ჩეხეთში გადავა და ელიტრაუნდში ჩაერთვება.

როგორც იცით, ქართველი 17-წლამდელები ამჟამად ბელგიაში იმყოფებიან, სადაც გუშინწინ მასპინძელთა ნაკრებთან ფრედ, 1:1 ითამაშეს. ბელგია-საქართველოს მეორე ამხანაგური შეხვედრა დღეს გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი



ზურაბ ხიზანიშვილი პლიმუთთან მატჩში

## სრული დებიუტი და ქების სიტყვები

საქართველოს ნაკრების 28 წლის მცველმა **ზურაბ ხიზანიშვილმა** კარიერაში პირველად ითამაშა „რედინგის" სასტარტო შემადგენლობაში. შეგახსენებთ, რომ ზურაბი „ბლექბერნმა" სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა ინგლისური ჩემპიონშიპის ერთ-ერთ აუტსაიდერ კლუბში, მაგრამ აქამდე ხიზანიშვილის ანგარიშზე მხოლოდ ერთი თამაში იყო, ისიც შეცვლაზე. „რედინგი" ხიზანიშვილისთვის მე-5 ბრიტანული გუნდია „დანდის", „რეინჯერსის", „ბლექბერნისა" და „ნიუკასლის" შემდეგ. ხიზანიშვილის ახალი კლუბი ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უშუალო კონკურენტ „პლიმუთთან" შეხვედრას, რომელიც **შეინ ლონგის** მიერ ბოლო წუთზე გატანილი პენალტის წყალობით „რედინგმა" 2:1 მოიგო. ამ გამარჯვების შემდეგ „როიალსი" ქულით მიუახლოვდა სამშვიდობო ზონას, „რედინგს" ახლა 32 ქულა აქვს და 22-ე ადგილზეა.

სტადიონზე 16 ათასამდე გულშემატკივარი შეიკრიბა, მათ შორის 1,5 ათასი სტუმართა გუნდის ფანი იყო. ხიზანიშვილი დაცვის ცენტრში ათამაშეს. მეორე ტაიმის დასაწყისში ირლანდიის ნაკრების ფორვარდმა ლონგმა გახსნა ანგარიში, მაგრამ **კარლ ფლეტჩერმა** გაათანაბრა. თამაში თითქოს ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ბოლო წუთზე შეცვლაზე შესულმა **ჰალ რობსონ-კანუმ** პენალტი მოიპოვა და ლონგს დუბლის შესრულების შანსი მისცა. „რედინგმა" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო ჩემპიონშიფში. „როიალსის" ოფიციალური საიტი წერს, რომ არა ლონგის გმირობა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ზურაბ ხიზანიშვილს ეკუთვნოდა.

*„ვფიქრობ, რომ კარგად ვითამაშეთ. ჩვენ დამსახურებულად გავედით წინ, თუმცა მეტოქემ შეძლო გათანაბრება. შემდეგ რეფერიმ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა „პლიმუთის" კარში პენალტი დანიშნა და ჩვენ მნიშვნელოვანი 3 ქულა შევიმატეთ. მართალია, ცოტა დაგვიგვიანდა, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიეთ. თამაშის დროს ერთმანეთს ვეუბნებოდით, რომ ამ თამაშის წაგება არ შეიძლებოდა. როგორც კი „რედინგისგან" მივიღე შემოთავაზება, ეგრევე დავთანხმდი. კარგად ვიცნობ გუნდს, მომწონს საწვრთნელი ბაზა, ბიჭები ძალიან კარგები არიან, აქ ყოფნა ჩემთვის ახლა ძალიან კარგია. მომავალი მატჩი „ვესტ ბრომვიჩის" წინააღმდეგ გვაქვს, იმედია, ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ და შემდეგ ეტაპზე გავალთ",* - განუცხადა ზურამ „რედინგის" ოფიციალურ საიტს.

„ვესტ ბრომვიჩთან" ჩვენი თანამემამულე არ იქნება, რადგან ეს სათასო შეხვედრაა და ამ სეზონში ხიზანიშვილს „ბლექბერნის" შემადგენლობაში აქვს ნათამაშები. მწვრთნელი **მაკდერმოტი** კმაყოფილი დარჩა ხიზანიშვილის დებიუტით:

*„მან ძალიან კარგად ითამაშა, ერთი-ორჯერ მხრით ჩამოილო ბურთი და ჩვენი შეტევა დაიწყო. კარგ პასებს აკეთებდა. მე მისი თამაშით კმაყოფილი ვარ, ყველამ ნახა, რომ ხიზანიშვილი მაღალი დონის ფეხბურთელია".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონი

## ლადოდუბლი: 2+2

### დარასელია ისრაელის მოქალაქე გახდა

**ლადო დვალიშვილის** ანგარიშზე 2010 წელს უკვე ოთხი დუბლია, ამჯერად ჰაიფას „მაქაბის" ფორვარდმა თავი ისრაელის თასზე გამოიჩინა. ჩემპიონი ჰაიფაში ლეუმითლიგის ქვარ სავას „ჰაპოელს" თასის მე-8 ეტაპზე შეხვდა და 5:0 გაანადგურა. ამით დვალიშვილის გუნდი მერვედფინალში გავიდა. ლადომ მე-3 და მე-5 გოლები გაიტანა, შესაბამისად 51-ე და 82-ე წუთებზე, ქართველის ანგარიშზე ორი საგოლე პასიცაა, ერთი გოლი კი **შლომი არბეიტმანმა** ლადოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიტანა.

კლუბში კიდევ ერთი სიახლეა, რომელიც **ლევის** ასისტენტ **გიორგი დარასელიას** ეხება - ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გიორგის და მის ორ ვაჟს, **გიორგის** (17 წლის) და **გიგის** (12 წლის) ისრაელის მოქალაქეობა მისცა. დარასელიამ ეს ქვეყანაში 14-წლიანი მოღვაწეობით და ცხოვრებით დაიმსახურა. *„მე და ჩემი შვილები ვამაყობთ, რომ ისრაელის მოქალაქეები ვართ. ჩვენ დიდი ხანი ველოდით ამ დღეს, ჩვენ გვიყვარს ეს ქვეყანა, თავს ამ ქვეყნის ნაწილად მივიჩნევთ და ყველაფერს გავილებთ სამშობლოსთვის",* - განუცხადა დარასელიამ „მაქაბის" ოფიციალურ საიტს.

სათასო შეხვედრებიდან ჩვენთვის სხვა მატჩებიც საინტერესო იყო. მერვედფინალში გავიდა ლეუმითლიგის „ბნეი ლოდი", რომელიც მარმორეკის „ჰაპოელს" ეწვია და 2:0 მოუგო. გამარჯვებულთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გიორგი გაბიდაურმა**, დამარხებულებში არ გამოჩენილა **ლევან ჯღარკავა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


გიორგი დარასელია


დვალიშვილი მორიგ დუბლს აღნიშნავს

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ათოვდა ზამთრის... მოედნებს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრამ და საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეების „გაცნობამ“, ცოტა არ იყოს, უკანა პლანზე გადაწია ეროვნული ჩემპიონატის განახლება. არადა, მეორე ეტაპის საწყის ტურზე სათქმელი, მართლაც, რომ ბევრია; თან, იმის მიუხედავად, ტური რომ არასრული გამოდგა - უამინდობის გამო ორი შეხვედრა გადაიდო. სამაგიეროდ, სამივე დანარჩენ მატჩზე საუბარი მეტ-ნაკლებად დაწვრილებით ღირს; ჰო, სამივე არაერთგვაროვანი შეხვედრა იყო, მაგრამ საერთო ტენდენცია ყველგან შეინიშნებოდა: მეორე ეტაპის საწყის ტურში მონაწილე ექვსივე გუნდში უამრავმა ახალწვეულმა იასპარეზა! ერთი მხრივ, ეს ამბავი არც უნდა გაგვკვირვებოდა - ჩვენი გუნდების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ყოველ ნახევარ წელიწადში, ფაქტობრივად, სანახევროდ ცვლის ძირითად შემადგენლობას. ანუ, ხშირ შემთხვევაში, უკვე ის ფაქტი არის ხოლმე საკვირველ-უცნაური, როცა კონკრეტული ფეხბურთელი ერთი სეზონის განმავლობაში... გუნდს არ შეიცვლის...

ასეა თუ ისე, მეორე ეტაპი... არასრულად, მაგრამ მაინც განახლდა; თან, დიდთოვლობის გამო ორი გადადებული შეხვედრის მიუხედავად, სხვა „უცნაურობებიც“ ახლდა საწყის ტურს: ერთ მატჩში დაფიქსირებული ყველასათვის მოულოდნელი შედეგი, მეორე შეხვედრის შემდეგ ატეხილი არასასიამოვნო აჟიოტაჟი, „დინამოს“ შთამბეჭდავი გამარჯვება და ასე შემდეგ. მოკლედ, ისეთი სიტუაციაა, თანმიმდევრულად რომ სჯობს მივყვეთ, ოღონდ, ჯერ გადადებულ მატჩებზე გვინდა ვისაუბროთ.

## გაზაფხული-შემოდგომა: ხომ არ გადავსულიყავით?

შაბათ დილით მოსულმა თოვლმა ერთდროულად ორი მატჩის გადადება გამოიწვია: იმ დღეს რუსთავში ადგილობრივ „ოლიმპს“ ზუგდიდის „ბაიასთვის“ უნდა ემასპინძლა, ხოლო კვირას ამავე არენაზე „ვიტ ჯორჯია“-„სამტრედიას“ შეხვედრა ჩატარებულიყო. არადა, შაბათს, თამაშის დაწყებამდე დაახლოებით საათ-ნახევრით ადრე მისულთ „ფოლადის“ სტადიონი ერთიანად გადათეთრებული დაგვხვდა - თოვლის საფარი 18-20 სანტიმეტრს აღწევდა. როგორც წესი და რიგია, მატჩის დელეგატმა და მსაჯებმა სტადიონის დირექციასთან ერთად საგანგებო ოქმიც შეადგინეს - ასეთ საფარზე თამაშის ჩატარება, მართლაც გამორიცხული იყო. რაღა თქმა უნდა, იმწუთას, გაჩნდა კითხვა: ნუთუ, თოვლისგან მოედნის გაწმენდა შესაძლებელი არ იყო? აი, ვთქვათ, როგორც იმავე დღეს ეროვნულ სტადიონზე მოხდა, სადაც სარაგბო მატჩი უნდა ჩატარებულიყო. სამწუხაროდ, რუსთავის სტადიონის ახალდაგებული ხელოვნურსაფრიანი მოედნის თოვლისგან გაწმენდა... „მამაპაპური“ ნიჩბებით, უბრალოდ, შეუძლებელი იყო! სტადიონის დირექციამ ერთ მონაკვეთზე სცადა კიდეც ამის გაკეთება, მაგრამ კიდევ კარგი, დროზე მიხვდნენ ფუჭ და საზიანო საქმეს რომ შეეჭიდნენ - თოვლთან ერთად ნიჩაბს... ბალახის საფარიც მოჰყვებოდა! მოკლედ, როგორც აღმოჩნდა, ხელოვნურსაფრიან მოედანსაც ჰქონია „საკუთარი კაპრიზები“; თუმცა, მეორე მხრივ, ალბათ, სხვა გამოსავალიც არსებობს - იმავე რუსეთში, სადაც წელიწადის განმავლობაში თოვლი ჩვენზე ხშირად მოდის, ხელოვნურ მოედნებზე მოასპარეზე გუნდებს პრობლემები არ ექმნებათ. ამისათვის კი თურმე თოვლის საწმენდი სპეციალური მანქანა ყოფილა საჭირო, რომლის შეძენაც, რაღა თქმა უნდა, გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ეგ კი არა, კიდევ კარგი, თოვა მეორე დღისთვის შეწყდა, თორემ მერე ყველას იმის ლოდინი მოგვიწევდა, ეს თოვლი როდის გადნებოდა; თან, რაც მთავარია, ისიც უნდა გვენატრა, ყინვას არ „დაერტყა“ და მერე ხომ, საერთოდ...

...როგორც საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის საშეჯიბრებო კომიტეტის ხელმძღვანელმა **ნოდარ კაკულიამ** გვითხრა, XIX ტურის ორივე გადადებული შეხვედრა სავარაუდოდ 9-10 მარტს ჩატარდება. ახლა კი, მართლაც ყველამ უნდა ვინატროთ, რომ რუსთავს დიდთოვლობა კიდევ არ დაატყდეს, თორემ კიდევ ერთი „სარეზერვო დღე“ კალენდარში აპრილშიღაა გათვალისწინებული. საერთოდ კი უამინდობის გამო წარმოქმნილმა ამ პრობლემებმა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა ჩემპიონატის არა მხოლოდ კალენდრის, არამედ... ფორმატის ავკარგიანობაზეც. გასაგებია, რომ ოთხწრიანი ჩემპიონატი შემჭიდროებულ გრაფიკს ითხოვს: გინდა-არ გინდა, აგვისტოზე ადრე პირველობას ვერ დაიწყებ; მერე, ქართული გუნდების ევროტურნირებზე ასპარეზობის ვადებიც უნდა გაითვალისწინო და საქართველოს ნაკრების ინტერესებზე ხომ, საერთოდ, ზედმეტია საუბარი. არადა, მარტში რომ განახლდეს მეორე ეტაპი, მაისის ბოლომდე ისე გამოვა, რომ ჩემპიონატში მონაწილე ათივე გუნდს ლამის ყოველ მესამე-მეოთხე დღეს მოუწევს თამაშების ჩატარება (სათასო ნახევარფინალებიც არ დაგვავიწყდეს).



**სწორედ ყოველივე ზემოთქმულის გამოა, რომ კიდევ ერთხელ გვინდა დავუბრუნდეთ ადრე არაერთხელ გამოთქმულ საკუთარ მოსაზრებას, რომ იქნებ მართლა დავფიქრებულიყავით ჩემპიონატის... „გაზაფხული-შემოდგომის“ პრინციპით ჩატარებაზე. ვიცით, რომ ამის გაკეთება ადვილი არ იქნება და საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, სერიოზული ფიქრია საჭირო. მოდი, ჯერ დადებით მხარეზე ვისაუბროთ: ჩემპიონატი, სავარაუდოდ, მარტის შუა რიცხვებში დაიწყება და ივნისის შუა რიცხვებამდე გასტანს; შემდეგ, წრეებს შორის თვენახევრიან პაუზას გუნდები მოსამზადებლად გამოიყენებენ და აგვისტოს 10-15 რიცხვიდან ჩემპიონატიც განახლდება; ფინიში კი ნოემბრის ბოლოს თუ დეკემბრის დასაწყისში იქნება: წელიწადის ამ პერიოდში ჩვენთან ბევრად უკეთესი კლიმატური პირობებია, ვიდრე, ვთქვათ, თებერვლის დასაწყისში. თუმცა, ამ მოდელზე გადასვლა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არცთუ იოლი იქნება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ყოველი წლის მაისის ბოლოსთვის ევროტურნირებზე მოასპარეზე გუნდების ვინაობა ცნობილი უნდა იყოს; ანუ, 2011-12 წლების სეზონის ევროტურნირების საგზურს ის ქართული გუნდები მოიპოვებენ, რომლებიც, ვთქვათ, გარდამავალ ჩემპიონატში დაიკავებენ საპრიზო ადგილებს. გარდამავალი ჩემპიონატი კი, სავარაუდოდ, აგვისტოს დასაწყისში რომ დავიწყოთ და, სავარაუდოდ, ორ წრედ ჩატარდეს, დეკემბრის შუა რიცხვებში დავასრულებთ - ჩემპიონიც გვეყოლება და ევროპის ლიგის ორი საგზურის მფლობელიც. არც თასის მფლობელის (ანუ, ევროპის ლიგაზე კიდევ ერთი გამსვლელის) პრობლემა შეიქმნება: სათასო თამაშები გვიან შემოდგომაზე დაიწყება (უფრო ადრეულ სტადიებს ვგულისხმობთ), მერე, უკვე მომავალი წლის მარტ-აპრილში, როცა ახალი ჩემპიონატი იქნება დაწყებული, მეოთხედფინალურ თუ ნახევარფინალურ მატჩებსაც ჩავატარებთ; ხოლო, ფინალს, ტრადიციულად, მაისის ბოლოსთვის დავნიშნავთ და თასის მფლობელის ვინაობის უეფაში „მოსწრების“ პრობლემაც მოხსნილი იქნება.**

კიდევ ვიმეორებთ: ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ ჩვენი ვარაუდია და საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის ხელმძღვანელებსაც ალბათ, დააინტერესებთ. ყოველ შემთხვევაში, მომავალ კვირაში დიდი სურვილი გვაქვს, რომ ამ თემაზე პროფლიგის ახალ ხელმძღვანელს, ბატონ **გია ფირცხალავას** ინტერვიუ ვთხოვოთ და მისი აზრიც გავიგოთ. ცნობისათვის: „გაზაფხული-შემოდგომის“ სისტემით ევროპაში რამდენიმე ჩემპიონატი ტარდება. რუსეთის, ნორვეგიის, შვედეთის, ფინეთის, ისლანდიისა და ირლანდიის. ანუ, უეფასგან არანაირი დირექტივა თუ აუცილებელი მოთხოვნა არ არის - გინდა თუ არა, ეროვნული ჩემპიონატი „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემით ჩაატარეთო. არადა, სულ პირველი ჩემპიონატი (1990 წელს) სწორედ „გაზაფხული-შემოდგომით“ ჩავატარეთ და მერე, ერთწრიანი „გარდამავალი“ პირველობის შემდეგღა გადავედით „შემოდგომა-გაზაფხულზე“ (1991-92 წლების სეზონში).

...ახლა კი ვიდრე ჩვეულებრივი ფორმატით ვაგრძელებთ, იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ რუსთავის ხელოვნურსაფრიან მოედანს კიდევ არ დაათოვს...

## ახალწვეულთა აღლუმი და ძველი სახეები

ახლა კი უშუალოდ XIX ტურზეც ვისაუბროთ, ოთხ დღეზე რომ უნდა ყოფილიყო „გაწელილი“; სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, დღეს რამდენიმე სიტყვით მხოლოდ ორ მატჩზე შემოვიფარგლებით, ტურის ბოლო დღეს რომ ჩატარდა. კიდევ ორზე უკვე იცით - გადაიდო და სხვა რაღა უნდა ვთქვათ; ამით, მეორე ეტაპის „გამხსნელ“ შეხვედრას კი, ამ ეტაპზე... გვერდს ავუვლით. უფრო ზუსტად დაველოდებით, თუ რა ვერდიქტს გამოიტანს ამ მატჩის შესახებ პროფლიგა და საკუთარ მოსაზრებასაც მერე შემოგთავაზებთ. „სიონი“-„სპარტაკის“ დაპირისპირებას ვგულისხმობთ, სტუმართა მინიმალური გამარჯვებით რომ დასრულდა. კიდევ ვიმეორებთ: თუ საჭირო იქნება, ამ მატჩის შესახებ საკუთარ მოსაზრებას მოგვიანებით დავაფიქსირებთ; მანამდე კი იმ შეხვედრის... „წმინდა საფეხბურთო ნიუანსებს“ ვახსენებთ: პირველი ეტაპისგან განსხვავებით, „სიონიც“ და „სპარტაკიც“ ერთობ სახეშეცვლილი შემადგენლობით წარდგნენ: განსაკუთრებით ეს ბოლნისელებზე ითქმის - ახალ მთავარ მწვრთნელთან (**ხვიჩა ქასრაშვილი**) ერთად მატჩში მონაწილე 14 ფეხბურთელიდან... 11 ახალწვეული რომ იყო! ექვსი დებიუტანტი ჰყავდა „სპარტაკს“, თუმცა განსაკუთრებულ ყურადღებას **პატრიკ ნედ ნალო** იმსახურებდა. ჰო, ამასაც მოვესწარით - საქართველოს ჩემპიონატში... საფრანგეთის მოქალაქემ ითამაშა...

არანაკლები რაოდენობის ახალწვეულები ვიხილეთ „დინამო“-„გაგრას“ დაპირისპირებაშიც; „დინამომ“ რომ ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გაიარა, უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ და აი, ამ მზადების ლოგიკური შედეგიც: **კახა კაჭარავას** გუნდმა, მართლაც, ლამაზ სტილში შესძლო „გაგრას“ დამარცხება (4:1). საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო შეხვედრები ჩაატარეს „დინამოს“ მაკედონიელმა ლეგიონერმა **ალექსანდრ კრსტესკიმ** და „გაგრას“ კამერუნელმა ახალწვეულმა **ჩენსუმ**; თუმცა, ამ უკანასკნელს არცთუ დასამახსოვრებელი დებიუტი ჰქონდა: მეათე წუთზე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. სხვათა შორის, ჩენსუს გარდა, „გაგრაში“ ერთდროულად ხუთი ახალწვეული ვიხილეთ, თუმცა კი, ერთადერთი გოლის ავტორი ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა - **გიორგი გაბედავა**! „გაგრას“ ლიდერმა ამ სეზონში თავისი მეათე გოლი გაიტანა, სულ კი ამ გუნდს მეტოქეთა კარში 19 გოლი აქვს გატანილი - ალბათ, ამ თემაზე კომენტარიც ზედმეტია. დინამოელთა გოლებიც აუცილებლად უნდა ვახსენოთ: სასიხარულოა, რომ ახალ გუნდში სადებიუტო შეხვედრაშივე თავი გამოიჩინა **თენგიზ ჩიკვილაძემ**, მცველმა, ვისაც გოლების გატანა ბევრ... ფორვარდზე უკეთესად ეხერხება; **შოთა კაშიას** პროდუქტიული თამაშიც აღსანიშნავია - „დინამოს“ ყველაზე სტაჟიანმა წევრმა ამ მატჩში გოლი და საგოლე პასი მიითვალა. თუმცა, მთავარი მოვლენა მაინც **მათე ვაწაძის** დუბლი იყო - ამ ნიჭიერ ახალგაზრდა თავდამსხმელს ტრავმის გამო ბევრი გაუცდა და აი, გარკვეული პაუზის შემდეგ ერთდროულად ორი გოლით დაბრუნდა!

დაბოლოს, ტურის მთავარ მოულოდნელობაზეც: ისე როგორც ჩემპიონატის პირველ ტურში, სეზონის ერთ-ერთმა უმთავრესმა ფავორიტმა „ზესტაფონმა“ ვერც ამჯერად შეძლო ცხრილის ბოლო საფეხურზე მყოფი „ლოკომოტივის“ დამარცხება. ეგ კი არა, ამ გუნდების მონაწილეობით ჩატარებული წინა სეზონის ბოლო მატჩი სულაც „ლოკომოტივის“ გამარჯვებით დასრულდა. აქედან გამომდინარე, უკვე თამამად შეგვიძლია იმის თქმა, „ზესტაფონს“ უხერხულზე მეტი რომ ჰქვია, „ლოკომოტივის“ სახით ისეთი მეტოქე გამოუჩნდა!

სხვათა შორის, „ლოკომოტივმა“ სეზონის განახლებამდე ჩატარებულ საკონტროლო მატჩებშიც საკმაოდ დადებითი შთაბეჭდილება დატოვა („ოლიმპთან“, „სიონთან“); ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ ახალგაზრდა მწვრთნელმა **გელა სანაიამ**, კლუბის მოკრძალებული ფინანსური საშუალებების გათვალისწინებით, საკუთარ გუნდში პრობლემური პოზიციები ახალწვეულებით გააძლიერა და ასე თუ გააგრძელებს ასპარეზობას, „ლოკომოტივის“ მდგომარეობას უიმედოს ველარავინ უწოდებს. ნიშანდობლივია, რომ თავის ახალ გუნდში პირველივე ოფიციალურ მატჩში გოლი გაიტანა „ლოკომოტივის“ ცენტრფორვარდმა **ზვიად მეტრეველმა**; სამაგიეროდ, არცთუ „სასიამოვნო“ განცდა ექნებოდა მეტოქე გუნდის ბევრად სახელიან ახალწვეულს - ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ ნიჭიერ მცველს **დავით გამეზარდაშვილს**. დაბოლოს, ამ მატჩის და ალბათ, მთლიანად „არასრული“ ტურის გმირზეც: „ლოკომოტივის“ მეკარე **მაქსიმე ქვილითაიამ** ამ სეზონში მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა!

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კიდევ ვნახავთ რეჰაგელს?

## ჯერჯერობით, ხორვატიისთვის საქართველო გამოცანაა, მალტა კი ჩვენს ნაკრებთან შინ მოგებას გეგმავს


სლავენ ბილიჩი

**ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრის შემდეგ ბარე ოთხი დღე გავიდა, მაგრამ ჩვენი მეტოქე ქვეყნების ვებგვერდებზე დღემდე გრძელდება ნაკრების მწვრთნელების, მოთამაშეებისა და ფეხბურთის სპეციალისტთა პოზიციის დაფიქსირება. ეს თემა ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესოა და სწორედ ამაზე უნდა მოგითხროთ.**

### ხორვატია

მართალია, ხორვატია არ არის იტალია, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი... მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ხორვატებმა ევროპის წინა ჩემპიონატზე ინგლისი „ოფსაიდში" დატოვეს. მათი თავკაცი **სლავენ ბილიჩი** წილისყრის შედეგებით გახარებულია, მაგრამ ერთი ამოცანა ჯერჯერობით ამოუცნობი აქვს.

*„კარგ ჯგუფში მოვხვდით. აქამდე ჩვენს ეროვნულ გუნდს ყველა მეტოქესთან აქვს ნათამაშები, გარდა ერთისა, საქართველოსი. ჯერჯერობით ეს გუნდი ჩვენთვის ამოუხსნელი ამოცანასავითაა. თუმცა მთლიანობაში მიმაჩნია, რომ ჩვენ ჩინებული შანსი გვაქვს 2012 წელს ევროპის ჩემპიონატზე ვიასპარეზოთ. ამ მიზნისთვის ბრძოლაში ჩვენი მთავარი მეტოქე საბერძნეთია. ასევე ისრაელი, რომელსაც ლატვიასთან ერთად იყო პლეი ოფში გასვლისთვის მცირედი დააკლდა",* - აღნიშნავს ბილიჩი vecernji.hr-სთან საუბარში.

იმავე საიტმა უცნობ საქართველოზე ცალკე მასალა მოამზადა, რომელშიც ფეხბურთელ ქეცბაიას „ნიუკასლში" თამაში და ქართველის მიერ 1997 წლის აგვისტოში გატანილი ბურთი და ჩემპიონთა ლიგიდან გამოთიშული ზაგრების „დინამო" გაიხსენეს. ბუნებრივია, როცა გაირკვა რომ ხორვატია ჩვენი მეტოქეა, ქართველებს უმალ **ივო შუშაკი** გაგვახსენდა და სულაც არაა გასაკვირი, რომ ხორვატებსაც იგივე პერსონა ამოუტივტივდათ.

*„დღესაც ტკბილად ვიხსენებ საქართველოში გატარებულ პერიოდს. მაშინ ჩემი გაწვრთნილი საქართველოს ნაკრებით რუსეთი დავამარცხეთ და ქართველებმა გმირად შემრაცხეს. გასული წლის ბოლოს, ნაკრების თავკაცების კანდიდატთა შორისაც მასახელებდნენ, მაგრამ არჩევანი თემურ ქეცბაიაზე გაკეთდა და ეს არც გამკვირვებია. ქეცბაია საქართველოში გულშემატკივართა კერპია, გამორჩეულად უყვართ და სამწვრთნელო კარიერაში მოპოვებული ხმაურიანი წარმატებების შემდეგ ეროვნული გუნდი ჩააბარეს. საქართველო რეალურადაა ტალანტების ქვეყანა. ამ ქვეყანაში ყველაზე ცნობილი ფიგურები კახა კალაძე და ლევან კობიაშვილი არიან, რომელთა გვერდით ნაკრებში ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობენ. ვფიქრობ, მეტოქეთა შორის საბერძნეთის შემდეგ, ყველაზე მეტად საქართველო უნდა დავაფასოთ. ჩემი აზრით, ქართველები ისრაელზე უკეთ თამაშობენ. ამ ჯგუფში ყველაზე სუსტებად ლატვიასა და მალტას მივიჩნევ",* - ასეთია თბილისის „დინამოსა და საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცის ივო შუშაკის პოზიცია, რომელიც vecernji.hr-მ გამოქვეყნა.

### საბერძნეთი

ელადელები მოუთმენლად ელიან **თემურ ქეცბაიას გუნდთან ოტო რეჰაგელის** ნაკრების დაპირისპირებას.


ოტო რეჰაგელი

ქეცბაიასადმი, რომელიც შარშან სექტემბერში გამოეთხოვა პირეოსის „ოლიმპიაკოსს", საბერძნეთში დღესაც დიდი ინტერესია. ვნახოთ, თუ რა აზრისაა საბერძნეთის ნაკრების თავკაცი, ოტო რეჰაგელი ჩვენს ჯგუფსა და მეტოქეებზე.

*„თეორიულად ხორვატია ჩვენზე ძლიერი გუნდია, მაგრამ ამ ნაკრებთანაც შეგვიძლია წარმატებით თამაში. ხორვატიის გარდა სხვა მეტოქეები თითქმის თანაბარი ძალისაა და მათი სათანადოდ შეუფასებლობა გამართლებული არ იქნება. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ წილისყრის შედეგებით კმაყოფილი ვარ. ჩვენთვის ეს სასურველი ჯგუფია და პირველი ადგილის დაკავებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ამ მიზნისთვის მთავარი ბრძოლა სწორედ ხორვატიასთან მოგვიწევს. უკიდურეს შემთხვევაში, მეორე ადგილი ჩვენი უნდა იყოს. თუმცა ახალ საკვალიფიკაციო ეტაპამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა. მანამდე მსოფლიოს ჩემპიონატია და სამხრეთ აფრიკაში მძიმე მატჩები გველის",* - ბერძნულ ვებგვერდ tanea.gr-სთან საუბარში აღნიშნა საბერძნეთის ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა.

ცნობისთვის, ოტო რეჰაგელსა და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას შორის მოქმედი კონტრაქტის ვადა მიმდინარე წლის ივლისში, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იწურება. შესაბამისად, სულაც არაა გამორიცხული, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობისთვის ბერძნების ეროვნული გუნდი სხვა მწვრთნელმა მოამზადოს. სწორედ ამ საკითხზე დაეკითხნენ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **სოფოკლის პილავიოსს.**

*„უდავოა, ბერძნული ფეხბურთის ისტორიაში ოტო რეჰაგელი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია. მან ჩვენს ეროვნულ გუნდს დღემდე ყველაზე დიდი ტიტული - ევროპის ჩემპიონობა მოაპოვებინა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ ბოლო ხანს, რეჰაგელს კრიტიკოსები მოუმრავლდნენ. ისინი ამტკიცებენ, რომ ნაკრები დაბერდა და გაახალგაზრდავების პროცესი აუცილებელია, რომელსაც გერმანელი მწვრთნელი რატომღაც ერიდებაო... ნაკრებს რეჰაგელი ხელმძღვანელობს და ის თავად გადაწყვეტს, თუ ვინ ათამაშოს ეროვნულ გუნდში. რაც შეეხება ევროპის 2012 წლის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ნაკრების ასპარეზობას. დარჩება თუ არა რეჰაგელი ნაკრების თავკაცად, ეს საკითხი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადაწყდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თუ რა პოზიცია ექნება მუნდიალის შემდეგ თავად მწვრთნელს. ვნახოთ, ექნება თუ არა 72 წლის გერმანელ მწვრთნელს ჩვენთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი",* - უთხრა საიტ tovima.gr-ის ბერძნული ფეხბურთის პირველკაცმა.

ოტო რეჰაგელის ხელმძღვანელობის გარეშე ნაკრების წარმოდგენა უჭირს **ლევან კობიაშვილის** თანაკლუბელს, ბერლინის „ჰერტას" ფორვარდ **თეოფანის გეკასს.**

*„... არც კი მინდა იმისი გაფიქრება, რომ ოტო რეჰაგელი ჩვენი ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება. მის გარეშე ნაკრების წარმოდგენა მიჭირს. იმედი მაქვს, რეჰაგელი ზაფხულში კიდევ ერთხელ გაახანგრძლივებს კონტრაქტს. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჯგუფს - ვფიქრობ, ჩვენი მთავარი კონკურენტი ხორვატიაა, მაგრამ ისრაელი აშკარად იმსახურებს ყურადღებას. მით უმეტეს, ბოლოს ჩატარებულ საკვალიფიკაციო ეტაპზე ისრაელი*


ეიალ ბერკოვიჩი

*ჩვენს ჯგუფში იყო და მებრძოლ გუნდად დაგვამახსოვრა თავი. ვფიქრობ, ჯგუფიდან გასვლისთვის მთავარი ბრძოლა სწორედ ხორვატიასა და ისრაელთან გვექნება. ალბათ, მოვიდა დრო კიდევ ერთხელ ვიასპარეზოთ ევროპის ჩემპიონატზე და 6 წლის წინ მოპოვებული ტიტულისთვის ისევ ვიბრძოლოთ. იმედი მაქვს, ამ ჯგუფიდან გავალთ",* - tanea.gr-სთან ასეთ ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა ლაპარაკი ბერძენმა თავდამსხმელმა თეოფანის გეკასმა.

ახლა კი სხვა მეტოქეთა პოზიციებსაც გადავავლოთ თვალი. ხორვატიასთან ერთად, საბერძნეთს ფავორიტად მიიჩნევს ლატვიის ნაკრების ფორვარდი **მარის ვერპაკოვსკისი,** რომელიც ბერძნულ ერგოტელისში ჩვენი ეროვნულის მცველ **გიორგი შაშიაშვილის** თანაკლუბელია.

*„საინტერესო ჯგუფის ბინადრობა გვერგო. ჩემი აზრით, ჯგუფის ფავორიტი ორია, ხორვატია და საბერძნეთი. დანარჩენი სამი გუნდი, მალტის გარდა თანაბარი ძალისაა. ლატვია, ისრაელი და განსაკუთრებით საქართველო, რომელსაც ახალი მწვრთნელი ჰყავს, თითოეული ქულისთვის, მეტოქეებს დიდ ბრძოლას გაუმართავენ. ვფიქრობ, ამ ჯგუფში ყველა გუნდს გაუჭირდება ქულების მოპოვება და ცხრილში ქულათა სხვაობაც ძალზე მცირე იქნება",* - აღნიშნა 30 წლის ლატვიელმა ფორვარდმა ბერძნულ ვებგვერდ e-soccer.gr-სთან ინტერვიუში.

### ისრაელი

ისრაელის ნაკრები კვლავაც მთავარი მწვრთნელის გარეშეა. ეროვნულის ყოფილ თავკაც **დრორ კაშტანის** მემკვიდრედ რამდენიმე კანდიდატურა სახელდება. თუმცა, როგორც ირკვევა, ისრაელის ნაკრების ხელმძღვანელობის ყველაზე მეტი შანსი ბერძნული „პანათინაიკოსის" ყოფილ დამრიგებელს, ჰოლანდიელ მწვრთნელ **ჰენკ თენ კეიტს** აქვს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ეროვნული გუნდი ახალგაზრდა მწვრთნელ **ეიალ ბერკოვიჩს** ჩააბარონ. ცნობისათვის, 37 წლის ბერკოვიჩმა ნაკრებში მოთამაშის კარიერა 2004 წელს დაასრულა. 2001-05 წლებში ისრაელის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი (82 მატჩში 14 გოლი აქვს გატანილი) ინგლისში, „ბლექბერნში", „მანჩესტერ სიტისა" და „პორტსმუთში" თამაშობდა.

ნაკრებს თავკაცი არ ჰყავს და ჯგუფზე თავის პოზიციას ნაკრების ფეხბურთელები აფიქსირებენ. ინგლისური „ლივერპულის" ნახევარმცველ **იოსი ბენაიუნს** მიაჩნია, რომ ისრაელის ჯგუფის სისუსტესა თუ სიძლიერეზე კამათი დროის ფუჭი ხარჯვაა. მას სჯერა, რომ ისრაელის ნაკრები ყველა მატჩში წარმატებისა და ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობისთვის იბრძოლებს. ამ მიზნის მისაღწევად ყველა ფეხბურთელი მაქსიმუმს გაიღებს. ბელგიური „ლოკერენის" მცველი **ავი შტრული** აღნიშნავს, რომ წინ მძიმე საკვალიფიკაციო ეტაპი ელის და მალტის გარდა, ყველა გუნდთან ერთული მატჩი ექნება. ის მიიჩნევს, რომ ისრაელის ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვს.

ლატვიურ საიტ sportacentrs.lv-ს ჰაიფას „მაქაბის" თავკაცის ქართველ ასისტენტ **გიორგი დარასელიას** სიტყვებიც მოჰყავს, რომლის წყარო ერთ-ერთი ებრაული ვებგვერდია. დარასელია აცხადებს, რომ ისრაელში საბერძნეთისა და ხორვატიის ნაკრებების შემდეგ, ყურადღებას საქართველოს ნაკ-


ჯონ ბუტიგეგი

რებზე ამახვილებენ, სადაც ახალი მწვრთნელისგან რევოლუციურ პროგრესს ელიან. დარასელია ყველა მეტოქეს ურჩევს, რომ საქართველოზე ყურადღება გაამახვილონ.

### ლატვია

ახლა კი ვნახოთ, თუ რა განწყობაა ლატვიაში. ჩვენი ნაკრებისა და ფედერაციის ხელმძღვანელობის დარად აფასებს ჯგუფს ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ სტარკოვსი.**

*„რთულ ჯგუფში მოვხვდით, რადგან მალტას თუ არ ჩავთვლით, მეტ-ნაკლებად თანაბარი დონის გუნდები გვყავს მეტოქეებად. ამ ყველა ქულას ოქროს ფასი ექნება და თითოეული ქულისთვის ყველა ნაკრები ბოლომდე იბრძოლებს. ყველაზე მძიმე მატჩები ხორვატიასთან და საბერძნეთთან გველის. ისევე როგორც ისრაელთან. ვფიქრობ, ამ შესარჩევში სხვაგვარ, უფრო ძლიერ საქართველოს ნაკრებს ვიხილავთ. მით უმეტეს, ჩვენ ყოველთვის დაძაბული მატჩები გვაქვს ქართველებთან... საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას ახლავე ვიწყებთ. ჩვენი უმთავრესი ამოცანა სასურველი კალენდარია და მარტში ათენში ყველანაირად შევეცდებით მატჩების ჩვენთვის სასურველი განრიგი გავიტანოთ. რა თქმა უნდა, სხვა ნაკრებებიც იმავეს შეეცდებიან და თუ შეთანხმება არ შედგა, მაშინ კალენდარს 23 მარტს უეფა, თელ ავივში თავად დაგვიდგენს",* - ლატვიის ტელევიზიით ნათქვამ სტარკოვსის ეს სიტყვები ვებგვერდმა tvnet.lv-მა გამოაქვეყნა.

როგორც ირკვევა, ლატვიის ნაკრები შესარჩევისთვის მოსამზადებლად ივნისში გასამართ ბალტიის თასს გამოიყენებს. აგვისტოში კი ამხანაგურ მატჩს გამართავს და სპარინგ პარტნიორის შესათანხმებლად უკვე მუშაობს. ლატვიელებს 3 მარტსაც სურთ ამხანაგური მატჩის გამართვა და კვიპროსის საფეხბურთო ასოციაციასთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს... და კიდევ ერთიც, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ „ნორდ ბანკთან" პარტნიორობის კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც წლიურად ლატვიური ფეხბურთი ამ ბანკისგან მილიონ ლატზე მეტს მიიღებს.

### მალტა

ამ ქვეყნის ნაკრებს კვლავაც **ჯონ ბუტიგეგი** ხელმძღვანელობს, მწვრთნელი, რომელსაც ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტზე ჩინებული დებიუტი ჰქონდა, 12 აგვისტოს **ექტორ კუპერის** ფორმაციის საქართველოს ნაკრები 2:0 დაამარცხა. მართალია, ბუტიგეგი ჯგუფს ძლიერს უწოდებს, მაგრამ სამ გუნდს ბრძოლას ჰპირდება.

*„ძალზე ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. მალტა პოპულარული საფეხბურთო ქვეყანა არაა. შესაბამისად, ხორვატიასა და საბერძნეთთან მატჩებში სასურველი შედეგის მიღწევა ძალზედ გაგვიჭირდება. თუმცა ჩვენი მეტოქე საბჭოთა კავშირის ორი ყოფილი წარმომადგენელი, ლატვია და საქართველოა. მათთან და ისრაელთან თამაშებში კი შეგვიძლია არა მხოლოდ გამოცდილების მიღებაზე, არამედ ქულების მოპოვებაზე ვიზრუნოთ"* - ჯონ ბუტიგეგის ეს სიტყვები ლატვიურმა საიტმა sportacentrs.lv-მა გამოაქვეყნა.

თუმცა მალტურ „ინდეპენდენტთან" საუბარში მალტის თავკაცის ასისტენტი **კარმელ ბუზუტილი** აცხადებს, რომ შინ საქართველოსთან და ლატვიასთან მოგებას გეგმავს. მით უმეტეს, მალტის ნაკრებმა შარშან აგვისტოში ქართველების დამარცხება შინ ერთხელ უკვე შეძლო.

ამავე ვებგვერდზე ლატვიელთა ჯგუ-


ალექსანდრ სტარკოვსი

ფის ყველა მეტოქე გუნდიდანაა კომენტარები. საქართველოდან კი ნაკრების ფორვარდ **ლევან მჭედლიძის** კომენტარია.

*„მართალია, ხორვატია პირველ კალათაშია, მაგრამ ჩვენს ჯგუფში გრანდი, გამოკვეთილი ლიდერი არაა. ვფიქრობ, შინ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შევიძლია. მათ შორის ხორვატიისაც. თუმცა თანამედროვე ფეხბურთში სუსტი მეტოქე არ არსებობს და ყველა მატჩი რთული იქნება. ვფიქრობ, საქართველოს ამ ჯგუფიდან გასვლა შეუძლია და სწორედ ამისთვის ვიბრძოლებთ".*

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ

## ოთარ გაბელია

# მათ ადგილზე, მე საქართველოს უყოყმანოდ ავირჩევდი

## გაბელიას სია და ჩანაფიქრი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი 3 მარტის მატჩისთვის ემზადება. ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ეგიდით, ჩვენი ახალგაზრდები თბილისში ესტონეთს უმასპინძლებენ.

ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია „ლელოს" მომავალი მატჩის სამზადისზე, არაბებთან ჩაშლილ მატჩსა და იმ ფეხბურთელებზე ესაუბრება, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაშზე თავს იკავებენ.



**- ბატონო ოთარ, მართალია, თითქოს ესტონეთთან მატჩისთვის თემურ ქეცბაია თქვენ ზოგიერთ ფეხბურთელს გითმობთ იმ მიზეზით, რომ ახალგაზრდული ნაკრები ოფიციალურს ატარებს, ეროვნული კი მხოლოდ ამხანაგურს?**

- როცა თემური დაინიშნა, მაშინვე დავილაპარაკეთ - თუკი ეროვნულ გუნდს გადამწყვეტი შეხვედრა არ აქვს, რაზეა ლაპარაკი, დაგითმობო. თუმცა ქეცბაია 3 მარტს სადებიუტო შეხვედრას ატარებს და ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით. ჯერ ისიც არ ვიცი, სანაკრებო სიაში ვისი შეყვანა აქვს გადაწყვეტილი.

**- ასეთი ვითარების გამო, სიას ერთად არ ადგენთ?**

- რა საჩქარო იყო? 20 იანვარს თბილისში ჩამოვა და ყველაფერს დავაზუსტებთ. ქეცბაია თურქეთში ჩავიდა, საინტერესო ფეხბურთელები ნახა და სიას მალე გამოაქვეყნებს.

**- ესტონეთთან ჯანო ანანიძე ჩამოვა?**

- რას ჰქვია არ ჩამოვა, აბა, რას იზამს? ჯანო ისეთი ბიჭია, შეხსენება არ სჭირდება, თუ რას ნიშნავს ფეხბურთელისთვის საკუთარი ქვეყნის ნაკრები.

**- სამწუხაროდ, დაშავებული იყო ლევან ყენია და მატჩამდე მომჯობინებას მოასწრებს?**

- სამწუხაროდ, როგორც შევიტყვეთ, ლევანი ვარჯიშს მარტის დასაწყისში განაახლებს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში მას ვერ დავეყრდნობით.

**- ირაკლი კლიმიაშვილი ეროვნულში იქნება თუ თქვენთან?**

- მე მიწერია სიაში და თემურ ქეცბაიასთან შევათანხმებ. თემურს ბევრი მოთამაშის ნახვა სურს და ალბათ, ჩვენს შეხვედრასაც დაესწრება.

**- ინტერესი განუგრავას მიმართაც გამოავლინეთ.**

- გიორგის ჩამოყვანა ძალიან მინდა, ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ვიცოდი, რომ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ფეხი კიდევ აწუხებდა. თუმცა ახლახან მოედანზე გამოჩნდა, ერთი ტაიმი ჩაატარა და ეტყობა, ნელ-ნელა ოპტიმალურ ფორმას იბრუნებს და ეს ძალიან მახარებს. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და აუცილებლად მოვიწვევთ.

**- შევიტყვეთ, რომ ესტონეთთან გადაწყვეტილია ამირან სანაიასა და გიორგი ივანიშვილის გამოძახება - კიდევ ვისი მიწვევა გადაწყვიტეთ?**

- მახაჩკალის „ანჟის" მთავარ მწვრთნელ ომარ თეთრაძეს ველაპარაკე და რეზო ბარაბაძით კმაყოფილი იყო, კარგად ითამაშაო. ამიტომ, ბარაბაძეს აუცილებლად მოვიწვევ. ანანიძესა და ირაკლი კლიმიაშვილზე უკვე გითხარით - ალბათ, ოდესის „ჩერნომორეცში" ჩაირიცხება და ლეგიონერი გახდება. გული მწყდება კაკუბავაზე, რომელიც ბოლო დროს „დინამოს" ძირითადში ვერ ხვდება. ისიც ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ეტყობა, მეტი მონდომება სჭირდება. ფეხბურთში გუშინდელი უნდა დაივიწყო და მიღწეულს არ უნდა დასჯერდე.

**- თქვენ გიორგი ჩირგაძის („ნიუ იორკ რედ ბული"), აკაკი გოგიას („ვოლფსბურგი"), დათო ლორთქიფანიძისა („დიორ ეტო") და ბაქარ მირცხულავას („ბენფიკას") ნახვა გსურდათ. თუმცა, მე როგორც ვიცი, ჩირგაძეს ამერიკის ნაკრებში მიწვევის იმედი აქვს, გოგიას მშობლებმა კი გვითხრეს, გერმანიაში ითამაშებსო. ამ ფეხბურთელთა იმედი ხომ არ უნდა გადავიწუროთ?**

- ეს სამწუხარო ტენდენციაა. თუ ფეხბურთელს თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაში არ უნდა, რა უნდა ვუყოთ, ჩავიდეთ გერმანიაში და ძალით ჩამოვიყვანოთ? გოგიას მშობლებს ვოვა გუცაევი დაელაპარაკა, მაგრამ მათი პოზიცია ვერ გაიგო. როგორც ჩანს, იგივე ვითარებაა გრიგალავას შემთხვევაში. ასეთი ფეხბურთელები რომ გამოვიძახოთ, გამოდის, ადგილს ვკარგავთ და თამაშის მსურველი ფეხბურთელიც დაგვაკლდება. ადრე თბილისის „დინამოში" თამაში უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის დიდი ბედნიერება იყო. სლავა მეტრეველმა საბჭოთა კავშირში საუკეთესო გუნდი, მოსკოვის „ტორპედო" მიატოვა და ჩამოვიდა. სხვებიც სიხარულით ჩამოდიოდნენ. ასე იყო ვალერი გაზაევი, რადგან აქ თამაში ყველას უყვარდა.

**- გულახდილად გვითხარით, არჩამოსულ ფეხბურთელებზე ბრაზდებით თუ მათი გესმით?**

- თუკი კლუბში რომელიმეს არჩევანის წინაშე აყენებენ, ნაკრებში წასვლით თამაშის პრობლემა შეგექმნებაო, მათი კიდევ მესმის, რომ ახალგაზრდა ბიჭები არიან და კარიერა უნდა აიწყონ. თუმცა სამშობლო მაინც ყველაფერზე მაღლა უნდა დააყენონ. უნდა ესმოდეთ, რომ ნაკრებში ჩამოსვლით უფრო აიწყობენ კარიერას. საერთოდ, ფეხბურთელი საკუთარი ქვეყნის ტკივილით უნდა ცხოვრობდეს და თუ ქვეყნის პატრიოტი არ არის, ასეთი ფეხბურთელის მიზანს ვერასდროს გავიგებ. ამას მხოლოდ ნაკრების მწვრთნელის გადასახედიდან არ ვამბობ, უბრალო გულშემატკივრის პოზიციიდანაც იმავეს ვიტყოდი. ხორვატები როგორ იქცეოდნენ? საკუთარი ფულით ყიდულობდნენ თვითმფრინავის ბილეთებს, თავისი ქვეყნისთვის რომ ეთამაშათ. რამდენიმე სერბმა კი იმ ქვეყნებში თამაშზე უარი თქვა, რომლებმაც მათი სამშობლო დაბომბეს. ამის მიუხედავად, არ შეიძლება მათი მოღალატეებად გამოცხადება. პირიქით, ამ ფეხბურთელების წინსვლა ძალიან გამიხარდება, მაგრამ საქართველოს სამსახურში ჩაყენებული მათი ნიჭი უფრო გაგვახარებდა. მე რომ უცხოეთში ვთამაშობდე, დაუფიქრებლად სამშობლოს ავირჩევდი, გინდა „ბაიერნში" ვიყო და გინდა „ბარსელონაში". ისე, მაგარი ფეხბურთელი თუ ხარ, პირობას ვერც ერთი კლუბი ვერ წამოგიყენებს.

**- „ბარსელონა" ახსენეთ და გიორგი ჭანტურიას მოწვევის სურვილი არ გაგჩენიათ?**

- გიორგი კარგი ბიჭია, „ბარსაში" უნიჭოს არავინ აიყვანდა, მაგრამ ახლა დევდარიანს დასჭირდა და ვერ წამოვიყვანდი. მეორე მომენტი მისი ასაკია, არ მინდა ნაადრევად უფროსებთან თამაშით, ზედმეტი ფსიქოლოგიური ტვირთი ავკიდო. ასაკობრივი ნაკრებები გაიაროს და ისეთი ბიჭია, ეროვნულამდეც იოლად მივა. სხვათა შორის, თურქეთში კი მინდოდა მისი ნახვა, მაგრამ უეფას დღე არ იყო და კლუბი არ გამოუშვებდა.

**- „ანჟიში" ჩვენთვის უცნობი გიორგი ილურიძე თამაშობს. თავისთავად საინტერესო უნდა იყოს, ვინ არის 17 წლის ფორვარდი, რომელიც რუსეთის უმაღლესი ლიგის კლუბში ისინჯება.**

- ომარ თეთრაძეს მასზეც ველაპარაკე და მითხრა, კარგი, შრომისმოყვარე ბიჭიაო. დაიწყება ჩემპიონატი და ვნახავთ. თუ თავს გამოიჩენს, რატომ არ მოვიწვევთ?!

**- რომელი მეკარის გამოძახებას აპირებთ?**

- ერთი ვიცი, როინ კვასხვაძე იქნება. მართალია, ბოლო სანაკრებო მატჩებში მაინცდამაინც საიმედოდ ვერ გამოიყურებოდა, მაგრამ ნიჭიერი ბიჭია და რაც მთავარია, თურქულ და ესპანურ შეკრებებზეც სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა.

**- მეორე მეკარე ვინ იქნება?**

- ვფიქრობდი მაკარიძის მიწვევაზე, მაგრამ გიორგი ხან თამაშობს და ხან არა. შეიძლება გიორგი ბახტაძისა და რეზო თევდორაძის მიწვევა, რადგან ორივეს სათამაშო პრაქტიკა აქვს. ბახტაძეს კი თურქეთში შეცდომა არ დაუშვია და მიმაჩნია, რომ საინტერესო „მასალაა". რაღაც რომ მოხდეს, შეიძლება ვათამაშოთ. ახლა თევდორაძეც ვნახე „დინამოსთან". საერთოდ, მიმაჩნია, რომ კონკურენცია უნდა შეიქმნას და არჩევანი 4-5 მეკარეს შორის გავაკეთო. ეს ისევ მათ ზრდას წაადგება და თავიანთ ნაკლზე უფრო გულდასმით ივარჯიშებენ. ნაკრების კარი დაჯავშნილი არავის აქვს, მათ ყოველდღიურად და ყოველ მატჩში უნდა დაამტკიცონ, რომ გუნდს სჭირდებიან.

**- შეკრებას როდის დაიწყებთ და სად?**

- 27 თებერვალს „ბასაში" ეროვნული გუნდი იკრიბება და აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველა ვარიანტში სასტუმროში დაბინავება მოგვიწევს. შეიძლება, „მერიოტში" შევიდეთ. ვარჯიშები კი თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიაში გვსურს.

**- „ბასაზე" ხომ ორი მოედანია?**

- ეს ნაკრებში თემურ ქეცბაიას პირველი შეკრებაა და კაცს მშვიდად, წყნარად მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ და ხელი არ უნდა შევუშალოთ.

**- ცნობილი გახდა, რომ ესტონეთთან შეხვედრამდე, ამხანაგური მატჩის გამართვას დუბაიში აპირებდით...**

- იყო ლაპარაკი არაბეთის გაერთიანებული საამიროების კლუბების ნაკრებთან მატჩზე. ჩვენ ამ წინადადებამ გაგვახარა, რადგან მეტი შეხვედრა გუნდის უკეთ შეთამაშების წინაპირობაა. სამწუხაროდ, გაირკვა, რომ არაბები ეროვნული ნაკრების ჩასვლას ითხოვდნენ. არადა, მატჩს 18 თებერვალს ვგეგმავდით და ამის გამო, ეროვნული ჩემპიონატის კალენდარში ცვლილების შეტანის თხოვნაც მქონდა. დრო არ ითმენს და თითოეული დღე მაქსიმალურად უნდა გამოგვეყენებინა. ეს დღე მიუღებელი იყო ეროვნულისთვისაც, რადგან ფიფას კალენდარში შეტანილი არ იყო და არაბებთან მატჩი გამოირიცხა. მოკლედ, დავრჩით ასე უთამაშებლები.

**- სხვა წინადადება არ მიგილიათ?**

- საბოლოოდ აზერბაიჯანთან სპარინგზე ვფიქრობდი, მაგრამ იქ ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო და შეხვედრა გამოირიცხა.

ბენდელას თასი

# დღეს, რუსთავში...

დღეს რუსთავში „ბენდელას" თასის მე-19 გათამაშება დაიწყება. ეს იქნება ყველა წინასგან განსხვავებული ფორმატის შეჯიბრება: თუკი წინა ტურნირები მინი-მოედნებზე იმართებოდა, ახლა რუსთავის ცენტრალურ სტადიონზე, სტანდარტულ მოედანზე გაიმართება და თორმეტის ნაცვლად, ხუთი გუნდი ითამაშებს.

„ბენდელას" ორგანიზატორი **ქართლოს ჭუმბურიძე:** „ტურნირი ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, სპორტის დეპარტამენტისა და ფედერაციის თანადგომით ტარდება. გვერდში დაგვიდგნენ თბილისის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგაც. ამჯერად მხოლოდ 5 გუნდი ითამაშებს - თბილისის „დინამოს", „ზესტაფონის", რუსთავის „ოლიმპის", „გაგრის" რეზერვისტები, პლუს ძირითადი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი და რეგიონალლიგის „დუშეთი". ვიწყებთ 11 თებერვალს და ვამთავრებთ 24-ში. ბევრი ფეხბურთელი ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენას ცდილობს, ზოგიერთს სათამაშო პრაქტიკა აკლია და ასეთ მოთამაშეებსაც ვიხილავთ".

**ტურნირის განრიგი**

| | |
|---|---|
| **11 თებერვალი** | |
| დინამო-გაგრა | 11:00 |
| დუშეთი-ოლიმპი | 15:00 |
| **14 თებერვალი** | |
| ოლიმპი-გაგრა | 12:00 |
| ზესტაფონი-დუშეთი | 14:30 |
| **16 თებერვალი** | |
| ოლიმპი-ზესტაფონი | 10:00 |
| **17 თებერვალი** | |
| დინამო-დუშეთი | 10:00 |
| **18 თებერვალი** | |
| დუშეთი-გაგრა | 12:00 |
| დინამო-ზესტაფონი | 14:30 |
| **22 თებერვალი** | |
| დინამო-ოლიმპი | 12:00 |
| ზესტაფონი-გაგრა | 14:30 |
| **24 თებერვალი** | |
| მატჩი III ადგილისთვის | 11:00 |
| ფინალი | 15:00 |

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა



## 1-10 თებერვალი ლელოში

[illegible]

1 თებერვალი. უჩა ლობჟანიძე 4 მილიონად გაიყიდა „დნიპროში“. ერთი წლის წინ დნეპროპეტროვსკის გზას ბექა გოცირიძეც გაუდგა შედარებით მოკრძალებულ ფასად - ერთ მილიონად, თუმცა მილიონზე მოკრძალებულიო, ცოტა უხერხული სათქმელია. ერთი კი არის - როგორც ვიცი, „დნიპროს“ პრეზიდენტი ამავე დროს ზესტაფონის ფეროს აქციონერია და ფერო, თავის მხრივ, „ზესტაფონს“ სპონსორობს. ანუ ის გამოდის, რომ უჩა ლობჟანიძეში გადახდილი ფული წრეზე ტრიალებს. ეს ფინანსური ოპერაციები ჩვენ არ უნდა გვაინტერესებდეს. ქართველი გულშემატკივრისთვის მთავარი ის უნდა იყოს, რომ ზესტაფონურ კლუბს ძლიერი ფინანსური ზურგი ჰქონდეს.

2 თებერვალი. ლევან მჭედლიძე ზაფხულამდე უთამაშებელი დარჩა და თბილისში ინდივიდუალურად თუ მოემზადება. ოღონდაც ასეთი მომზადება სრულყოფილი, ცხადია, ვერ იქნება. „პალერმოს“ პრეზიდენტს უთქვამს, რომ ფეხბურთელმა კლუბს პატივი უნდა სცეს და მჭედლიძის დემარშზე მიუთითებს. ფეხბურთელის ძმა კი ამბობს, რომ კლუბმა შეთანხმება დაარღვია, რაკი ლევანისთვის მუდმივ სათამაშო პრაქტიკას იყო დაპირებული. თუ მართლა ასე იყო, კლუბს ძალიანაც მიუქარავს - შემადგენლობაში ფეხბურთელის ყოლას ყოველი კონკრეტული მატჩის წინ მწვრთნელი წყვეტს და წინასწარი დაპირებების მიცემა სისულელეა.

3 თებერვალი. გოჩა ჯამარაულმა „ლელოსთან“ ინტერვიუში თქვა, ზვიად სიჭინავას ლევან ყიფიანის და გიორგი ნემსაძის მხარში ამოყენება სურდა, მაგრამ ვილაცამ არ ინდომაო. ეს ვილაც ვინ იყო, საკითხავი აი, ეს არის.

4 თებერვალი. „ლელომ“ ფიგურულ სრიალში არსებული მდგომარეობა და ძალთა თანაფარდობა გააანალიზა და გვამცნო, რომ ელენე გედევანიშვილისთვის ვანკუვერის ოლიმპიადაზე ათეულში შესვლა ძალიან კარგი შედეგი იქნება. კარგია ასეთი სტატია რომ დაიწერა - სჯობს გულშემატკივარმა ვითარება რეალურად გააანალიზოს და სპორტსმენისგან ზედმეტი არ მოითხოვოს. ხოლო თუ ელენემ მეტსაც მიაღწია, ხომ ერთად გავიხარებთ.

5 თებერვალი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების ტელეტრანსლაციების უფლებას მთელ ევროპაში ყველაზე კაბალურ ფასად ყიდის, რაც ფედერაციის ძველი შემადგენლობის „დამსახურებაა“. კონტრაქტი კი 2014 წლამდეა. მინსკში გამართულ უეფას კონგრესზე კოალიციაც შექმნილა რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ფეხბურთშიც ისეთივე აგრესიულია, როგორც პოლიტიკაში და ამ კოალიციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ზვიად სიჭინავასაც უთქვამს უეფელებისთვის რაც საჭირო იყო. საქმე ფეხბურთელებისთვის რუსული პასპორტების მასიურ დარიგებას ეხებოდა.

6 თებერვალი. მკითხეთ, ვინ არის იდეალური გულშემატკივარი და გიპასუხებთ - გოჩა თანდარაშვილი. ამიტომაც ძალიან გამიხარდა, „ლელოში“ გოჩასთან ინტერვიუ რომ წავიკითხე. ასეთ რამესაც ამბობს: „მანჩესტერი“-„ლივერპულის“ ყურება კარგია, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი, პირველ რიგში, „ლოკომოტივი“-„სამტრედიას“ თამაშზე უნდა დადიოდესო. გოჩა კი იმიტომ არის ჩემთვის იდეალური გულშემატკივარი, რომ სწორედ ასეთ თამაშებზე მინახავს არაერთხელ.

7 თებერვალი. დღეს კვირაა და დიდი მოვლენაცაა - წილისყრა!

8 თებერვალი. „ლელომ“ აბსოლუტური სიზუსტით ასახა ის განწყობა, რაც წილისყრის შედეგების გაცნობის შემდეგ ქართველ გულშემატკივარს უნდა ჰქონდეს. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანიო, მაგრამ ამ საპირველგვერდო სათაურს ქვესათაურიც აქვს, რომელიც შეგვახსენებს, რომ რეალობას არ უნდა მოვწყდეთ და ყოვლად გაუმართლებელი ტაშფანდურა არ უნდა გავმართოთ ჩვენი ჯგუფის შედარებითი სისუსტის გამო. ნუ დაგვავიწყდება, რომ როგორც ჩვენ გაგვიხარდა ის მეტოქეები, რომლებიც ამოგვივიდა, მათაც ზუსტად ისევე (უფრო მეტად თუ არა) გაუხარდათ, მეტოქედ საქართველო რომ ერგოთ და ალბათ, უკვე დაგეგმეს ჩვენი ნაკრებისთვის ასართმევი ქულების რაოდენობა.

9 თებერვალი. ნაწილისყრევს ზვიად სიჭინავამ გაამხილა, თემურ ქეცბაიას უთქვამს, ამ შესარჩევ ციკლში წინანდელზე უკეთესი შედეგი თუ ვერ ვაჩვენეთ, ქართულ პასპორტზეც კი უარს ვიტყვიო. მწვრთნელისთვის მხარი ფედერაციის პრეზიდენტსაც აუბამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქართველო ორ მოქალაქეს არ დაკარგავს - წინაზე უარესი შედეგი რაღა უნდა იყოს.

10 თებერვალი. არსენ კასაბიევმა პოლონეთის მოქალაქეობა მიიღო. ამ სპორტსმენის შენარჩუნება რომ ვერ შევძელით, ახლა ამის გამო თავზე ნაცრის წაყრის დრო არ არის, რაკი ლონდონის ოლიმპიადამდე სამი წელიც არაა დარჩენილი, ამ ვადაში ახალი ძალოსნის მომზადება ურთულესი საქმეა და მიუხედავად ამისა, როგორმე უნდა მოხერხდეს.


კვირის მოვლენა: წილისყრა ვარშავაში

● სავარაუდო ტრანსფერი

# აურზაური ფაბრეგასის გამო

## სესკი ჩავის და ინიესტას გაუტოლდება

ზამთრის სატრანსფერო სეზონი სულ ახლახან დაიხურა, თუმცა უკვე ცნობილია მომდევნო (ზაფხულის) სეზონის მთავარი გმირი, მონაწილე გუნდები, მოტივიცია და სავარაუდო თანხაც. საუბარია 22 წლის **ფრანსესკ ფაბრეგასი სოლერზე** ანუ **სესკზე**. ამაზე მიუთითებს, თუნდაც გუშინ ესპანურ და ევროპულ მედიაში ატეხილი დიდი აურზაური, თავისი უარყოფებითა და ვერსიებით...

გუშინ, დილით კატალონიურ დახლებზე გამოფენილი „სპორტის“ მყვირალა სათაური გვატყობინებდა: „ბარსა სესკს შეუთანხმდა!“. ეს გაზეთი ზოგადად ცნობილია, როგორც მყვირალა სათაურების მოყვარული გამოცემა, თუმცა, ვფიქრობთ, „ბლაუგრანას“ სამზარეულოში ჟურნალისტთა წრიდან თუკი ვინმეა ჩახედული, პირველ რიგში, „სპორტის“ ინფორმატორები არიან. მაშ, რას წერდა „სპორტი“:

*„სესკ ფაბრეგასმა „ბარსელონას“ საბოლოო თანხმობა განუცხადა და მომავალი სეზონიდან ის „ბლაუგრანას“ ღირსებას დაიცავს. „არსენალის“ ნახევარმცველმა კატალონიურ კლუბთან მიაღწია სიტყვიერ შეთანხმებას. გუშინ რადიოსადგურმა „ონა ფმ-მა“ გამოაცხადა, რომ ერთადერთი რაც ფეხბურთელსა და „ბარსელონას“ შორის განსახორციელებელია, ეს კონტრაქტზე ხელის მოწერაა. „ბარსა“ მზად არის ფაბრეგასის სანაცვლოდ „არსენალისთვის“ მისაღები ოდენობის თანხა გადაიხადოს. სესკი მონადინებულია დაუბრუნდეს იმ გუნდს, რომელმაც გაზარდა და ფეხბურთელად აქცია. მას საამისოდ მიზეზი აქვს - ფაბრეგას სურს რაც შეიძლება მეტი ტროფეი მოიგოს კარიერაში, „ბარსელონა“ კი საამისოდ მეტ შანსს იძლევა, ვიდრე „არსენალი“, რომელმაც ბოლო წლებში ვერ შეინარჩუნა თავისი ვარსკვლავები, ისეთი, როგორიც ტიერი ანრია. ჩვენ მოლაპარაკებებში ჩახედული წყაროსგან შევიტყვეთ, რომ ფეხბურთელმა უკვე განაცხადა პრინციპული თანხმობა და ახლა მზადდება მომავალი კონტრაქტის პუნქტები. კლუბმა ჩვენ არც დაგვიდასტურა და არც უარყო ინფორმაცია, თუმცა კიდევ ერთხელ აღიარა, რომ სესკის ყიდვა მის ინტერესებში შედის“.*

ასეთი ტექსტის შემდეგ „ბარსელონა“ იძულებული იყო, რაღაც მოემოქმედებინა. კატალონიურმა გრანდმა ოფიციალურად უარყო, რომ „არსენალის“ კაპიტანს ტრანსფერზე შეუთანხმდა.

„ბლაუგრანას“ წარმომადგენლები წუხან, რომ ამ ხმების გამო მათ „არსენალთან“ დამყარებული შესანიშნავი ურთიერთობა უფუჭდებათ. *„იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა მედია საშუალებებში გაჟღერებულმა ინფორმაციამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვაცხადებთ, რომ ჩვენ არანაირ მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ და, მით უფრო, არ მიგვიღწევია შეთანხმებას სესკ ფაბრეგასთან. ფიფას წესებით გათვალისწინებით, „ბარსელონა“ ყოველთვის ჯერ იმ გუნდს უთანხმდება, საიდანაც ვინმეს შეძენა სურს და მხოლოდ ამის შემდეგ - ფეხბურთელს. ჩვენ ვამაყობთ, რომ „არსენალთან“ ბრწყინვალე ინსტიტუციური ურთიერთობა გვაქვს“,* - ვკითხულობთ „ბარსელონას“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

„არსენალის“ ფრანგმა თავკაცმა **არსენ ვენგერმა** რადიოსადგურ „კადენა სერთან“ ჩართვაში აღნიშნა, რომ „ფაბრეგასი არ მიდის არსად, ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისათვის“. ამავე რადიოსადგურმა კარგად წარმოაჩინა, თუ საიდან მოდის ასეთი აქტიურობა „ფაბრეგასის საკითხზე“. ნუ დავაბრალებთ გაზეთ „სპორტის“ ხელმძღვანელებს, რომელთაც სურთ რაც შეიძლება მაღალი ტირაჟით გაიყიდოს გაზეთი, თავი და თავი „ბარსელონას“ პრეზიდენტის არჩევნებია, რომელიც ივნისში უნდა გაიმართოს. **ჟოან ლაპორტას** ყველა სავარაუდო მემკვიდრე ამომრჩეველთა გულის მოგებას სწორედ ფაბრეგასის ტრანსფერით ცდილობს. ამ მეთოდმა გაამართლა „რეალში“ და, ალბათ, გაამართლებს „ბარსელონაშიც“. თან თავად ფეხბურთელიც არ უნდა იყოს წინააღმდეგი, მშობლიურ გუნდში დაბრუნდეს. გაიაროს დაახლოებით ის გზა, რაც - **პიკემ**, რომელიც „მანჩესტერიდან“ „ბარსელონას“ დაუბრუნდა. უბრალოდ, სესკის შემთხვევაში ეს გაცილებით ძნელად განხორციელებადია. ფაბრეგასის დაბრუნების შემთხვევაში, „ბარსას“ შეეძლება 11-დან 9 საკუთარი სკოლის აღზრდილი გამოიყვანოს მოედანზე, ეს კი დიდებული შედეგია.

დილით გამსკდარ სკანდალს, ნაშუადღევს „ბარსას“ ოფიციალური უარყოფა მოჰყვა, საღამოს კი ესპანური მედია სესკის სავარაუდო ტრანსფერის ხანგრძლივობასა და თანხაზე წერდა. მოკლედ, „ბარსას“ უბრალოდ არ დაუჯერეს. იმავე „სპორტმა“ თავის ვებსაიტზე გამოაქვეყნა სტატია, თუ როგორ ეძებს ფაბრეგასი ბარსელონაში მისთვის შესაფერის აპარტამენტს. სესკი კატალონიელი კი არის, მაგრამ ის საკურორტო ქალაქ ვილასარ დე მარის მკვიდრია და ბარსელონაში არ ცხოვრობს. „სპორტმა“ ახსნაც მოუძებნა „ბლაუგრანას“ უარყოფას - ასე რომ არა, მათ სანქციები არ ასცდებათო. ხოლო სესკის საკონტრაქტო ვადად 5 სეზონი დასახელდა. ესპანური მედიის მტკიცებით, სესკი „ბარსელონაში“ დაახლოებით 6,5 მილიონ ევროს მიიღებს წელიწადში. დაახლოებით ასეთი ხელფასი კატალონიურ გუნდში **ჩავის, დანი ალვეშსა** და **ანდრეს ინიესტას** აქვთ. ინგლისური მედია, კერძოდ კი „დეილი მირორი“ იმ თანხას ასახელებს, რომელსაც ლონდონური გუნდი ფეხბურთელის სანაცვლოდ მოსთხოვს „ბლაუგრანას“ - 50 მილიონი ევრო.


სესკი ბარსელონაში ყოფნისას
ფაბრეგასი ბინებს არჩევსო...

ამ სატრანსფერო ციებ-ცხელებას გვერდს ვერც ბუკმეიკერები აუვლიდნენ - „კადენას სერის“ გადაცემის შემდეგ ტოტალიზატორმა „სქაი ბეტმა“ კოეფიციენტს მკვეთრად დაუკლო სესკ ფაბრეგასის „ბარსელონაში“ გადასვლის შემთხვევაში ახლა ეს შესაძლებლობა 5/2-თან განიხილება.

ფაბრეგასი „ბარსელონამ“ პატარა კლუბ „მატაროდან“ 1997 წელს აიყვანა, 16 წლის ასაკამდე ის „ბარსას“ ახალგაზრდულ გუნდებში იზრდებოდა და 2003 წლის სექტემბერში მან „არსენალთან“ მოაწერა ხელი კონტრაქტს; 2005-06 წლების სეზონიდან მყარად დამკვიდრდა გუნდის სასტარტო შემადგენლობაში. დღეისათვის სესკი გუნდის უპირობო ლიდერი და კაპიტანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტური

# წითელი სიგიჟე პორტსმუთში



ადამ ჯონსონი (მარჯვნივ) ყურადღების ცენტრში მოექცა

„მანჩესტერსიტის“ ახალი ვარსკვლავი გამოუჩნდა - გარემარბი **ადამ ჯონსონი**. ეს, „ბოლტონთან“ ისტლენდელთა 2:0 გამარჯვების საღამოს გამოჩნდა, როდესაც **რობერტო მანჩინის** გუნდმა 3 ქულა მიიწერა და ტოპოთხეულისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ხშირია, როდესაც შეხვედრის ვარსკვლავს იმ ფეხბურთელს უწოდებენ, რომელმაც გოლი გაიტანა. ამ შემთხვევაში ასე არ ყოფილა. გოლები „სიტის“ ცნობილმა თავდამსხმელებმა **ემანუელ ადებაიორმა** და **კარლოს ტევესმა** გაიტანეს, მაგრამ ვარსკვლავი სხვას უწოდეს.

22 წლის ჯონსონი მანჩესტერელებმა „მიდლსბროსგან“ სატრანსფერო ბაზრის დახურვის დღეს 8 მილიონ ფუნტად იყიდეს და როდესაც შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მანჩინიმ ის შეცვალა, „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმი“ ფეხზე წამოუდგა და ოვაცია მოუწყო. სწორედ ჯონსონმა მოიპოვა პირველ ტაიმში პენალტი, რომლითაც ტევესმა ანგარიში გახსნა და მართალია, მეორე საგოლე პასი ისტლენდელთა სხვა ახალწვეულმა, ვეტერანმა **პატრიკ ვიეირამ** შეასრულა, სწორედ ჯონსონი გახლდათ ის ფეხბურთელი, ვინც მოწინააღმდეგის მწვრთნელ **ოუენ კოილს** ნათლად განუმარტა, რომ ამ სტადიონიდან ერთ სეზონში მეორე ქულას ვერ წაიღებდა - კოილმა ისტლენდიდან პირველი ქულა ნოემბერში, „ბარნლის“ მწვრთნელობის დროს წაიღო. ახლა კოილს ბოლტონში დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი. გუნდი ძალიან სახიფათო ზონაში ტრიალებს და მან კლუბის მეპატრონეებს უნდა დაუმტკიცოს, რომ **გერი მეგსონი** ტყუილად არ შეცვალეს.

რასაკვირველია, მანჩესტერში ვიეირას წარდგენა არ სჭირდებოდა, ჯონსონს კი ინგლისის ამ კუთხეში ნაკლებად იცნობდნენ - როგორც ბრიტანელი ჟურნალისტები წერენ, სამაგიეროდ, მის შესახებ უკვე ორი წელიწადია ყველაფერი იციან ჩრდილო-აღმოსავლეთში, სადაც ფეხბურთელმა, რომელსაც მარცხენა ფრთაზე უყვარს თამაში, თავისი შეტევებით ხალხს თვალი მოსჭრა. სხვათა შორის, ჯონსონმა სახელი მარჯვენა ფრთაზე თამაშით გაითქვა - „მიდლსბროში“ მარცხნივ **სტიუარტ დაუნინგი** თამაშობდა და ისიც იძულებული იყო, ფლანგი შეეცვალა.

მიმომხილველები წერენ, რომ ჯონსონის ვარსკვლავური თამაშის გარეშე, რობერტო მანჩინის ფეხბურთელებს „ბოლტონის“ ძლევა შესაძლოა გვარიანად გასჭირვებოდათ. სტუმრები ფრიად მობილიზებულნი ცდილობდნენ თავიანთი კარის მისადგომების გამაგრებას, „არსენალისგან“ ნაქირავებმა **ჯეკ უილშირმა** კი გუნდს ნაპერწკალი შემატა, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, საბოლოოდ მასპინძლება გადაძალეს.

თამაშის შემდეგ მანჩინიმ ჟურნალისტებს განუცხადა: *„აი, სწორედ ამიტომ შევიძინეთ ადამ ჯონსონი. ის წარმატებას მოწყურებული ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელსაც ორივე ფრთაზე ეხერხება თამაში. გარდა ამისა იგი არც ცენტრალური თავდამსხმელის ზურგში მოქმედებასთან არის უცხოდ. ჯონსონი დღითიდღე იზრდება და ვფიქრობ, ცოტა ხანში „მანჩესტერ სიტის“ ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ჩამოყალიბდება“.*

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ემანუელ ადებაიორს საგოლე პასი პატრიკ ვიეირამ მიაწოდა. ბევრს ეგონა, რომ 33 წლის ფრანგის საუკეთესო დღეები უკვე გასული იყო, მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც მან „ბოლტონთან“ ითამაშა, „ბებერი პატრიკის რქებიც ხნავენ“.

*„მართლა ამდენი წლისა ვარ?* - იკითხა ვიეირამ მატჩის შემდგომ, როდესაც ჰკითხეს, თამაშის შემდეგ ძალების ალსადგენად რამდენი ხანი დასჭირდებოდა. ვიეირას დასაცავად ხმა აიმაღლა მწვრთნელმაც:

*„მე თავად 36 წლამდე ვითამაშე და ბოლო სეზონში საკმაოდ კარგ ფორმაშიც გახლდით. პატრიკის ასაკში სკუდეტო მოვიგე და ამიტომ არ მესმის, რატომ უნდა გაუჭირდეს მას რეგულარულად მაღალ დონეზე თამაში“.*

„პორტსმუთის“ თავდამსხმელმა **არუნა დინდანემ** მსაჯის წამატებული წუთების ბოლოს გაუტანა „სანდერლენდს“ და პრემიერლიგაში დარჩენის იმედით შინ ქულა დატოვა. არადა, „ფრეტონ პარკზე“ გამართულ შეხვედრაში სტუმრებმა მე-12 წუთზევე გახსნეს ანგარიში: **დარენ ბენტმა** პენალტი შეაგდო.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. მასპინძლებს შესვენებისას მწვრთნელი **ავრამ გრანტიც** კი გაუძევეს, რადგან მსაჯ **კევინ ფრენდს** ეკვეთა და საქმის გარჩევა დაუწყო: ებრაელ სპეციალისტს პრეტენზია იმის გამო ჰქონდა, რომ შესვენებამდე „პომპეის“ ფეხბურთელიც გაუგდეს და პენალტიც არ დაუნიშნეს, მაგრამ შესვენების შემდეგ გუნდმა დაამტკიცა, რომ რაც არ უნდა მოხდეს, სანამ მისი მწვრთნელი გრანტია, ბრძოლა ბოლო წამამდე არ შეწყდება.

გაძევებები ვახსენეთ: ამ მატჩში ფრენდმა სულ სამი ფეხბურთელი გააძევა მოედნიდან - „პორტსმუთიდან“ **რიკარდო როჩა**, მე-9 წუთზე, ხოლო „სანდერლენდიდან“ **ლი კატერმოლი** და **დევიდ მეიერი**.

როჩა იმ ეპიზოდში გააძევეს, როდესაც მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა: **კინუაინ ჯონსმა** გრძელი პასი მიიღო და **ბენტლი** დახვეწილი პასით გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, საჯარიმოში კი ბენტლის ფეხი როჩამ წამოსდო... აქ ერთი საოცარი ამბავი მოხდა: ფრენდი დაიბნა და როჩას მაგივრად **ჰასან იებდა** გააგდო. იებდასაც სხვა რაღა დარჩენოდა, გასახდელის გზას გაუდგა, მაგრამ როჩამ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. სტუმარი კატერმოლი არბიტრმა **ანგელოს ბასინასთან** უხეშობის გამო გააძევა - ნახევარმცველს პირველი ყვითელი 6 წუთით ადრე ჰქონდა მიღებული. დევიდ მეიერი კი მოედანზე ორად ორი წუთის შესული იყო, როდესაც ფრენდმა **სტივ ფინანის** წინააღმდეგ უხეშობისთვის წითელი აუფრიალა.

მატჩის შემდეგ ავრამ გრანტმა განაცხადა: *„მსაჯების პატიოსნებაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ ისინი ძალიან ჰყვებიან გარემოს და თან გაზეთებსაც კითხულობენ“.*

ასევე ფრედ დასრულდა „უიგანისა“ და „სტოკის“ შეხვედრა. მასპინძლები მე-14 წუთიდან იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში **თუნჯაის** თავურმა პირიდან ძვირფასი სამქულიანი ლუკმა გამოაცალა. „ფულჰემმა“ კი „ბარნლის“ უპრობლემოდ მოუგო 3:0.

**ილია ბაბუნაშვილი**

სასამართლო

## დროებით გადარჩენილი

„პორტსმუთი“ გადარჩა! გუშინ მას სასჯელი ერთი კვირით გადაუდეს და პეტიციის საფუძვლიანად მომზადების საშუალება მისცეს. ახლა, „პომპეის“ 17 თებერვლის 16 საათამდე შეუძლია შეადგინოს „ფინანსურ საქმეთა დეკლარაცია“, რომლითაც დაამტკიცებს, რომ მევალეთა გასტუმრება ხელეწიფება. შეგახსენებთ, რომ კლუბს ჯამში 7,4 მილიონი ფუნტის ტოლი ბეგარა დაუგროვდა გადასახდელი და ბრიტანეთის მთავრობის ეგრეთ წოდებულმა „მისი უდიდებულესობის შემოსავლებისა და საბაჟოს დეპარტამენტმა“, რომელიც გადასახადების აკრებითაა დაკავებული, სასამართლოში უჩივლა. თუ „პორტსმუთი“ ზემოხსენებულ დეკლარაციას შეავსებს, უახლოესი სასამართლო 19 თებერვალსლა გაიმართება. მაგრამ შეძლებს კი კლუბი პრობლემების მოგვარებას? მაგალითად, სასამართლოს რეგისტრატორმა **კრისტინ დერეტმა** ეჭვი გამოთქვა, რომ „პომპეი“ ამას ვერ მოახერხებს, აი, ახალ ვალებს კი დაიმატებს და ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო გაიუარესებს.

*„ამ კომპანიის ფინანსური მდგომარეობით ძალიან შეწუხებული ვარ,* - უთხრა ჟურნალისტებს ქალბატონმა დერეტმა, - *ვფიქრობ, სანამ ის ასეთ ვალებშია, სასჯელი არ ასცდება. რასაკვირველია, კარგად მესმის, რომ მისი გაკოტრებულად გამოცხადება და ადმინისტრირებაში გაშვება „პორტსმუთს“ ავნებს არა მხოლოდ როგორც ბიზნესერთეულს, არამედ გულშემატკივართა დიდ ლაშქარსაც იმედს გაუცრუებს. შევეცდები, ეს გარემოება გავითვალისწინო კიდეც“.*

ცნობისათვის: გასულ კვირას ჰონკონგელი ბიზნესმენი **ბალრამ ჩაინრაი** ამ სეზონში „პორტსმუთის“ მეოთხე მეპატრონე გახდა. მას იმედი ჰქონდა, რომ კლუბს ფაქტობრივად ყიდვისთანავე გაყიდდა. რასაკვირველია, ის ზარალში ჩავარდნას არც ახლა აპირებს. როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერ კიდევ კაცმა არ იცის.

„პორტსმუთის“ ვალი 60 მილიონი ფუნტია. მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ფეხბურთელებს ხელფასი უკვე ოთხჯერ დაუგვიანეს. გარდა ამისა, კლუბი დამოუკიდებელ სასამართლო პროცესს აწარმოებს ყოფილ მეპატრონე **ალექსანდრ გაიდამაკთან.** გაიდამაკი ამტკიცებს, რომ „პომპეის“ მისი 28 მილიონი მართებს, რომლიდანაც 9 მილიონი დანიშნულ დროს უნდა გადაეხადა, მაგრამ ვერ გადაიხადა.

**ილია ბაბუნაშვილი**

### მანჩესტ. სიტი-ბოლტონი 2:0

**სიტი:** გივენი, კომპანი, კოლო ტურე (55. ლესკოტი), ბრიჯი (68. რაიტ-ფილიპსი), საბალეტა, ვიეირა, ბერი, დე იონგი, ა. ჯონსონი (85. სილვინიო), ტევესი, ადებაიორი.

**ბოლტონი:** იასკელაინენი, რიკეტსი, ნაითი, რობინსონი, სტეინსონი, მუამბა, უილშირი (78. ტეილორი), კოენი (74. მ. დევისი), ლი, ელმანდერი, კ. დევისი.

**გოლები:** 1:0 ტევესი (31-პენ), 2:0 ადებაიორი (73)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 10-13 (3-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 42 016

### პორტსმუთი-სანდერლენდი 1:1

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, უილსონი, ბენ-ჰაიმი, როჩა, ფინენი (90. უებერი), ო'ჰარა, დიოპი (76. კანუ), იებდა (78. ბელჰაჯი), ბასინასი, დინდანი, პიკიონი.

**სანდერლენდი:** გორდონი, კილგალონი, ტერნერი, მაკარტი, ჰატონი, კატერმოლი, კანა, რეიდი (85. მეიერი), მალბრანკი (46. ზენდენი), ჯოუნსი, ბენტი (90. ბერდსლი).

**გოლები:** 0:1 ბენტი (12-პენ), 1:1 დინდანი (90)

**გაძევება:** როჩა (9. პორტსმუთი), კატერმოლი (55. სანდერლენდი), მეიერი (87. სანდერლენდი)

**გაფრთხილება:** 3-0; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 19-11 (5-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 16 242

### უიგანი-სტოკ სიტი 1:1

**უიგანი:** კირკლენდი, ბრემბლი, კოლდუელი, ფიგეროა, ბოისი, შარნერი, დიამი (81. მორენო), სკოტლენდი (60. გომესი), მაკარტი (55. თომასი), როდალეგა, ნზოგბია.

**სტოკი:** სორენსენი, შოუქროსი, ჰუთი, ჰიგინბოთემი, უილკინსონი, უელანი, დელაპი (60. ფულერი), ეზერინგტონი, უაითჰედი, სიდიბე (88. ბიტი), თუნჯაი (88. ლოურენსი).

**გოლები:** 1:0 შარნერი (14), 1:1 თუნჯაი (74)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 11-8; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 16-12 (2-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 16 033

### ფულჰემი-ბარნლი 3:0

**ფულჰემი:** შვარცერი, პანგელანდი, ა. პიუზი, შორი, ბეირდი, ეტუჰუ, მერფი, ს. დევისი (62. გრინინგი), დაფი (77. რიისე), ელმი, სამორა (71. ოკაკა-ჩუკა).

**ბარნლი:** იენსენი, კორტი (31. იგლზი), კარლაისლი, ედგარი, მერსი, მაკდონალდი, ბიკეი, ფოქსი, ელიოტი (56. კორკი), ფლეტჩერი, ნაჯენტი (76. პეტერსონი).

**გოლები:** 1:0 მერფი (23), 2:0 ელმი (31), 3:0 სამორა (54)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 17-11 (8-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 23 005

## გუშინ

### არსენალი-ლივერპული 1:0

**არსენალი:** ალმუნია, ებუე, გალასი, ვერმალენი, კლიში, სონგი, დიაბი, ფაბრეგასი, არშავინი (68. უოლკოტი), ნასრი (34. როსიცკი), ბენდტნერი (82. სანია).

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი (55. დეგენი), აგერი, შკრტელი, ინსუა, ლუკას ლეივა (78. ბაბელი), მასკერანო, ნგოგი, ჯერარდი, მაქსი როდრიგესი, კუიტი.

**გოლი:** 1:0 დიაბი (72)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 11-10 (3-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 60 045

### ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ 1:1

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, დანი, კოლინზი, ლ. იანგი, კუელიარი, ს. პეტროვი (65. სიდუელი), დელფი (59. კარეუ), მილნერი, დაუნინგი, ე. იანგი, აგბონლაორი.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, რაფაელი, ბრაუნი, ევანსი, ევრა, ქერიკი, სქოულზი (46. ვალენსია), ფლეტჩერი, გიგზი (74. ბერბატოვი), ნანი, რუნი.

**გოლები:** 1:0 კუელიარი (19), 1:1 კოლინზი (23-საკ. კარში)

**გაძევება:** ნანი (29. მანჩესტერ იუნ)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 10-14 (2-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 42 788

### ვესტ ჰემი-ბირმინგემი 2:0

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, ტომკინსი, ილუნგა (46. სპექტორი), ფობერი, კოვაჩი, პარკერი (86. ნობლი), დიამანტი, ბეჰრამი, კ. კოული, მიდო (66. ილანი).

**ბირმინგემი:** ჰარტი, დანი, რიჯუელი, რ. ჯონსონი, კარი, ბოუიერი (77. მიჩელი), ფერგიუსონი, ფეჰეი (67. მაკფადენი), გარდნერი, ჯერომი, ფილიპსი.

**გოლები:** 1:0 დიამანტი (45), 2:0 კ. კოული (67)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 14-9; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 14-11 (8-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 34 458

### ვულვზი-ტოტენჰემი 1:0

**ვულვზი:** ჰანემანი, ბერა, კრედოკი, უარდი (60. ელოკობი), ზუბარი, ჯოუნსი, გედიურა (72. მანსიენი), ჰენრი, ჯერვისი (81. მილიაში), ფოლი, დოილი.

**ტოტენჰემი:** გომეში, ბასონგი, დოუსონი, ბეილი, ქაბული, ჯენასი (46. პალასიოსი), ჰადლსტოუნი, კრანჩარი (72. მოდრიჩი), ბენტლი, დეფო, გუდიონსენი (63. კრაუჩი).

**გოლი:** 1:0 ჯოუნსი (27)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 10-13 (2-3); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 27 992

### ბლექბერნი-ჰალი 1:0

**ბლექბერნი:** რობინსონი, მიჩელ სალგადო, ჟივე, ნელსენი, ოლსონი, პედერსენი, ენდრიუსი, ნზონზი, დიუფი, ემერტონი (70. რობერტსი), კალინიჩი (90. რიდი).

**ჰალი:** მაიჰილი, გარდნერი, მუიოკოლო, დოუსონი (67. ზაკი), მაკშეინი, კეირნი, ბოატენგი, ჰანტი, ფეგანი, ვენეგოორი (44. ოლოფინიანა), ალტიდორი.

**გოლი:** 1:0 მაიჰილი (16-საკ. კარში)

**გაძევება:** ბოატენგი (41. ჰალი)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 17-6 (5-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 23 518

### ევერტონი-ჩელსი 2:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, დესტენი, ჰეიტინგა, ბაინესი, ფ. ნევილი, ოსმანი, არტეტა (74. როდუელი), ბილიალეტდინოვი (86. გოსლინგი), დონოვანი, საა (90. სენდეროსი), კაჰილი.

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ტერი, კარვალიო, ჯ. კოული (57. ბალაკი), ობი მიკელი (76. სტარიჯი), ჟირკოვი, ლემპარდი, მალუდა, დროგბა, ანელკა (67. კალუ).

**გოლები:** 0:1 მალუდა (17), 1:1 საა (33), 2:1 საა (75)

*45-ე წუთზე საამ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 10-21 (5-3); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 38 556

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 26 | 18 | 4 | 4 | 61-22 | 58 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 26 | 18 | 3 | 5 | 62-21 | 57 |
| 3. არსენალი | 26 | 16 | 4 | 6 | 61-30 | 52 |
| 4. ლივერპული | 26 | 13 | 5 | 8 | 43-27 | 44 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 24 | 12 | 8 | 4 | 47-32 | 44 |
| 6. ტოტენჰემი | 26 | 12 | 7 | 7 | 45-26 | 43 |
| 7. ასტონ ვილა | 25 | 11 | 9 | 5 | 32-19 | 42 |
| 8. ბირმინგემი | 25 | 10 | 7 | 8 | 24-26 | 37 |
| 9. ევერტონი | 24 | 9 | 8 | 8 | 35-36 | 35 |
| 10. ფულჰემი | 26 | 9 | 7 | 10 | 30-28 | 34 |
| 11. ბლექბერნი | 26 | 8 | 7 | 11 | 26-43 | 31 |
| 12. სტოკი | 24 | 7 | 9 | 8 | 23-27 | 30 |
| 13. სანდერლენდი | 25 | 6 | 8 | 11 | 32-42 | 26 |
| 14. ვესტ ჰემი | 25 | 5 | 9 | 11 | 32-40 | 24 |
| 15. ვულვზი | 25 | 6 | 6 | 13 | 21-42 | 24 |
| 16. უიგანი | 24 | 6 | 6 | 12 | 26-49 | 24 |
| 17. ჰალი | 26 | 5 | 9 | 12 | 25-51 | 24 |
| 18. ბარნლი | 25 | 6 | 5 | 14 | 25-50 | 23 |
| 19. ბოლტონი | 24 | 5 | 7 | 12 | 29-46 | 21 |
| 20. პორტსმუთი | 23 | 4 | 4 | 17 | 20-42 | 16 |

**ბომბარდირები:** 21 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 17 - დროგბა (ჩელსი); 15 - დეფო (ტოტენჰემი); 15 - ბენტი (სანდერლენდი); 13 - საა (ევერტონი); 12 - ტევესი (მანჩესტერ სიტი), ტორესი (ლივერპული); 11 - ფაბრეგასი (არსენალი); 10 - აგბონლაორი (ასტონ ვილა), ლემპარდი (ჩელსი).

იტალია

## სერია A
## გამოტოვებული მატჩი

### პარმა-ინტერი 1:1

**პარმა:** მირანტე 7 - ძაკარდო 6.5, ა. ლუკარელი 6.5, დელაფიორე 6.5, გალოპა 5.5 (75. ლ. ანტონელი 6) - მორონე 6, ხიმენესი 7, კასტელინი 6, ვალიანი 5.5 - ბიაბიანი 7, ბოჟინოვი 7 (68. პალოსკი 6).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6 - მაიკონი 6, მატერაცი 6, ლუსიო 7, კორდობა 5.5 (58. სანტონი 5.5) - კამბიასო 5.5, ტიაგო მოტა 5.5 (57. ბალოტელი 7), ხ. ძანეტი 6 - ეტო'ო 5.5 (68. მარიგა 6), მილიტო 6, პანდევი 7.

**გოლები:** 1:0 ბოჟინოვი (55), 1:1 ბალოტელი (60)

**გაძევება:** ვალიანი (73. პარმა)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 22-18; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14-18 (4-8); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 20 128

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 23 | 16 | 5 | 2 | 49-20 | 53 |
| 2. რომა | 23 | 13 | 5 | 5 | 38-26 | 44 |
| 3. მილანი | 22 | 12 | 6 | 4 | 36-22 | 42 |
| 4. ნაპოლი | 23 | 10 | 8 | 5 | 32-27 | 38 |
| 5. პალერმო | 23 | 10 | 7 | 6 | 31-26 | 37 |
| 6. სამპდორია | 23 | 10 | 6 | 7 | 30-31 | 36 |
| 7. ჯენოა | 23 | 10 | 5 | 8 | 36-36 | 35 |
| 8. იუვენტუსი | 22 | 10 | 4 | 8 | 34-29 | 34 |
| 9. კალიარი | 22 | 9 | 5 | 8 | 34-29 | 32 |
| 10. ბარი | 23 | 8 | 8 | 7 | 30-25 | 32 |
| 11. ფიორენტინა | 22 | 9 | 4 | 9 | 28-25 | 31 |
| 12. პარმა | 23 | 8 | 6 | 9 | 26-32 | 30 |
| 13. კიევო | 23 | 8 | 5 | 10 | 23-24 | 29 |
| 14. ბოლონია | 23 | 6 | 7 | 10 | 24-31 | 25 |
| 15. უდინეზე | 22 | 6 | 6 | 10 | 26-29 | 24 |
| 16. კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 23-30 | 23 |
| 17. ლივორნო | 23 | 6 | 5 | 12 | 15-31 | 23 |
| 18. ლაციო | 22 | 4 | 9 | 9 | 16-23 | 21 |
| 19. ატალანტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21-34 | 20 |
| 20. სიენა | 23 | 3 | 4 | 16 | 24-46 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშვნა

# ლაციო: დიახ, რეია!



ედოარდო რეია

წინა ნომერში გაუწყეთ, რომ **დავიდე ბალარდინის** „ლაციოდან" წასვლის საკითხი გადაწყვეტილი იყო. ეს ამბავი რომაული კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ დაადასტურა და იქვე დასძინა, რომ ამიერიდან „ბიანკოჩელესტეს" **ედუარდო რეაია** გაწვრთნის. გამოცდილი სპეციალისტი ბოლოს ხურვატულ „ჰაიდუკს" ედგა სათავეში, თუმცა, როგორც კი „ლაციოდან" მიიღო შეთავაზება, ბალკანურ კლუბთან უმალ გაწყვიტა ხელშეკრულება.

რეია „ლაციოსთან" 2011 წლამდე გააფორმებს კონტრაქტს. სეზონის ბოლომდე 300 000 ევროს მიიღებს, მომდევნო სეზონში კი 700 000-ს. იტალიურ მედიაში უკვე გავრცელდა „ლაციოს" პრეზიდენტის, **კლაუდიო ლოტიტოს** კომენტარი, რომელიც ახალ მწვრთნელს კონკრეტულ ამოცანას უსახავს:

*„ნამდვილად არ მეგონა, თუ სეზონის შუაწელს გასავარდნ ზონაში აღმოვჩნდებოდით. ედი რეაია გამოცდილი მწვრთნელია და იმედია, ამოიყვანს გუნდს ამ ჭაობიდან. მას ერთადერთი ამოცანა აქვს, გადაარჩინოს გუნდი სერია B-დან გავარდნას. სამწუხაროდ, უფრო მაღალ მიზნებზე ლაპარაკი დღეს შეუძლებელია".*

**ლაშა წიკლაური**

სამპდორია

# პაცინი უკვე ჯანზეა

სერია A-ს მომდევნო ტურში, „სამპდორია" „ფიორენტინას" დაუპირისპირდება. მას შემდეგ, რაც **ლუიჯი დელ ნერიმ ანტონიო კასანო** სათადარიგოთა სკამზე გაამწესა, გენუური კლუბის საქმეები აშკარად უკეთესობისკენ წავიდა. გასულ ტურში „სამპამ" „სიენა" დაამარცხა, თუმცა გენუელებს ერთი უსიამოვნო ამბავი შეემთხვათ - ტრავმა მიიღო გუნდის წამყვანმა თავდამსხმელმა **ჯამპაოლო პაცინიმ**. როგორც შემდეგ გაირკვა, ახალგაზრდა ფორვარდი მსუბუქად დაშავდა და დიდია შანსი, ამ უქმეებზე, „ფიორენტინას" წინაამდეგ ასპარეზობა შეძლოს. საგულისხმოა, რომ ჯამპაოლო სწორედ „ვიოლადან" გადავიდა „სამპდორიაში" და როგორც თვითონ ამბობს, ყოფილ კლუბთან დაპირისპირების დიდი სურვილი აქვს:

*„ფლორენციაში გატარებული წლები არასდროს დამავიწყდება, ეს არის შესანიშნავი ქალაქი, სადაც დღემდე უამრავი მეგობარი მყავს. „ფიორენტინაში" ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს და როდესაც გუნდის დატოვებამ მომინია, კარგა ხანს უხასიათოდ გახლდით. არ არის გამორიცხული, ოდესმე კიდევ ვითამაშო იისფერი მაისურით, თუმცა დღეს მხოლოდ „სამპდორიაში" ასპარეზობაზე ვარ კონცენტრირებული. ექიმებმა მითხრეს, რომ დიდი ალბათობით ფლორენციელთა წინააღმდეგ თამაშს შევძლებ. მართალია, „ვიოლა" დღემდე ჩემს გულშია, მაგრამ პირველ რიგში, პროფესიონალი გახლავართ და ყველანაირად ვეცდები, სებასტიან ფრეის გოლი გავუტანო".*

**ლაშა წიკლაური**



ფელიქს მაგათი და მისი ფოლკსვაგენი

შალკე

# მაგათი ეძებს... მძღოლს!

## ლევან ყენიას მწვრთნელს მართვის მოწმობა ერთი თვით ჩამოართვეს

320 ევრო უნდა გადაიხადოს, რაც მისთვის, რა თქმა უნდა, გროშებია.

გელზენკირხენის „შალკეს" მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** გუშინ ფოსტით წერილი მიიღო, რომელიც მას ნამდვილად არ გაახარებდა. **ლევან ყენიას** გუნდის დამრიგებელს აცნობეს, რომ მას ერთი თვით ჩამოერთვა მართვის მოწმობა. „დესპოტ ფელიქსს" ასეთი განაჩენი ცელეს სამხარეო სასამართლომ გამოუტანა. გარდა იმისა, რომ ერთი თვე ავტომობილს ველარ მართავს, მაგათმა ჯარიმის სახით

საქმე იმაშია, რომ გასული წლის მარტში მაგათი თავის ავტომობილს ავტობანზე 148 კმ/სთ სიჩქარით მიაქროლებდა. ეს იმ დროს, როცა იმ მონაკვეთზე მხოლოდ 100 კმ/სთ-ით მოძრაობა იყო ნებადართული. ფელიქსი პოლიციამ გააჩერა. ფელიქსმა სასამართლოს სთხოვა, მართვის მოწმობა არ ჩამოერთვათ და თანახმა იყო, უფრო დიდი ჯარიმა გადაეხადა, მაგრამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილებს. ასე რომ, ფელიქსს ერთი თვით მძღოლი სჭირდება.

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის ნაკრები

# ლიოვი მუნდიალის მერე წავა!

მართალია, გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე (ამის შესახებ გუშინდელ ნომერში ვწერდით) გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმა**, გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** და ბუნდესგუნდის მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** გერმანულ მედიას „დიდი შერიგებისა" და გაუგებრობების დასასრულის შესახებ ამცნეს, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ბოდიშებიც იხადეს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ლიოვი და მისი შტაბი კონტრაქტების გაგრძელებაზე უარს იტყვიან, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ნაკრებს მუნდიალის შემდეგ ახალი თავკაცი ეყოლება.

გაუგებრობები და დაპირისპირება ოფიციალურად დასრულებულია, მაგრამ მხოლოდ ოფიციალურად - ეს სხვაგვარად ვერც იქნებოდა. სამშაბათს ცვანციგერმა, ლიოვმა და ბირჰოფმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ერთმანეთს ულიმოდნენ, მაგრამ როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, ეს მხოლოდ მოჩვენებითი ჟესტი იყო. ფაქტი ფაქტად რჩება: გერმანიის საფეხბურთო კავშირს ლიოვთან და მის გუნდთან ახალი კონტრაქტების გაფორმება მსოფლიოს ჩემპიონატამდე სურდათ, რადგან გერმანელებს ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და გარკვეული უყვართ. რაკი შეთანხმება არ შედგა (მიზეზებზე არაერთხელ ვწერდით), შანსი იმისა, რომ ლიოვმა ბუნდესგუნდს მუნდიალის შემდეგაც უხელმძღვანელოს, ძალიან მცირეა.

ჟურნალმა „შპორტ ბილდმა" ოთხშაბათის გამოცემაში საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმად, იოახიმ ლიოვი მუნდიალის შემდეგ კონტრაქტს არ გააგრძელებს და ბუნდესგუნდს დატოვებს. ხსენებული გამოცემა წერს, რომ ლიოვი ძალიან იმედგაცრუებულია იმ ყველაფრის შემდეგ, რაც ბოლო ორ კვირაში მოხდა. პრესკონფერენციამდე, რომელიც გუშინწინ გაიმართა, ლიოვს, ბირჰოფს და ცვანციგერს ერთმანეთში საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ, რომლის დროსაც, როგორც „შპორტ ბილდი" წერს, ლიოვმა და ბირჰოფმა საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს კიდევ ერთხელ წაუყენეს თავიანთი მოთხოვნები. ხსენებული გამოცემის ცნობით, ლიოვმა თავისთვის და თავისი შტაბისთვის 4 მილიონი ევროს ოდენობის ბონუსი, ე.წ. ჯიბის ფული მოითხოვა. აქედან 2 მილიონს იოგი ჩაიჯიბავდა, დანარჩენს კი მისი შტაბის წევრები, ბირჰოფი, ასისტენტი **ჰანს ფლიკი** და მეკარეების მწვრთნელი **ანდრეას კიოპკე** გაინაწილებდნენ.

როგორც „შპორტ ბილდი" წერს, პრეზიდენტ ცვანციგერს ასეთ მოთხოვნაზე ძალიან ცუდი რეაქცია ჰქონდა და მან პირდაპირ თქვა, რომ ლიოვისგან ასეთ მოთხოვნას ნამდვილად არ ელოდა და რომ იმედგაცრუებულია. „შპორტ ბილდი" იმასაც წერს, რომ ბირჰოფმა და ცვანციგერმა შეხვედრის დროს ფაქტობრივად იჩხუბეს.

მართალია, პრესკონფერენციაზე ცვანციგერმა განაცხადა, რომ შტაბიდან ნებისმიერს შეელევა, ოღონდ არა ლიოვს, მაგრამ ამ შემთხვევაში პრეზიდენტის მოსაზრებას მნიშვნელობა ეკარგება, რადგან თვითონ იოგი თავისი შტაბის წევრების გარეშე მუშაობის გაგრძელებაზე უარს ამბობს.

მოკლედ, „შპორტ ბილდის" ცნობით, ამთავითვე გადაწყვეტილია, რომ ლიოვი კონტრაქტს არ გააგრძელებს და ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირს მისი შემცვლელის ძებნა არ დასჭირდება. ლიოვს მუნდიალის შემდეგ **მათიას ზამერი** შეცვლის, რომელიც ამჟამად საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორია.

ცნობილია, რომ ზამერი ბირჰოფის დაუძინებელი მტერია და ბოლო დროს მას ლიოვთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა - მათიასი და იოახიმი ერთმანეთს გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში კომპეტენციების გამო წაეკიდნენ და ამ ბრძოლაში ცვანციგერმა ლიოვს გაამარჯვებინა. „შპორტ ბილდი" წერს, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, ზამერსა და გერმანიის საფეხბურთო კავშირს შორის შედგა შეთანხმება, რომ ლიოვს აუცილებლად მათიასი შეცვლიდა.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ „შპორტ ბილდის" ინფორმაციით ზამერი განიხილება არა მხოლოდ ბუნდესმწვრთნელის თანამდებობაზე, არამედ როგორც გერმანიის ნაკრების „სუპერ-ბოსი", რომელიც სპორტულ და საორგანიზაციო საკითხებს ერთად მიხედავს. მეტიც: ზამერს გერმანიის ნაკრების მენეჯერის თანამდებობაზე (ახლა ეს პოსტი ბირჰოფს უკავია) **ოლივერ კანის** დანიშვნა სურს და ტიტანისგან თანხმობაც მიღებული აქვს. არსებობს მეორე ვარიანტიც: ზამერი იქნება გერმანიის ნაკრების „ბოსი", ხოლო უშუალოდ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე კი სხვა იმუშავებს. კანდიდატები: **იურგენ კლოპი** (ახლა დორტმუნდის „ბორუსიას" წვრთნის), **ოტმარ ჰიტცფელდი** (შვეიცარიის ნაკრები) და **გუუს ჰიდინკი** (რუსეთის ნაკრები).

**გოტფრიდ ლენცი**



სკანდალი

# სექსუალური ძალადობა მსაჯების ბოსსა და მსაჯს შორის?

## 62 წლის მანფრედ ამერელს საშინელი ბრალდება წაუყენეს

გერმანიის საფეხბურთო კავშირის მსაჯთა კომისიის გენერალურ მდივან **მანფრედ ამერელს** უმძიმესი ბრალდება წაუყენეს. გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ" გუშინდელ ნომერში წერდა: *„საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით შევიტყვეთ, რომ 62 წლის ამერელს არაერთხელ ჰქონდა სექსუალური ძალადობის მცდელობა ახალგაზრდა მსაჯზე!"*

„ბილდმა" კი გამოარკვია, რომ ის ახალგაზრდა მსაჯი 27 წლის არბიტრი **მიხაელ კემპტერია**. „ფრანკფურტერ რუნდშაუს" ცნობით, კემპტერმა გასული წლის მიწურულს, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სამსაჯო კომისიის თავმჯდომარე **ფოლკერ როთს** თხოვნით მიმართა, რაიმე ეღონათ ამერელის წინააღმდეგ, რომელიც მას „საკმაოდ ცუდად ექცეოდა". ცნობილია, რომ იანვრის შემდეგ ამ ყველაფრის შესახებ იცის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმაც**.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ამერელი ცოტა ხანს დუმდა, მაგრამ მერე ალაპარაკდა და ბრალდებები, რა თქმა უნდა, უარყო. *„ეს არის აბსოლუტური სისულელე და არ ვიცი, საიდან მოიტანეთ ეს ინფორმაცია. ამ წუთას მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, დანარჩენს კი ჩემი ადვოკატი მიხედავს,"* - განუცხადა მან „ბილდს".

მანფრედ ამერელი 1980-დან 1990 წლამდე ბუნდესლიგის არბიტრი იყო. მანამდე კი „მიუნხენ 1860"-სა და „აუგსბურგში" მენეჯერის პოსტებზე მუშაობდა. სამსაჯო კარიერის დასრულების შემდეგ კი ამერელმა გერმანიის საფეხბურთო კავშირში დაიწყო მუშაობა...

**გოტფრიდ ლენცი**



მანფრედ ამერელი



მიხაელ კემპტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# იულიუს კეისარი

**კარლო ანჩელოტიმ** თავი „იულიუს კეისრად“ გამოაცხადა: ის პრემიერლიგაში მივიდა, ნახა და... მოკლედ, იტალიელი სპეციალისტი რომის იმპერიის შენებაშია. კვირას, როდესაც მისმა „ჩელსიმ“ „არსენალს“ სძლია, „მილანის“ ყოფილი თავკაცი სიამაყით აღივსო. ახლა მას თავისი იმპერიის მთელ ევროპაში გავრცობა ამოუჭრია გულს.

„როდესაც მახსენდება რა მოხდა ამ სეზონში, გონებაში უნებლიეთ იულიუს კეისრის ფრაზა მოდის: მივედი, ვნახე, გავიმარჯვე! მე ინგლისში ჩამოვედი, ვნახე, რანაირად თამაშობენ აქ და სანამ წავალ, მინდა ასოციაციის თასი, პრემიერლიგის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგა მოვიგო. სხვათა შორის, ლონდონში ჩამოსვლის შემდეგ იუმორის გრძნობა არ დამიკარგავს. აქ, ინგლისში, ყოველდღე წვიმს, ხალხი კი საკმაოდ ხშირად მეუბნება, რომ მშვენიერი დღეა. აი, სწორედ მაშინ ვიწყებ იულიუს კეისარზე ლაპარაკს. ის დიდხანს იყო ბრიტანეთის კუნძულებზე, შემდეგ კი იტალიაში, ამალფის სანაპიროზე მოუწია დაბრუნებამ. თუმცა, მე დაბრუნებას არსად ვჩქარობ. აქ, ძალიან ძლიერი ჩემპიონატია გაჩაღებული და სულაც არ მგონია, რომ გამარჯვება იოლად მოვა. თუ ინგლისსა და იტალიას შორის პარალელებს გავავლებთ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ინტერს“ შევადარებდი, „არსენალს“ - „რომას“, ხოლო „მანჩესტერ სიტის“ - „ფიორენტინას“. რაც შეეხება „ჩელსის“, მინდა ის ჩემს ყოფილ გუნდს, „მილანს“ შევადარო და თუ „მილანის“ მიერ თავის დროზე დაპყრობილ სიმაღლეებსაც შევწვდებით, სულაც არ იქნება ცუდი“.

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ ანჩელოტიმ ერთი ბრძოლა უკვე მოიგო: იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ფეხიც არ შეუდგამს. ამას რომ ეუბნებიან, მას ეცინება:

„ზოგ სკეპტიკოს ჟურნალისტთან ნაძლევი მქონდა - „ჩელსიმ“ ამ იანვარში ვინმე თუ იყიდა, ქუჩაში შიშველი გავალ-მეთქი. მათ გაუმართლა და არ წავაგე. გულწრფელად გეუბნებით, ახალი ფეხბურთელი არ მჭირდება. ჩემი მოთამაშეები ძალიან კარგად ართმევენ ამოცანას თავს და თან, თანამედროვე ფეხბურთელის კარიერა უწინდელზე ხანგრძლივია. მთავარი ოსტატობა და ხარისხია, ეს კი „ჩელსის“ ნამდვილად არ აკლია“.

რაც შეეხება ინგლისურ ფეხბურთსა და ყოფასთან შეგუებას, ანჩელოტის თქმით, მას ამ საქმისთვის დრო საერთოდ არ დასჭირვებია:

„როდესაც ჩემს ფეხბურთელებზე ვბრაზდები, იტალიურად ყვირილიც კი აღარ მჭირდება. საკმარისია ერთი „ფაქ ოფ“ დავიძახო და სულ ეს არის. ინგლისი უნიკალური ქვეყანაა. აქაური ადამიანები ნებისმიერ ვითარებაში ზრდილობიანები არიან. სულერთია, სად ხარ, ქვეყნის რომელ კუთხეში, ეს თვისება ყველგან ძალიან გახლავთ გამოხატული. მე ჩვენი საწვრთნელი ბაზის სიახლოვეს, სოფელ ოქსშოტში ვცხოვრობ, მაგრამ ხშირად ლონდონში ჩავდივარ და ქალაქის უამრავ უბანში ვიკარგები. ძალიან მომწონს ლონდონი, დიდებული ქალაქია. უკვე მარჯვენა მხარეს მოძრაობასაც დავეჩვიე, მოძრაობის აქაურ წესებსაც ალლო ავუღე. ძალიან მომწონს ის ამბავი, რომ წესებს ყველა პატივს სცემს და იცავს. მაგრამ თუ რამეს არასწორად გააკეთებ, სერიოზულად დაისჯები“.



ხომ არ გაყოყოჩდა კარლო?

შემდეგ კი ინგლისურ პრესასთან ურთიერთობაზეც ითქვა ორიოდ სიტყვა: „რა ვქნა, დავეჩვიე, რომ აქაური პაპარაცები ყოველგვარ ზღვარს გადადიან, თუმცა ინგლისში გამომგზავრების წინ გაცილებით უფრო რთულ გარემოს ველოდი. რაც შეეხება ფეხბურთელების ცხოვრების წესს, სანამ ის მათი თამაშის ხარისხს არ შეეხება, ნამდვილად არ მეხება და არ მაღელვებს. ჯონ ტერი, მაგალითად, ჩემთვის გახლავთ დიდებული პროფესიონალი და კაპიტანი, რომელიც „ჩელსიში“ თამაშს ძალიან დიდ პატივად მიიჩნევს. ძალიან მიხარია, რომ ფანებმა გასულ შაბათს მას დიდი მხარდაჭერა აგრძნობინეს. თუმცა, აქვე დავძენ, რომ შეუცვლელი არავინ არის, მე გუნდში ბევრი დიდებული ფეხბურთელი მყავს“.

**ილია ბაბუნაშვილი**

მილანი

# ჯეკოს შეეშვნენ, უდინეზეს უფრთხიან

**ედინ ჯეკოს** გადაბირება „მილანის“ მესვეურებს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდათ, მაგრამ გერმანელებთან ფინანსურ საკითხზე ვერ მოილაპარაკეს. მაშინ ვოლფსბურგელებმა წამყვანი ფორვარდის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო მოითხოვეს, რაც ლომბარდიელებს ძალიან ეძვირათ. **ადრიანო გალიანი** მზად იყო, ბოსნიელი ფორვარდის სანაცვლოდ 16 მილიონი ევრო გადაეხადა, თუმცა ამაზე უკვე გერმანული მხარე არ დათანხმდა. სხვა გზა რომ აღარ იყო, იტალიელები მეორე ფრონტზე გადაერთვნენ და მადრიდის „რეალიდან“ **კლას-იან ჰუნტელაარი** გადაიბირეს. ბევრს ეგონა, რომ ჰოლანდიელი „მილანში“ საუკეთესო კუთხით წარმოჩნდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ჰუნტეს მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა და ისეთი პირი უჩანს, რომ ვითარება სეზონის ბოლომდე არც შეიცვლება.

ჰუნტელაარის შემხედვარე, მილანელები კვლავ მიუბრუნდნენ ჯეკოს და ბოსნიელი ფეხბურთელის გადაბირების საკითხი კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში. ამ ზამთარს მოლაპარაკებები განახლდა, თუმცა შედეგი არც ამან გამოიღო. გერმანელებმა რამდენჯერმე შეუთვალეს მილანელებს, ჯეკოს ტრანსფერზე სიტყვის გაგონებაც აღარ გვსურსო. გალიანიმ მაინც არ მოისვენა და ამ საკითხზე სამუშაოდ გერმანიაში სპეციალური წარმომადგენელი გაგზავნა. როგორც ჩანს, „ვოლფსბურგის“ მესვეურებს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდათ და მილანელთა გასაგონად ედინის სატრანსფერო ფასი, 40 მილიონი ევრო დაადეს. ეს ის თანხაა, რომელსაც ჯეკოში არავინ გადაიხდის და გასაგებია, რომ ამით გერმანელებს მხოლოდ ედინის ყიდვის მსურველთა დაფრთხობა სურდათ, პირველ რიგში კი „მილანის“. გამოუვიდათ კიდეც, რაზეც გალიანის სიტყვები მეტყველებს:

„ჯეკოს თაობაზე ყველანაირ მოლაპარაკებას ვწყვეტთ, რადგან გერმანელები მის გაყიდვას ცოცხალი თავით არ აპირებენ. ბოსნიელში 40 მილიონი ევრო მოითხოვეს, რაც არარეალური, კოლოსალური თანხაა. ჯეკო ძალიან ძლიერი თავდამსხმელია და ამადაც გვსურდა მისი შეძენა, მაგრამ ასეთ პირობებს ნამდვილად ვერ დავთანხმდებით. ედინის ყიდვას ზაფხულში ვაპირებდით და არა ზამთარში, როგორც ამას ჟურნალისტები წერენ. მას „ვოლფსბურგთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში აქვს ნათამაშები და გადმობირების შემთხვევაში, საერთაშორისო სარბიელზე ვერ დაგვეხმარებოდა. ამიტომ, მოლაპარაკებები ზაფხულის სატრანსფერო პერიოდზე იყო გათვლილი, თუმცა... როგორც უკვე აღვნიშნე, მოლაპარაკება ჩიხში შევიდა“.

„მილანის“ ბოლოდროინდელ წარუმატებელ ასპარეზობას იტალიური პრესა ფართოდ ეხმაურება. რაღაც მოიშალა გუნდის მექანიზმში, რამაც შედეგებზე შესაბამისი ასახვა პოვა. თუ სამიოდე კვირის წინ ბევრი სკუდეტოს მოპოვების მთავარ ფავორიტად „როსონერის“ მიიჩნევდა, დღეს ყველა თანხმდება, რომ „ინტერს“ სასწაული თუ შეუშლის ხელს, შეინარჩუნოს ჩემპიონის ტიტული. განსაკუთრებული კრიტიკის ქვეშ მილანელთა მცველებს უწევთ ყოფნა, რომელთა თამაში ხშირად ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ მოსაზრებას არ იზიარებს **ლუკა ანტონინი**:

„ყველაფრის მცველებზე გადაბრალება არა მგონია, რომ სწორი იყოს. ისეც ხდება, რომ დაცვაში კარგად ვთამაშობთ, მაგრამ გოლის გატანა გვიჭირს. თანაც, თანამედროვე ფეხბურთში ასე მარტივად არ დგას საკითხი. როცა გუნდი გოლებს უშვებს, ამაში მცველებთან ერთად, შემტევებსაც მიუძღვის ბრალი. დღეს თერთმეტი ფეხბურთელი უტევს და შესაბამისად, თერთმეტივე იცავს თავს. დიახ, თერმეტი უტევს, რადგან მეკარეც კი, კარნახით და გრძელი გადაცემებით ჩართულია ამ პროცესში. ასე რომ, უმჯობესია კომპლექსურად შევხედოთ საკითხს და მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოვფხვრით პრობლემებს. „ბოლონიასთან“ დასანანი ქულები დავკარგეთ და საკმაოდ რთულ სიტუაციაში ჩავიგდეთ თავი. თუ ჩემპიონობისთვის გვინდა ბრძოლა, ნაფორხილების უფლება აღარ გვაქვს. თითოეული შეხვედრა უმაღლესი კონცენტრაციით უნდა ჩავატაროთ, რათა ძველი შეცდომები აღარ გავიმეოროთ. მომდევნო მეტოქე „უდინეზეა“, გუნდი, რომელიც ძალიან კარგად იცავს თავს და შესანიშნავ კონტრიერიშებს ახორციელებს. მათთან თამაში იოლი არ იქნება, თუმცა დადგა დრო, დავძლიოთ ჩავარდნა და სამი ქულა მოვიპოვოთ“.

ცოტა მოულოდნელიც კია, მაგრამ მილანელები „უდინეზეს“ აშკარად უფრთხიან. მოვუსმინოთ „როსონერის“ კიდევ ერთ მცველს, **ტიაგო სილვას**: „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „უდინეზე“ ძალიან ძლიერი გუნდია. არაერთხელ მომეცა ფრიულელთა თამაშის ხილვის საშუალება და კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. ჩემი აზრით, ფეხბურთელების მიხედვით, ეს გუნდი ერთ-ერთი გამორჩეულია იტალიაში. მარტო ანტონიო დი ნატალე რად ღირს, რომელიც ძალიან სწრაფი და ამავდროულად, ტექნიკურია. მეტოქე კონტრშეტევებზე ითამაშებს და ფრთხილად გვმართებს ყოფნა, მოდუნების უფლება არ გვაქვს. მას შემდეგ, რაც იტალიაში გადმოვბარგდი, არაერთხელ დავრწმუნდი, რომ საშუალო გუნდებთან თამაში სირთულით არაფრით ჩამოუვარდება გრანდებთან დაპირისპირებას. რაც შეეხება სკუდეტოსთვის ბრძოლას, იმედი ჯერ არ დამიკარგავს და დანარჩენს დრო გვიჩვენებს“.

გუშინ, „მილანის“ შესახებ ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა: პარასკევს კლუბი არაბულ კომპანია „ფლაი ემირიტსთან“ გააფორმებს სასპონსორო ხელშეკრულებას. ეს ამბავი არაბულმა მხარემაც დაადასტურა - ავიაკომპანიის დირექტორატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი დონის კლუბთან თანამშრომლობა მათთვის უდიდესი პატივია. შეგახსენებთ, რომ ავიაკომპანია კიდევ რამდენიმე კლუბს ასპონსორებს: „არსენალს“, „ჰამბურგს“, პსჟ-ს და „ოლიმპიაკოსს“.

**ლაშა ნიკლაური**



ედინ ჯეკო

პრობლემა



ჯანფრანკო ძოლა

# პრინციპული კაცის რისხვა

**ჯანფრანკო ძოლამ** კონტრშეტევა შეასრულა: „ვესტ ჰემის“ იტალიელმა მწვრთნელმა გულისწყრომა გამოთქვა კლუბის ახალი მეპატრონის **დევიდ სალივანის** მიმართ, რომელმაც სამშაბათს გამოაცხადა, რომ ზაფხულიდან ყველა ფეხბურთელს ხელფასს 25 პროცენტით შეუმცირებს. გაზეთებმა სალივანის სიტყვები „ბირმინგემთან“ მნიშვნელოვანი თამაშის წინადღეს გამოაქვეყნეს, რამაც ძოლა აღაშფოთა:

„როდესაც მე ფეხბურთელებს აუცილებლად მოსაგები შეხვედრისთვის ვამზადებ, წინადღეს კი კლუბის მეპატრონე აცხადებს, რომ მათ ხელფასი უნდა შეუკვეცოს, რასაკვირველია, კმაყოფილი ვერ ვიქნები და საერთოდ არ მაინტერესებს ჩემს ამ ნათქვამს ვინ როგორ მიიღებს. მე ჩემი პრინციპები მაქვს და დედამიწის ზურგზე არავის მივცემ უფლებას, ამ პრინციპებს გადააბიჯოს“.

შეგახსენებთ, რომ სალივანის განცხადებით, „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგაში რომც დარჩეს, ის და მისი ბიზნეს-პარტნიორი, ლონდონური კლუბის თანამფლობელი **დევიდ გოლდი** წელიწადში 60 მილიონი ფუნტის ტოლ სახელფასო ფონდს მაინც შეამცირებენ, რათა - როგორც თავად ამბობენ - „არმაგედონს“ აარიდონ თავი. მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჯანფრანკო ძოლამ ფრიად ემოციური პრესკონფერენცია მოაწყო და იქ მოურიდებლად ილაპარაკა:

„ვფიქრობ, სალივანს ხელფასების შემცირების ამბავი სხვა დროს უნდა გამოეცხადებინა და, მეტსაც გეტყვით, სანამ ჟურნალისტებს რამეს ეტყოდა, ჯერ ჩვენ უნდა დაგველაპარაკებოდა. მე ჩემს ფეხბურთელებთან ძალიან მჭიდროდ ვარ დაკავშირებული. ინტენსიური ურთიერთობა მაქვს გულშემატკივართან. ძალიან არ მიყვარს, როდესაც საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი. მე „ვესტ ჰემში“ კონკრეტული გეგმით, პროექტით მოვედი და მის განხორციელებას დიდი ენთუზიაზმით ვცდილობდი. მუშაობას რომ შევუდექი, ცოტა ხნის შემდეგ დირექტორატმა დამიბარა და ახალი ხელშეკრულება შემომთავაზა. სწორად გამიგეთ, ფული მთავარი არ არის, მთავარი კარგი საქმის კეთებაა. ხელშეკრულებას ხელი ისე მოვაწერე, არც კი ვიცოდი, ხელფასს რამდენს მინიშნავდნენ“.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა



დმიტრო ჩიგრინსკიც დაიმტვრა

# ჟეფრენმა კიდევ ორი წლით

გუშინ „ბარსელონამ" ხელშეკრულება გააგრძელა კლუბის აღზრდილ **ჟეფრენ სუარესს**. ჟეფრენი დღეიდან 2012 წლის 30 ივნისამდე „ბლაუგრანას" წევრია. მისი ძველი კონტრაქტი სეზონის ბოლოს სრულდებოდა და ფეხბურთელს უკვე ჰქონდა უფლება (რადგან ახალგაზრდაა), სხვა კლუბებთან მოლაპარაკება დაეწყო. ამ გარემოებამ დააფრთხო „ბარსას" ხელმძღვანელობა და 22 წლის გარემარბს სასწრაფოდ გაუფორმეს ახალი ხელშეკრულება უკეთესი პირობებით - გუნდი, რომელიც მის შეძენას 2012 წლის ივნისამდე მოინდომებს სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს გადაიხდის. კონტრაქტის გაგრძელების ცერემონიალს **ჟოან ლაპორტა**, ვიცე-პრეზიდენტი **რაფაელ იუსტე**, ტექნიკური მდივანი ჩიკი ბეგირისტაინი და საფეხბურთო დირექტორი **რაულ სანლეჰი** დაესწრნენ, ჟეფრენს კი მამა და ძმა ახლდნენ.

*„ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა, რაც „ბარსელონაში" ვარ. ახლა მხოლოდ ერთ რამეზე ვიფიქრებ, როგორ გავიზარდო როგორც ფეხბურთელი და გამოვადგე კლუბს. მინდა კლუბთან ერთად ბევრი ტიტული მოვიგო და მწვრთნელს იმედები გავუმართლო"*, - განუცხადა ფეხბურთელმა „ბარესლონაTV"-ის.

*„მან ძალიან ბევრი იმუშავა, რომ ამისთვის მიეღწია. ყველანაირ ზეწოლას გაუძლო, რაც ასეთ დიდ გუნდებში ახალგაზრდებს აქვთ, პეპ გვარდიოლას ჟეფრენი სჭირდება და ჩვენ გადავწყვიტეთ კონტრაქტი დაგვედო, რითაც ორივე მხარე ძალიან ბედნიერი დარჩა"*, - ეს უკვე ჟოან ლაპორტას სიტყვებია.

ჟეფრენ სუარესი „ბარსელონას" მე-9 ფეხბურთელია, რომელმაც კლუბთან ხელშეკრულება გააგრძელა გასული ზაფხულის შემდეგ. ჟეფრენი სულ რაღაც 1 წლის იყო, როცა მისი ოჯახი ვენესუელიდან ტენერიფეზე გადასახლდა. 2004 წელს ჟეფრენი კანარის კუნძულებიდან კატალონიაში გადავიდა და „ბარსას" ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხა. 2008 წლიდან დღემდე მან 5-ჯერ შეძლო „ბლაუგრანას" ძირითად გუნდში თამაში.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ბურთით ჟეფრენი

# ეპიდემია!

დონეცკის „შახტარიდან" 25 მილიონ ევროდ შეძენილმა **დმიტრო ჩიგრინსკიმ** ვერა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი „ბლაუგრანას" რიგებში. ის ლამის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც „ბარსას" ფანები სტვენით ხვდებიან და სტვენითვე აცილებენ. მიუხედავად ამისა, უკრაინელი მცველი უცბად ძალზე საჭირო ფეხბურთელად იქცა - მას შემდეგ, რაც რაფაელ მარკესმა და ჟერარს პიკემ წითელი ბარათები მიიღეს და მათი თამაში „ვისენტე კალდერონზე" „ატლეტიკოს" წინააღმდეგ გამოირიცხა. **პეპ გვარდიოლას** გუნდის დაცვის ხაზის კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა იმ ფონზე, რომ ფრანგმა **ერიკ აბიდალმა** ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, ხოლო დანი ალვეშისა და **იაია ტურეს** თამაში მომავალ ტურში წინა დღეებში გამოირიცხა. „ბარსას" ფაქტობრივად სამი ჯანმრთელი მცველიღა დარჩა (კაპიტან პუიოლს ძველი ტრავმა ისევ აწუხებს) - ჩიგრინსკი, სათამაშო პრაქტიკას მოკლებული **მაქსველი** და ახლახან დაბრუნებული **გაბრიელ მილიტო**. თუმცა ამ უკანასკნელებმა ძალიან კარგად ითამაშეს „ხეტაფეს" წინააღმდეგ. და აი, გუშინ საჯაროდ გაცხადდა, რომ უკრაინელს ბარძაყის კუნთის მცირე ტრავმა აწუხებს, რის გამოც ერთი კვირით უნდა დაისვენოს და, ბუნებრივია, „ვისენტე კალდერონზე" ვერ ითამაშებს.

ჩიგრინსკის დისკომფორტი ჯერ კიდევ სამშაბათის ვარჯიშზე უგრძვნია, ტკივილი გუშინაც გაგრძელდა და მან ექიმებს მიმართა. სკანირებამ აჩვენა, რომ მარცხენა ფეხზე კუნთი 1,5 სანტიმეტრითაა ჩახეული. ჩიგრინსკიმ რამდენიმე დღე უნდა დაისვენოს, ვარჯიშით კი მას მხოლოდ ერთ კვირაში შეეძლება სრულად დატვირთვა.

აბიდალის ტრავმის სკანირებამ კიდევ უფრო ცუდი შედეგი აჩვენა - ფრანგი მარცხენა მცველი „ბარსელონას" 2 თვით დააკლდება. სხვა გზა არ რჩება, გუნდის კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** უნდა დაივიწყოს ყოველგვარი ტკივილი და „ვისენტე კალდერონზე" უნდა ითამაშოს. პუიოლი ამას აპირებს კიდეც. დიდი შანსია, პუიოლმა დაცვის მარჯვენა ფლანგზე ითამაშოს, ხოლო მაქსველმა - მარცხენაზე, გაბი მილიტოს კი დაცვის ცენტრში ერთ-ერთი ახალგაზრდა შეუამხანაგონ „ბარსელონა ატლეტიკიდან".

ნიკოლოზ ნეფარიძე

ვოლფსბურგი



# ყველაზე სამარცხვინო ჩემპიონი ევროპაში!

დაახლოებით 9 თვის წინ, როცა „ვოლფსბურგი" გერმანიის ჩემპიონი გახდა, ამ გუნდს ყველა აქებდა და ადიდებდა. სენსაციურ ჩემპიონებს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მერე **ფელიქს მაგათმა** მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა, რის შემდეგაც თითქმის ყველამ ივარაუდა, რომ „მგლები" „დესპოტი ფელიქსის" გარეშე ჩაფლავდებოდნენ. ისე აგიხდეთ ყველაფერი...

ცხრა თამაშია, „ვოლფსბურგმა" მოგების გემო არ იცის და მოქმედი ჩემპიონი 21 ტურის შემდეგ მე-12 ადგილზეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ვოლფსბურგი" ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში ყველა დროის ყველაზე სამარცხვინო ჩემპიონია. ამ სეზონში „მგლები" საშუალოდ ერთ თამაშში 1.19 ქულას იღებენ. ამაზე უარესი შედეგი კი უეფაში გაწევრიანებული ყველა ქვეყნის არც ერთ ჩემპიონს არასდროს ჰქონია.

გოტფრიდ ლენცი

# მუტუ უეფამაც შერისხა

გუშინ უეფამ თავისი ვებგვერდის მეშვეობით დაადასტურა, რომ რუმინელი **ადრიან მუტუსთვის** ფიფას მიერ მიცემული დისკვალიფიკაცია ჩემპიონთა ლიგაზეც ვრცელდება. 17 თებერვალს „ფიორენტინა" მერვედფინალის პირველ მატჩში „ბაიერნს" დაუპირისპირდება. ამ შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს იტალიელთა რუმინელი ვარსკვლავი, რომელიც ამასწინათ დოპინგტესტზე ჩავარდა.

შეგახსენებთ, რომ გასულ თვეში მუტუს „ბარისთან" მატჩის შემდეგ აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინეს. ადრიანი ამტკიცებს, რომ პრეპარატი სიბუტრამინი (რომელიც შიმშილის გრძნობას კლავს) შემთხვევით მიიღო. ჯერჯერობით, არ გარკვეულა, რამდენი ხნით დასჯიან რუმინელ ფეხბურთელს, თუმცა უეფამ წინასწარ თავი დაიზღვია და ჩემპიონთა ლიგის მატჩს ჩამოაცილა.

# მოურინიო ბალოტელის გააციმბირებს?

იტალიური „ტუტომერკატო" წერს, რომ ზაფხულში მოსკოვის ცსკა „ინტერის" ახალგაზრდა ფორვარდ **მარიო ბალოტელის** სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს გადაიხდის. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში ბალოტელის რამდენჯერმე მოუვიდა უსიამოვნება „ინტერის" პორტუგალიელ თავკაც **ჟოზე მოურინიოსთან**. ცსკა-ს კი აქვს ბალოტელის სანაცვლოდ ამხელა თანხის გაღების შნო, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, „ნერაძურის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** მისი გაყიდვა მოინდომოს. უფრო მეტად სავარაუდოა მისი რუსეთში იჯარით გაშვება. ბალოტელით ძალიან ბევრი კლუბია დაინტერესებული, მათ შორის, პრემიერლიგიდან.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

პრესკონფერენცია

# ტოტიკაშვილი შრომას მოითხოვს

გუშინ ძიუდოს ფედერაციაში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც პარიზის „დიდ მუზარადზე" ჩვენი ნაკრების წარმატებულ გამოსვლას მიეძღვნა. მედალოსნებიდან მას ტურნირის გამარჯვებული **დავით ასუმბანი** (60) და ვერცხლის პრიზიორი ლევან **ნიკლაური** (81) ესწრებოდნენ, ბრინჯაოს პრიზიორი **ირაკლი ცირეკიძე** (100) კი ჩამოსვლისთანავე ქუთაისში წავიდა.

ცხადია, პრესკონფერენციაზე არაერთხელ გამოხატეს სიხარული ამ წარმატების გამო, რომელსაც 11 წელიწადი ველოდით. ნაკრების თავკაცმა ამირან ტოტიკაშვილმა ხაზი ტურნირის სიძლიერესაც გაუსვა და ნაკრებებში მიმდინარე თაობათა ცვლის პროცესებსაც. ასეთ დიდ ტურნირში ჩვენებმა გუნდურში მესამე ადგილი დაიკავეს. ითქვა, რომ ასუმბანი ამ ტურნირის მომგები მეხუთე ქართველია და იქვე წინა ოთხი გამარჯვებულიც გაიხსენეს - **შენგელი ფიცხელაური, ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი რევაზიშვილი და გიორგი გუგავა.**

ტოტიკაშვილმა აღნიშნა, რომ ნაკრებთან სამუშაოდ ბევრი დრო არ ჰქონია და ეს წარმატება მით უფრო ფასეულია, თუმცა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ასეთ შედეგს არ ელოდა. ცხადია, მან სამივე პრიზიორი შეაქო, თუმცა ყველაზე მეტი სამადლობელი სიტყვა სრულიად დამსახურებულად ასუმბანს ერგო. „ვფიქრობ, ყველა სპორტსმენისთვის სამაგალითო უნდა იყოს მისი შემართება, ენერგიულობა და შრომისმოყვარეობა", - თქვა ტოტიკაშვილმა. ნიკლაურთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ფინალში ბრაზილიელ ორგზის ოლიმპიურ პრიზიორ ლეანდრო **გილეიროსთან** გამძლეობა არ ეყო და ამიტომ წააგო, თორემ ძირითადი დროის პირველ ნახევარში სჯობდა კიდეც მეტოქეს. აქ მწვრთნელმა კიდევ ერთხელ თქვა, რომ მას გუნდთან სამუშაოდ ცოტა დრო ჰქონდა, ხოლო ფიზმომზადება საერთო პრობლემაა, რაზეც მიზანმიმართულად იმუშავებენ. მანამდე კი ნიკლაურს ვერ გაამტყუნებს იმისთვის, რაზეც ჯერ არ უმუშავიათ. ცირეკიძესთან დაკავშირებით ტოტიკაშვილმა აღნიშნა, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს მომზადება აკლდა - მზადების სრული კურსი არ გაუვლია, თუმცა ასეთ პირობებშიც მოიპოვა მედალი. ამიტომ მისი გამოსვლა წარმატებულად შეაფასა.

როცა ტოტიკაშვილს იმედგაცრუებაზე ჰკითხეს, მძიმეწონოსან **ზვიად ხანჯალიაშვილის** მარცხი დაასახელა ესტონელ ევროპის ჩემპიონ **მარტინ პადართან.** მწვრთნელმა მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც ილაპარაკა - ფეხები აწუხებს და ეს ამბავი აუცილებლად მოსაგვარებელიაო..

მწვრთნელმა სიამოვნებით ილაპარაკა იმ ჯანსაღ კონკურენციაზე, რომელიც 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში შეიქმნა და მსგავსი რამ ყველგან ინატრა, ყველაზე პრობლემურ წონებად კი 66, 73 და მძიმე წონითი კატეგორიები დაასახელა. მძიმე წონაზე საუბრისას **ლაშა გუჯეჯიანზეც** ჰკითხეს, რომელსაც ფეხი აწუხებს. ტოტიკაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ ის დიუსელდორფის ტურნირისთვის მწყობრში იქნება, თუ არა და ვერც ევროპის პირველობაზე იჭიდავებს. კონტინენტის ჩემპიონატზე საუბრისას ტოტიკაშვილმა ხაზი უახლოესი ტურნირების მნიშვნელობასაც გაუსვა. ესაა ვენის, დიუსელდორფისა და პრაღის შეჯიბრებები. ამათგან პირველი ორი, როგორც თბილისისა და პარიზისა, გამოავლენს ევროპის პირველობაზე წასაყვან სპორტსმენებს, რომელთათვისაც პრაღის შეჯიბრება სასტარტო იქნება. თუმცა არც ისაა გამორიცხული, ტურნირი რომელიმე წონაში შესარჩევიც გამოდგეს. ტოტიკაშვილმა ისიც თქვა, რომ ევროპის პირველობაზე წასაყვანები უფრო პარიზი-დიუსელდორფში ნამყოფ გუნდებში უნდა ვეძებოთ, თუმცა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნაკრებში ადგილი გარანტირებული არავის ექნება და საამისოდ ყველამ თავდაუზოგავად უნდა იბრძოლოს. მაშინ მას ასუმბანზე ჰკითხეს, რომელმაც წლეულს თბილისისა და პარიზის ტურნირები მოიგო. მაგრამ ტოტიკაშვილმა უპასუხა: ევროპაზე მისი წასვლა ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, რადგან



დავით ასუმბანი

ამ წონაში სხვა კანდიდატებიც უნდა გამოვცადოთო. აქ მწვრთნელმა ერთი ცუდი, მაგრამ ნიშანდობლივი ფაქტიც გაიხსენა - ჩემთან მოვიდა სპორტსმენი და მკითხა, მე რომელ ტურნირებს ვიჭიდავებ, რომ მოვემზადოო? ტოტიკაშვილმა ასეთი მიდგომა დაუშვებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ სპორტსმენი მთელი სეზონი უნდა ემზადებოდეს. სამწუხაროდ, მსგავსი პრეცედენტი ტიპურია არა მხოლოდ ძიუდოში, სპორტის სხვა სახეობებშიც და კონკრეტულად - ჭიდაობებშიც.

...მომავლის გეგმებზე ტოტიკაშვილმა ისიც თქვა, რომ უფროსებთან ერთად აუცილებლად ავარჯიშებს ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის ევროპა-მსოფლიოს პრიზიორებს. აქვე ერთი სიახლეც გაგვაცნო, რომელიც ჯერ მისი სურვილის დონეზეა, განხორციელებაში კი ფედერაციისგან მხარდაჭერა ითხოვა. ტოტიკაშვილს სურს, რეგიონებში იმოგზაუროს, პირადად ჩაატაროს ვარჯიშები, რითაც იქაურ მწვრთნელებს ახალ მეთოდიკასაც გააცნობს და რაც მთავარია, ადგილობრივ მოზარდებს დააკვირდება. მას ასევე სურს, ამ გზით შერჩეული პერსპექტიული ახალგაზრდებით თბილისში ტურნირი მოაწყოს, რაც რეგიონებში მცხოვრებ ნიჭიერ მოზარდებს დიდ სპორტში გამოსასვლელად ახალ პერსპექტივას გაუჩენს.

სხვა თემებიდან წესებში შეტანილ ცვლილებებსაც შეეხნენ. ითქვა, რომ წლეულს წონაში ერთი ქვეყნიდან ორი კაცი მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიშვება, ევროპის პირველობებზე კვლავაც ერთი კაცი იასპარეზებს, ახალი წესი კი გაისიდან გავრცელდება. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ახალი წესი ოლიმპიადაზე არ ვრცელდება - იქ კვლავაც ქვეყნიდან ერთი მონაწილე გამოვა. სამაგიეროდ, შეიცვალა ლიცენზიების განაწილების წესი - ამიერიდან ის სახელობითი იქნება, ანუ მას მიიღებს კონკრეტული სპორტსმენი და არა ეროვნული ფედერაცია. აქამდე სწორედ ფედერაცია იღებდა და შეეძლო ოლიმპიადაზე წაეყვანა არა ამ ლიცენზიის მომპოვებელი, არამედ სხვა ძიუდოისტი. ახლა საგზურს მიიღებს ის, ვისაც რეიტინგში თანაგუნდელებზე უკეთესი მაჩვენებელი ექნება. საკითხავია, რა მოხდება მაშინ, ეს ლიცენზიის მომპოვებელი თუ დაშავდა - მის თანაგუნდელს გადასცემენ საგზურს თუ საერთაშორისო ფედერაცია გაანაწილებს? სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯერ გაურკვეველია. აქვე ისიც ვთქვათ, რომ შეიცვალა საერთაშორისო ტურნირებში ცალკეული გუნდებისთვის დაწესებული კვოტები. აქამდე მასპინძელს ყველგან, ყველა ქვეყანაში წონაში ოთხი კაცის დაყენება შეეძლო, იმ კონტინენტის სხვა გუნდებს - ორ-ორის, ხოლო სხვა კონტინენტებიდან ჩასულებს - მხოლოდ თითო კაცის. ამიერიდან მსოფლიოს თასზე ყველა გუნდს წონაში ერთბაშად ოთხი კაცის დაყენება შეუძლია განურჩევლად კონტინენტისა და მასპინძლობისა - რაკილა მსოფლიოს თასია, ანუ რანგით მსოფლიოს მასშტაბისაა, საერთაშორისო ფედერაციამ ყველა თანაბარ პირობებში ჩააყენა (თან გავითვალისწინოთ, რომ ლიცენზიებს ის ანაწილებს და არა რეგიონული ფედერაციები), მაგრამ „დიდი პრიზისა" და „დიდი მუზარადის" ტურნირებზე შეზღუდვები კვლავაც ძალაში დატოვა - აქ მასპინძელს ისევ ოთხი მონაწილის გაყვანა შეუძლია, სხვებს კი - ორ-ორისა. ოღონდ ამჯერად კონტინენტების მიხედვით არანაირი შეზღუდვა არ იქნება, ანუ ევროპელებიც სხვა კონტინენტებზე ორ-ორი კაცით გამოვლენ და ისინიც ასევე იასპარეზებენ ევროპაში. აქვე გეტყვით, რომ სალიცენზიო ტურნირები 1-ელი მაისიდან იწყება.

პრესკონფერენციაზე უახლოეს საერთაშორისო ტურნირზეც ითქვა - ვენის მსოფლიოს თასზე, რომელიც ამ უქმეებზე იმართება. ნაკრები ავსტრიაში ამ დღეს გაფრინდება ტოტიკაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც ამჯერად ამ შემადგენლობას იახლებს: **ამირან პაპინაშვილი** (60), **გიორგი შოშიაშვილი, გიორგი ფერსაშვილი** (66), **ანზორ ხმიადაშვილი, დავით კობერიძე** (73), **ხვიჩა ხუციშვილი, დავით ჭაბუკაშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ზურაბ ზვიადაური, დავით ლორიაშვილი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** (+100).

როგორც ვხედავთ, შემადგენლობაშია დავით ლორიაშვილი, რომლის წასვლა-არწასვლის საკითხიც ბოლო დღეებში რამდენჯერმე შეიცვალა. ბოლოს ითქვა, რომ მას მუხლში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული და ამიტომ ვერ მიდიოდა, თუმცა, ეტყობა, მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა. არადა, ლორიაშვილის გამოსვლებისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება და მართლაც სასურველია, მას ხშირი სატურნირო პრაქტიკა მიეცეს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ შანსი ისეთებსაც ეძლევათ, რომლებმაც საქართველოს პირველობაზე მედლები ვერ მოიპოვეს, მაგრამ მეტ-ნაკლებად დამაიმედებელი ჭიდაობით მაინც მიიქციეს მწვრთნელთა ყურადღება - შოშიაშვილი და ჭაბუკაშვილი. სრულიად ახალგაზრდა და ლამის უცნობია გორელი ხმიადაშვილიც, რომელმაც წლეულს ჯერ რეგიონის პირველობა მოიგო, მერე კი საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გახდა.

პრესკონფერენციის დასასრულს პარიზის ტურნირის ვიცე-ჩემპიონ ნიკლაურსაც გავესაუბრეთ, რომელსაც ტურნირის გარდა წლევანდელ პროგრესზეც ვკითხეთ. „ეს ერთ-ერთი უძლიერესი ტურნირია მსოფლიოში და მისი სახელიც კი მოქმედებს ფსიქოლოგიურად. ვგრძნობდი, კარგ ფორმაში ვიყავი და წარმატების იმედი მქონდა. ფინალში უფრო ფსიქოლოგიურმა წნეხმა დამღალა, ვიდრე - ფიზიკურმა მოუმზადებლობამ. თითქოს დავკმაყოფილდი ფინალში გასვლითაც და ალბათ, წაგების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

წლევანდელმა სეზონმა თავდაჯერება შემმატა, ადრე გამოუცდელი ვიყავი, მაკლდა სატურნირო პრაქტიკა და არ ვიყავი დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში. გამოცდილებამ და ევროპის პირველობაზე მოპოვებულმა მედალმა რწმენაც გამიჩინა. თან წლეულს წონაში კონკურენციაც გაიზარდა. ადრე ისიც ცუდად მოქმედებდა, რომ ამ წონაში ჩავარდნა გვქონდა, რაც ფსიქოლოგიურად ძალზე ცუდად მოქმედებდა, ამის გამო შეჯიბრებაზე სულ დაძაბული ვიყავი. წლეულს ორივე ფეხზე მენისკსაც ვუმკურნალე და ამიერიდან კიდევ უფრო უკეთესად მოვემზადები", - გვითხრა ნიკლაურმა.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# აეროფლოტმა სტარტი აიღო

მოსკოვში დაიწყო მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ფესტივალი *Аэрофлот опен 2010*, რომელიც ოთხ ტურნირს მოიცავს. ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ F1 ჯგუფში მოიყარა თავი. აქ მთავარი პრიზისთვის იბრძვიან ფრანგები - **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი** (2730) და **ეტიენ ბაკრო** (2713), უკრაინელი **ანდრეი ვოლოკიტინი** (2692), ამერიკელი **გატა კამსკი** (2693), გერმანელი **არკადი ნაიდიჩი** (2687), სომეხი **გაბრიელ სარგისიანი** (2680), რუსები - **ალექსანდრ ხალიფმანი** (2616), **მიხაილ ქობალია** (2637), ბელარუსი **სერგეი ჟიგალკო** (2668), ჩინელი **სიანჭი ბუ** (2673) და სხვები. სულ 77 დიდოსტატი და 3 საერთაშორისო ოსტატი. მოასპარეზეთა შორის ხუთი მანდილოსანია: ქართველი **ლელა ჯავახიშვილი** (2493), ფრანგი **მარი სებაგი** (2510), ჩინელი **ჰოუ იფანი** (2590), რუსი დები - **ნადეჟდა** (2533) და **ტატიანა** (2515) **კოსინცევები.**

პირველ ტურში ლელა ჯავახიშვილი ინგლისელ ლიუკ მაქშეინს (2616) ეთამაშებოდა და პარტია ყაიმით დამთავრდა. წარმატებას მიაღწიეს ბაკრომ, ბუმ, ხალიფმანმა, დებმა კოსინცევებმა, სულ - 19-მა დიდოსტატმა.

გუშინ მეორე ტურში ქართველი მოჭადრაკე შავი ფიგურებით რუს იან ნეპომნიაშჩის (2658) შეხვდა. 41-ე სვლაზე ჯავახიშვილი დანებდა მეტოქეს.

დაწინაურებულთაგან ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: **ქუან ლი (ვიეტნამი)-ეტიენ ბაკრო 1:0, ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი)-არმან პაშიკიანი (სომხეთი) 0,5:0,5, სიანჭი ბუ-ბორის სავჩენკო (რუსეთი) 1:0, რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი)-ევგენი ნოიერი (რუსეთი) 0,5:0,5, ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)-მაქსიმ როდშტეინი (ისრაელი) 0,5:0,5, ალექსანდ ხალიფმანი-ჯოვანი ვესკოვი (ბრაზილია) 0,5:0,5, ალექსანდრ რახმანოვი (რუსეთი)-ზახარ ეფიმენკო (უკრაინა) 0,5:0,5, ნადეჟდა კოსინცევა-ბორის გრაჩოვი (რუსეთი) 0,5:0,5, ტატიანა კოსინცევა-არტიომ ტიმოფეევი (რუსეთი) 0,5:0,5.**

დღეს მესამე ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია

# ქართველები მოგებით იწყებენ

ორი ქართველი დიდოსტატი - **ბელა ხოტენაშვილი** (2461) და საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **სალომე მელია** (2431) - ბუქარესტის ქალთა წრიულ საერთაშორისო ტურნირში ჩაება. ჩვენებურები შეხვდებიან რუმინელებს - **ქრისტინა ფოიშორს** (2440), **კორინა პეპტანს** (2411), **ლუმინიტა კოსმას** (2332), უკრაინელ **მარია მუზიჩუკს** (2447), სლოვაკ **ევა რეპკოვას** (2434) რუს **ირინა ტუროვას** (2386), უნგრელებს - **ანიტა გარასა** (2370) და **სიდონია ვაიდას** (2369).

ტურნირზე დაწესებულია ფულადი პრიზები: I ადგილი - 500 ევრო, II - 400, III - 300, IV - 200, მეხუთე-მეათე ადგილებს კი 100-100 ევრო ერგებათ. შეჯიბრება 18 თებერვალს დამთავრდება.

| I ტური | |
|---|---|
| მელია-მუზიჩუკი | 1:0, |
| ხოტენაშვილი-ფოიშორი | 1:0 |
| რეპკოვა-ტუროვა | 0,5:0,5 |
| გარა-ვაიდა | 0,5:0,5 |
| პეპტანი-კოსმა | 0,5:0,5 |

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# წლის პირველი გამარჯვება

**ანა ტატიშვილმა** (178), რომელიც ახლახან 20 წლის გახდა, წარმატებით დაიწყო აშშ-ის ქალაქ მიდლენდში 100-ათასიან ტურნირში გამოსვლა. პირველ წრეში ანას მეტოქე „უაილდ ქარდით" მოხვედრილი 17 წლის ამერიკელი **კორტნი დოლეჰიდი** (475) იყო. ანამ ორ სეტში, დამაჯერებლად მოიგო - 6:3, 6:4. სხვათა შორის, 20 ნოემბრის შემდეგ ტატიშვილმა პირველად მოიგო. წყვილებში ანასა და ამერიკელი **ლილია ოსტერლოს** (126) დუეტი უკვე მეოთხედფინალშია, მათ ბრიტანული დუეტი (**ენ კეტავონგი** (127) და **ჰიზერ უოტსონი** (556)) დაამარცხეს - 6:3, 6:3. ერთეულთა თანრიგში მხოლოდ ერთი ეტაპის გადალახვით ჩვენმა თანამემამულემ უკვე დაიბევა 18 სარეიტინგო ქულა. კიდევ ერთი ეტაპის დაძლევით, ტატიშვილი რეიტინგში **ოქსანა კალაშნიკოვას** (163) გადაუსწრებს და საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსს დაიბევებს. მეორე წრეში ანას მეტოქე ან ბრიტანელი **კეტი ობრაიენი** (84) იქნება, ან ამერიკელი **ლაურა გრენვილი** (286).


ანა ტატიშვილი

მალიორკას ტურნირი (ესპანეთი, 10 ათასი $) მოგებით დაიწყო 18 წლის **ეკა გორგოძემ** (538). მან სამ სეტში მე-4 ნომრად განთესილი მასპინძელი **ლარა არუაბარენა** (438) დაამარცხა - 6:1, 3:6, 6:2. **სოფიო ქვაცაბაიამ** (439) კი, რომელიც მე-5 ნომრად იყო განთესილი, საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ პოლონელ **კატარჟინა კავასთან** (759) წააგო - 3:6, 5:7.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კალათბურთი



ინტერვიუ გრიგოლ შვანგირაძესთან

# ტაკორონტელი ქართველი

**ნიკა ცქიტიშვილი, თორნიკე შენგელია, გიორგი შარაბიძე, კოკა ტომარაძე, მიხეილ ბერიშვილი, გრიგოლ შვანგირაძე... ეს კალათბურთელები დღესდღეობით ესპანეთში თამაშობენ. მათგან უმეტესობა საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი, თუ პირველი ნაკრების წევრია. მხოლოდ გრიგოლ შვანგირაძეს არ მოუზომავს ეროვნული გუნდის მაისურა. თუმცა შარშანწინ იგი ჭაბუკთა ნაკრებში კი გამოიძახეს, მაგრამ ტრავმის გამო შეკრებაზე ვერ გამოცხადდა.**
**ჩვენს გაზეთში შვანგირაძის ინტერვიუ პირველად იბეჭდება, ამიტომ მასთან საუბარი პირველი ნაბიჯების გახსენებით დავიწყეთ.**

- კალათბურთის თამაში 34-ე სკოლაში დავით ნიკლაურის ხელმძღვანელობით დავიწყე. ორი წლის შემდეგ ვაჟა კვარაცხელიასთან გადავედი... 2006 წელს საქართველოში ესპანური „არონას" პრეზიდენტი ელოი გარსია ჩამოვიდა და მისი მიწვევით გიორგი შარაბიძესთან ერთად ესპანეთში გავემგზავრე.

**- „არონაში" არაერთ ქართველს უთამაშია...**

- ელოი გარსიას მხოლოდ კადეტთა და ჭაბუკთა გუნდები ჰყავდა, პერსპექტიულ კალათბურთელებს ავარჯიშებდა და ძლიერი გუნდებისთვის ამზადებდა. „არონადან" კოკა ტომარაძე „ბარსელონაში" წავიდა, შარაბიძე - „ვალენსიაში"...




**- შენ?**

- „ტენერიფეში" გადავედი. ერთი სეზონი ამ გუნდში გავატარე, ხოლო ამ სეზონის დასაწყისში „ტაკორონტეში" ჩავირიცხე, თუმცა იყო უკეთესი ვარიანტი - „გრან კანარიას" დუბლებში მიწვევდნენ, დიდ გუნდთან უნდა მევარჯიშა და ება-ს ლიგაში მეთამაშა, მაგრამ ეს ვარიანტი გადაიდო და „ტაკორონტეში" აღმოვჩნდი.

**- „ტაკორონტე" ან თუნდაც „გრან კანარია" როგორ დააინტერესე?**

- კანარის კუნძულებზე ჩატენების კონკურსი მოვიგე, რითაც მცირე ყურადღება მოვიქციე, შემდეგ თამაშს დააკვირდნენ და...

**- რომელ პოზიციაზე თამაშობ ყველაზე ხშირად?**

- 196 სანტიმეტრი სიმაღლის ვარ, მსროლელადაც ვთამაშობ და ფორვარდადაც.

**- ახლა „ტაკორონტეს" მიზნებზე ვთქვათ.**

- სადღეისოდ მეოთხე ადგილზე ვართ. თუ რეგულარული ჩემპიონატი ექვსეულში დავასრულეთ, პლეი ოფს ვითამაშებთ. მეორე ეტაპის მომგები გუნდი გაისად ლებ-ვერცხლში ითამაშებს. თუმცა არის შემთხვევები, როცა გუნდი ზედა ლიგაში თამაშის უფლების მოპოვების მიუხედავად, ქვედა ეშელონში რჩება. ამის მიზეზი ფინანსური მდგომარეობაა.

**- „ტაკორონტეში" სათამაშო დრო არათანაბრად გაქვს...**

- მართალია. სეზონის დასაწყისში კლუბის ხელმძღვანელობა აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებდა, თუმცა დაგვჭირდა თითო გამთამაშებელი და ცენტრი. ამიტომ მწვრთნელმა რამდენიმე ვეტერანი დაიმატა და საბოლოოდ სამი ახალგაზრდალა დავრჩით. მწვრთნელი ხან ბოლომდე მენდობა, ხან არასაკმარის დროს მაძლევს. ბოლო მატჩში სასტარტო ხუთეულში ვიყავი, თუმცა მალევე გამომცვალა და პირველი პერიოდის შემდეგ აღარ მითამაშია. ერთი შეხვედრით ადრე საკმარისი სათამაშო დრო მომცა და 12 ქულა ჩავაგდე.

**- იოლი მისახვედრია, რომ ამ სეზონის შემდეგ „ტაკორონტეს" დატოვებაზე დაფიქრდები.**

- ასეა. ვეცდები, ისეთი გუნდი მოვნახო, სადაც მეტი ნდობა მექნება.

**- როგორ ფიქრობ, ლებ-ვერცხლამდე ბევრი გიკლია?**

- სათანადო შრომის შემთხვევაში ერთ-ორ წელიწადში ლებ-ვერცხლში თამაში რეალურია. თუმცა ბევრი რამ დამოკიდებულია მწვრთნელზე, მის შეხედულებებზე...

**- ესპანეთში არაერთი ქართველია. მათ უმეტესობას სხვადასხვა ასაკის საქართველოს ნაკრებში უთამაშია. შენ გამონაკლისი ხარ.**

- შარშანწინ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში გამომიძახეს, თუმცა შეკრებაზე ვერ გამოვცხადდი, რადგან ტრავმა მქონდა. შარშან აღარ მივუწვევივართ. არ მიკვირს, ქართველი მწვრთნელები რომ არ მიცნობენ - ესპანეთში რომ წამოვედი, ცოტა დაბალი ვიყავი, მოუქნელი. სათანადო ვარჯიშების შედეგად თამაში ნელ-ნელა გავაუმჯობესე.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სამთო თხილამურობა

# ჩემპიონატმა გუდაურში გადაინაცვლა

გასულ უქმეებზე გუდაურში საქართველოს ჩემპიონატის მესამე ეტაპი გაიმართა. შეგახსენებთ, პირველ ორ ეტაპს იანვარში ბაკურიანმა უმასპინძლა. გუდაურის ეტაპზე კი ასეთი შედეგები დაფიქსირდა.

სპეციალური სლალომი: ვაჟები. 11-12 წ. 1. **ნიკა წაქაძე** (თბილისი), 2. **გიორგი კურტანიძე** (ბაკურიანი), 3. **ბესო ჯაფარიძე** (მესტია). 13-14 წ. 1. **სოსო ჯაფარიძე** (გუდაური), 2. **ნიკოლოზ კოზანაშვილი** (ბაკურიანი), 3. **გოგა ოგბაიძე** (გუდაური). 15-19 წ. 1. **კახა კურტანიძე**, 2. **ზურაბ ბაქრაძე**, 3. **დავით გავა** (სამივე - ბაკურიანი). გოგონები. 11-12 წ. 1. **ანასტასია კვირიკაძე**, 2. **ლიზი გეგენავა** (ორივე - გუდაური), 3. **მარიამ გეგენავა** (თბილისი). 13-14 წ. 1. **სუსანა გავა** (ბაკურიანი), 2. **ელენე ჩხეიძე**, 3. **ნატა გოცირიძე** (ორივე – გუდაური). 15-19 წ. 1. **თამუნა ჯალმაიძე** (გუდაური), 2. **ნატაშა გავა** (ბაკურიანი), 3. **ნინო ჯალმაიძე** (გუდაური).

გიგანტური სლალომი: ვაჟები. 11-12 წ. 1. **გიორგი კურტანიძე** (ბაკურიანი), 2. **ნიკა წაქაძე** (თბილისი), 3. **დავით ხომერიკი** (გუდაური). 13-14 წ. 1. **სოსო ჯაფარიძე** (გუდაური), 2. **სოსო ბაკაევი** (ბაკურიანი), 3. **ნოდარ ჩუპკო** (ბაკურიანი). 15-19 წ. 1. **დავით თედიაშვილი**, 2. **კახა კურტანიძე**, 3. **ზურაბ ბაქრაძე** (სამივე - ბაკურიანი). გოგონები. 11-12 წ. 1. **ანასტასია კვირიკაძე** (გუდაური), 2. **მარიამ გეგენავა** (თბილისი), 3. **თიკო ნაზლაიძე** (გუდაური). 13-14 წ. 1. **ელენე ჩხეიძე** (გუდაური), 2. **თაკო ბაქრაძე** (ბაკურიანი), 3. **ნატა მგელაძე** (თბილისი). 15-19 წ. 1. **ნატაშა გავა** (ბაკურიანი), 2. **თამუნა ჯალმაიძე** (გუდაური), 3. **ნინო ჯალმაიძე** (გუდაური).

ჩემპიონატის შემდეგ ეტაპს, რომელიც 20-21 თებერვალს ჩატარდება, ბაკურიანი უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ყინულის ჰოკეი

# მეორე ქართველი პიტსბურგში

„ლელოს" მკითხველმა იცის, რომ NHL-ის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „პიტსბურგ პინგვინზში" ყინულზე სრიალის მწვრთნელად ქართველი **ბესო ცინცაძე** მუშაობს. მისი ინიციატივით, გუშინ აშშ-ში გაემგზავრა ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ქართველი ჰოკეისტი **გიორგი ჯეირანაშვილი.** ბესომ მას მოწვევა გამოუგზავნა და აშშ-ის საელჩომ საკუთარ ქვეყანაში ცნობილი სპეციალისტის სახელის გაგონებისთანავე ქართველ ჰოკეისტს ვიზა უპრობლემოდ მისცა.

გიორგი 18 წლისაა, ამპლუით თავდამსხმელი და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. ჰოკეის თამაში მშობლიურ ბაკურიანში ისწავლა მამის, იქაური გუნდის მწვრთნელის **გოჩა ჯეირანაშვილის** ხელმძღვანელობით. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ პროფესიონალი ჰოკეისტი გახდეს. პირველ ეტაპზე პიტსბურგში ერთ თვეს დაყოფს.

გიორგი ბესო ცინცაძის ხელმძღვანელობით ივარჯიშებს „პინგვინზის" ჭაბუკთა გუნდის შემადგენლობაში. ერთი თვის განმავლობაში იგი ყოველდღიურად ექვსი საათით დაიტვირთება. სხვათა შორის, ამ პერიოდში პიტსბურგში მასშტაბური ტურნირი იმართება აშშ-ისა და კანადის 40 ქალაქის ახალგაზრდული გუნდების მონაწილეობით და იქ თამაშის საშუალება გიორგისაც ექნება.

ჯეირანაშვილი საშუალო სკოლას ივნისში ამთავრებს და სექტემბერში კვლავ აპირებს პიტსბურგში ჩასვლას, ამჯერად უკვე დიდი ხნით. იქ კოლეჯში ისწავლის და ჰოკეის თამაშსაც განაგრძობს. მხოლოდ კოლეჯის გუნდში მოხვედრის შემთხვევაშიც კი გიორგის უკვე შემოსავალი გაუჩნდება, შემდეგ კი უფრო დიდი მიზნებისთვისაც იშრომებს. ასაკი და მონაცემები ხელს უწყობს და სულაც არ იქნება წარმოუდგენელი, რამდენიმე წელიწადში NHL-ში თუ არა, AHL-ში (ამერიკის ჰოკეის ლიგაში) პირველი ქართველი ჰოკეისტი რომ ვიხილოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბესიკ ცინცაძე



გიორგი ჯეირანაშვილი

კარატე

# მესამე ადგილი და ჩინეთის ოლიმპიური თამაშების საგზური

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის გუნდმა 5-7 თებერვალს თურქეთში, ქალაქ იზმირში ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე იასპარეზა.

*„აღსანიშნავია, რომ ქართულმა კარატემ ამჯამადაც წარმატებით იასპარეზა 42 ქვეყანას შორის. ევროპის ჩემპიონატი WKF-ის (კარატეს მსოფლიოს ფედერაცია) ეგიდით გაიმართა და საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. განსაკუთრებით მაღალი კლასის ეროვნული ნაკრებები იყო წარმოდგენილი, რამაც ჩვენს გუნდს კიდევ ერთი დიდი გამოცდა ჩააბარებინა. ცნობისთვის, WKF ოლიმპიურ თამაშებზე წარადგენს სპორტის ამ სახეობას. ჩვენი ნაკრები 11 რჩეული კარატისტით იყო დაკომპლექტებული. ყველა მათგანი ნახევარფინალამდე მივიდა, თუმცა მსაჯთა არაობიექტურობის გამო მხოლოდ ერთმა - ჰენრი ვეკუამ დაიკავა მესამე ადგილი. ისიც დაჩაგრეს მსაჯებმა და ოქროს ნაცვლად ბრინჯაო არგუნეს. ამის მიუხედავად, WKF-ის პრეზიდენტმა და საორგანიზაციო საბჭომ ჩვენი სპორტსმენების გამოსვლას მაღალი შეფასება მისცეს. განსაკუთრებული ქება ვეკუამ დაიმსახურა და ის ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო კარატისტად აღიარეს. კარატეს მსოფლიო ფედერაციამ და ოლიმპიურმა კომიტეტმა, წელს, აგვისტოში, საქართველო ჩინეთში მიიწვია მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებათა ოლიმპიურ თამაშებზე. ეს მიწვევა გასული წლისა და წლევანდელი შედეგებიდან გამომდინარე გვერგო",* - განაცხადა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა კახა ზასილიამ.



მარცხნიდან მესამე ჰენრი ვეკუა

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრესმდივანი

ისტორია

# სამხრეთ აფრიკა: ყველა, როგორც ერთი



ნელსონ მანდელა და ფრანსუა პინარი

1995 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში „ბოკეს" გამარჯვებამ მრავალეროვანი ქვეყანა გააერთიანა. ფინალურ მატჩში ახალ ზელანდიასთან 15:12 გამარჯვება მოვლენა იყო ამ ქვეყნის ისტორიაში. ალმასების ქვეყნის პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ და „ქურციკებმა" აპარტეიდის ბოლო გადმონაშთები ერთობლივი ძალისხმევით დაძლიეს.

უკვე ვწერდით, რომ ჰოლივუდში ამ მოვლენების ამსახველი ფილმი „ივიქტუსი" გადაიღეს. ვფიქრობთ, საინტერესოა, რა ბედი ეწიათ ამ ისტორიული მატჩის მთავარ შემოქმედებს სარაგბო კარიერის დასრულების შემდეგ. ერთ-ერთი მათგანი, ფლანკერი რუბენ კრუხერი სიმსივნესთან ცხრაწლიანი ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე ყოფილ თანაგუნდელებთან ერთად ახლანდელი ნაკრები სრული შემადგენლობით მივიდა. ოქროს გუნდის ყველაზე ცნობილი წევრების ცხოვრება კი სხვადასხვაგვარად განვითარდა.

## იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი

იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი, ანუ უბრალოდ „იუსტი", მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ცხრა ნომრადაა მიჩნეული. მან სამხრეთ აფრიკის ნაკრებში ათი წლის განმავლობაში 89 კეპი მოიხვეჭა და მსოფლიო თასის სამ გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა.

„იუსტი" სამხრეთ აფრიკის საუკეთესო მელელოვეა. მის რეკორდს ჯერაც ვერავინ შესწვდა. სარაგბო კარიერის დასრულების შემდეგ ფან დერ ვესტჰოიზენი სამხრეთაფრიკული ტელეკომპანია „სუპერსპორტის" კომენტატორი გახდა. მოგვიანებით რამდენიმე სკანდალურ ისტორიაში გაეხვია. ბოლო ინციდენტმა კი, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებასთან იყო დაკავშირებული, ოჯახი დაუნგრია. სამხრეთაფრიკელმა მოდელმა **ამორ ვიტონმა** ნარკომან მეუღლესთან ერთად ცხოვრება არ ისურვა.

## კობუს ვიზე

**კობუს ვიზემ** „ტრანსვაალთან" ერთად 1993 წელს ზე 10-ის გათამაშება მოიგო. შერკინების მეორეხაზელი „ბოკეს" რიგებში იმავე წელიწადს მიიწვიეს, თუმცა სრული ორი სეზონი დასჭირდა ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად. 1995 წლის მსოფლიო თასზე სამხრეთ აფრიკის ნაკრები მის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ვიზემ თავი უხეში თამაშითაც დაგვამახსოვრა. მან უელსელ **დარვინ ჯოუნზს** სერიოზული ტრავმა მიაყენა, რისთვისაც მსოფლიო თასზე სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდამ მოუწია.

მოგვიანებით კობუს ვიზე იტალიური „პადოვას" ღირსებას იცავდა. რაგბიდან წასვლის შემდეგ ყავის ბიზნესში მოსინჯა ძალა. ამჟამად კი სამაუწყებლო კომპანია M-net-ში დიქტორად მუშაობს.

## ჯო სტრანსკი

**ჯო სტრანსკი** სამუდამოდ დარჩება სამხრეთაფრიკელთა მეხსიერებაში. „ქურციკებს" მსოფლიო თასი სწორედ მისმა დიდოსტატურმა არეკნმა მოუტანა. აფრიკელთა მგეზავმა ამ ტურნირზე კიდევ ერთი მიღწევა მიითვალა. ის პირველი აფრიკელია, ვინც ერთ თამაშში ლელო, გარდასახვა, საჯარიმო და არეკ-



იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი

ნი გაიტანა. მეტოქე კი იმ მატჩში, არც მეტი, არც ნაკლები, 1991 წლის მსოფლიო თასის მფლობელი ავსტრალია იყო. „ბოკემ" „ვოლაბებს" 27:18 მოუგო.

სტარნსკის „სპრინბოკის" შემადგენლობაში დებიუტი 1993 წელს შედგა. ბ ილო მატჩი კი სამი წლის შემდეგ გამართა. მერე ევროპას მიაშურა, ჯერ იტალიურ „ლაკვილაში" ასპარეზობდა,1997 წელს კი ინგლისური „ლესტერის" კვართი მოირგო. იქ დიდხანს არ დაყოვნებულა. ეროვნულ ნაკრებში სენსაციური დაბრუნებისა და „ბრისტოლთან" მძაფრი სასამართლო პროცესის შემდეგ, ჯომ ევროპა დატოვა.

სამშობლოში დაბრუნებული ჯო სტრანსკი დღემდე მედიაბიზნესში საქმიანობს.

## ფრანსუა პინარი

**ფრანსუა პინარისა** და „ბოკეს" ფორმაში გამოწყობილი **ნელსონ მანდელას** ფოტო „ვებ ელისის" თასით ხელში ყველაზე გამორჩეულ, პოზიტიურ მომენტს ასახავს სამხრეთ აფრიკის მშფოთვარე ცხოვრების ისტორიაში. პინარმა საკუთარ მხრებზე იტვირთა ქვეყნის სპორტული ცხოვრების სრული აღდგენა და ისტორიაში ყველაზე დიდი აფრიკელი მორაგბის სახელით შევიდა.

1993 წელს „ტრანსვაალის" შემადგენლობაში „ქარის თასზე" გამარჯვების შემდეგ ფრანსუა ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს და კაპიტნის სამკლავურიც ჩააბარეს.

მისი შედარებით ხანმოკლე სანაკრებო კარიერა სამარცხვინოდ დასრულდა, როცა ნაკრების მწვრთნელმა **ანდრე მაკგრაფმა** კაპიტნობიდან გადააყენა. პინარმა ნაკრები დატოვა და მას შემდეგ გუნდში აღარ დაბრუნებულა.

„ბოკეს" ლეგენდარულმა კაპიტანმა ინგლისს მიაშურა და 2000 წელს „სარასენზს" 127-წლიანი უნაყოფობის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. პინარი დღემდე ამ კლუბთანაა დაკავშირებული. 2002 წლამდე „სარასენზის" მწვრთნელიც იყო და კლუბის პრეზიდენტიც. ორწლიანი სამწვრთნელო საქმიანობის შემდეგ ოჯახთან ერთად სამშობლოში, კეიპტაუნში დაბრუნდა.

მოგვიანებით მან ისევ აღადგინა ურთიერთობა „სარასენზთან" და დირექტორთა საბჭოს წევრი გახდა. ამჟამად კი კლუბის ერთ-ერთი სპონსორია.

## კრის როსუ

**კრის როსუსთვის** 1995 წლის მსოფლიო თასის ფინალი სულ რაღაც მეხუთე შეხვედრა იყო „ბოკეს" შემადგენლობაში. „ნატალ შარქსის" შერკინების კვაჭს ნამდვილად გაუმართლა. ერთ-ერთ ტურნირზე კანადის ნაკრებთან მატჩში ჯგუფური ჩხუბი ატყდა, სადაც ყველაზე მატად „ბოკეს" ძირითადმა კვაჭმა **ჯეიმზ დელტონმა** „იყოჩაღა". მოჩხუბარს დისკვალიფიკაცია მისცეს და ძირითად შემადგენლობაში გზა როსუს გაეხსნა. კრისს მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ ნაკრებში სამი წელი აღარ იწვევდნენ. ბოლოს სამხრეთ აფრიკის ნაკრების კვართი 1999 წელს მოირგო.

მოგვიანებით კი თანაგუნდელ რუბენ კრუხერის მსგავსად სიმსივნეს ებრძოდა.

## ბრენდონ ვენტერი

ერთ-ერთმა უსწრაფესმა შუამარბმა **ბრენდონ ვენტერმა** სამხრეთ აფრიკის ნაკრების შემადგენლობაში 1994-იდან 1999 წლამდე 17 მატჩში ითამაშა. მისი სარაგბო კარიერა მაღალ ნოტზე ვერ დასრულდა. 1999 წლის მსოფლიო თასზე ის ერთხელ გამოჩნდა გუნდის შემადგენლობაში შოტლანდიასთან მატჩში.

2002 წლამდე „ლონდონ აირიშის" მოთამაშე-მწვრთნელი იყო. მერე სამხრეთ აფრიკაში დაბრუნდა და პროფესიით ექიმმა სამედიცინო პრაქტიკას მიჰყო ხელი.

2009 წელს ვენტერი ინგლისში დაბრუნდა და „სარასენზის" აღმასრულებელი დირექტორი გახდა.



ჯო სტრანსკი

მეტოქეები

# დათვები ლომებს სტუმრობენ

2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრის მეორე ტურის შეხვედრაში ერთ-ერთი ფავორიტი, რუსეთის ნაკრები 13 თებერვალს მადრიდში ესპანეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

რუსთა გუნდი პირველ მატჩში პორტუგალიის დამარცხების შემდეგ საწვრთნელ შეკრებას სოჭში გადიოდა, გუშინ, გვიან ღამით კი მადრიდს გაემგზავრა. „ლომები" რუს „დათვებს" საბრძოლო შემადგენლობით ხვდებიან და არაფრის დათმობას არ აპირებენ. დანაკლისის გარეშე ითამაშებს რუსეთის ნაკრებიც. „ლობუშებთან" მატჩში **ალექსანდრ იანუშკინმა და ვლადისლავ კორშუნოვმა** ტრავმები კი მიიღეს, მაგრამ მალევე ჩადგნენ მწყობრში.

რუსეთის ნაკრებს აუცილებლად გამარჯვება სჭირდება. წარუმატებლობის შემთხვევაში, ახალ ზელანდიამდე გზა საგრძნობლად გაურთულდება. ესპანელებს მოტივაცია არა აქვთ, მაგრამ პრესტიჟის დაცვას ნამდვილად შეეცდებიან, მით უფრო, რომ უშანსო „ლომები" ფსიქოლოგიური ტვირთისგან თავისუფალი იქნებიან.

რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** მადრიდში 24 მორაგბე იახლა. მათ შორისაა შერკინების პირველხაზელი **კარლო მაღლაკელიძეც.**

რუსეთის ნაკრები: შერკინება: ევგენი პრონენკო, ანდრეი ფატახოვი, ანდრეი ტემნოვი, (სამივე - ენისეი), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი), ვიქტორ გრესევი, ვლადისლავ კორშუნოვი, ალექსანდრ ვოიტოვი, ევგენი მატვეევი, ალექსეი ტრავკინი, ალექსანდრ ხროკინი, (ყველა-ვვა), კარლო მაღლაკელიძე (პენზა), კირილ კულემინი (კასტრი), ანდრეი ოსტრიკოვი (ორიაკი).

უკანახაზი: მიხაილ ბაბაევი, იგორ კლუჩნიკოვი, იური კუშნარიოვი, ანდრეი კუზინი, ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი, სერგეი ტრიშინი, ვასილი არტიომოვი, (ყველა - ვვა), ალექსეი კორობეინიკოვი (ენისეი), ალექსანდრ გვოზდოვსკი, ალექსეი მაკოვეცკო, (სამივე - კრასნი იარი)

შვიდკაცა რაგბი — მსოფლიო სერია

# ფიჯის იმედი ლას-ვეგასია

გასულ უქმეებზე ახალზელანდიურ ველინგტონში გამართული შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის მესამე ეტაპი ფიჯის ნაკრებმა მოიგო. ფინალში კუნძულელები გავიდნენ. ფიჯელებმა მეზობელი სამოელები 19:14 დაამარცხეს.

სამი ეტაპის ჯამში მსოფლიო სერიის ლიდერი, ახალი ზელანდიის ნაკრები გათამაშებას ნახევარფინალში გამოეთიშა. „ოლ ბლექსმა" სწორედ სამოასთან წააგო - 14:24.

დღესდღეობით ახალზელანდიელებს 64 ქულა აქვთ და სერიას ისევ ლიდერობენ. ფიჯელები მათ ოთხი ქულით ჩამორჩებიან და კარგი შანსი აქვთ, მორიგ ეტაპზე, (ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლას-ვეგასში), გამარჯვების შემთხვევაში ლიდერებად მოგვევლინონ.

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები მსოფლიო სერიის ბოლო ორ ეტაპზეა მიწვეული, 22-23 მაისს ლონდონში და 29-30 მაისს ედინბურგში.

შვიდკაცას მსოფლიო სერია. **1. ახალი ზელანდია - 64 ქულა, 2. ფიჯი - 60, 3. სამოა - 46, 4. ინგლისი - 44, 5. ავსტრალია - 30, 6. კენია - 28, 7. სამხრეთ აფრიკა - 24, 8. არგენტინა - 22, 9. უელსი - 12, 10. კანადა - 6.**

# უნიგნური, მაგრამ მაინც ლეგენდა

**ფიჯელების შვიდკაცა რაგბის ასპარეზზე მიღწეული წარმატებები, ცხადია, მოულოდნელობა სულაც არ არის. კუნძულელები დიდი ხანია, რაგბის ამ ნაირსახეობაში მოდის კანონმდებლები არიან. ფიჯელი ვაისალე სერევი კი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მეშვიდკაცეა. სერევი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ამდენივე მსოფლიო სერიის გამარჯვებულია. მსოფლიოს შვიდკაცა რაგბის ლეგენდა ამჟამად პაპუა ახალი გვინეის მწვრთნელია. ვფიქრობთ, ქართველი რაგბის ქომაგისთვის საინტერესო იქნება სერევისთან ინტერვიუ.**

**- როგორ მოხდა თქვენი პირველი სარაგბო ნათლობა?**

- რაგბის ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში ვთამაშობდი. არასდროს დამავიწყდება ჩემი დებიუტი 1989 წლის ჰონკონგის შვიდკაცა რაგბის ტურნირზე. ფინალში ახალ ზელანდიას ვხვდებოდით. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. მეტოქის ხაზი გავჭერი და ლელოსკენ მოვკურცხლე. გზად უკან მოვიხედე, მინდოდა, მდევარი ახალზელანდიელი გამეშაყირებინა. ის კი ვერ განვსაზღვრე, რომ ჩათვლის მოედნამდე 10 მეტრი იყო დარჩენილი. ზელანდიელი დამეწია, ლელო ვერ გავიტანე და თამაშიც წავაგეთ.

**- როდის მიხვდით, რომ რაგბი თქვენი ცხოვრების საქმე იყო?**



ვაისალე სერევი

- სკოლაში ძალიან ცუდად ვსწავლობდი. დაწყებითი სკოლის ატესტატი ვერ ავიღე. ამიტომაც ჩემი ცხოვრება მთლიანად რაგბის მივუძღვენი.

**- ვარჯიშისას ყველაზე მეტად რა არ მოგწონთ?**

- ძალოსნობაში ვარჯიშს ვერ ვიტან. მძიმე რკინების თრევა საშინელებაა.

**- თავისუფალ დროს რით ხართ დაკავებული?**

- თუ არ ვთამაშობ ან გუნდს არ ვავარჯიშებ, ძალიან მიყვარს ჩემს სამ პატარა შვილთან ერთად სახლში ყოფნა.

**- ვინ არის სპორტში თქვენი იდეალი?**

- ავსტრალიელი დევიდ ქემფიზი. ის ძალიან მაგარი მორაგბე იყო.

**- რომელია თქვენი საყვარელი ფილმი ან წიგნი?**

- ფილმების ყურება არ მიყვარს. არც წიგნების კითხვა მიზიდავს. მხოლოდ ბიბლიას ვკითხულობ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჭანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონს აუტსაიდერთან გაუჭირდა



კევინ დურანტი

შედარებით მშვიდი ორი სათამაშო დღის შემდეგ გუშინდელმა ტურმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში საინტერესოდ ჩაიარა. ერთ მატჩში ოვერტაიმის ჩატარება გახდა საჭირო, არადა მაყურებელს მთელი ერთი კვირის განმავლობაში არ უნახავს დამატებით დროში ურთიერთობის გარკვევა.

„კლივლენდ კავალიერზი" შინ ღრმა აუტსაიდერ „ნიუ ჯერსი ნეტს" ხვდებოდა და იოლად აპირებდა ამ მატჩის ბედის გადაწყვეტას. მაგრამ პირველი 15 წუთის განმავლობაში გუნდებს შორის კლასში სხვაობა არ იგრძნობოდა. სტუმრები ლიდერობდნენ, თანაც „ნეტსის" სასტარტო ხუთეული ისე ათამაშდა, რომ სათადარიგო კალათბურთელების დახმარება საჭირო არ ყოფილა.

რეგულარული ჩემპიონატის ლიდერმა მხოლოდ მეორე მეოთხედში გაიხსენა, ვინ უნდა ყოფილიყო მოედნის ბატონ-პატრონი. სულ მალე „ნიუ ჯერსის" რვაქულიანი უპირატესობა რვაქულიან ჩამორჩენად იქცა. მაგრამ რეგულარულის ბოლოადგილოსანს ბრძოლა არ შეუწყვეტია. სტუმრები მეორე ტაიმშიც ეწინააღმდეგებოდნენ **ლებრონ ჯეიმსსა** და კომპანიას და შეიძლება გამარჯვებისთვისაც მიეღწიათ, „კავალიერზს" ბოლო 12-წუთეულში 13:2 გაქცევა რომ არ მოეწყო. ეს სპურტი **ჯავად უილიამსის** ორი სამქულიანისა და ჯეიმსის ხუთი ქულის დამსახურება იყო. ამის შემდეგ სენსაცია ვერანაირად ვერ მოხდებოდა.

„დენვერ ნაგეტსს" **კარმელო ენტონი** დაუბრუნდა, თუმცა ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი არ გამხდარა „დალასის" განადგურების (127:91) მთავარი სულისჩამდგმელი (ენტონიმ 19 ქულა და 6 შედეგიანი პასი მიითვალა). ყველაზე მეტ საქებარ სიტყვას ბრაზილიელი ცენტრი **ნენე ილარიო** იმსახურებს, რომელმაც სულ რაღაც 26 წუთში 21 ქულა და 8 მოხსნა დააგროვა. ნენესა და კარმელოს გარდა, 12-ქულიანი ზღვარი კიდევ ხუთმა კალათბურთელმა გადალახა, **კრის ანდერსენმა** კი სეზონში მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა.

გუშინდელ ტურში კიდევ ერთი დიდი ანგარიში ვიხილეთ. ცუდი დღე დაადგა მაიამიში „ჰიუსტონ როკეტსს". მართალია, „ჰიტის" ლიდერი **დუეინ უეიდი** ჩვეულებრივ შედეგიანი არ ყოფილა, მაგრამ მაინც საუკეთესო იყო მოედანზე - მის ანგარიშზე 17 ქულა, 7 შედეგიანი პასი, 5 ჩაჭრა, 4 მოხსნა და ერთი დაფარება მოდიოდა. გარდა ამისა, ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავი **ადონის ჰასლემმა**. მან ორმაგი დუბლითა (14 ქულა+14 მოხსნა) და +42 სარგებლიანობის მაჩვენებლით დაასრულა შეხვედრა, რაც დღის რეკორდი იყო.

დღის მთავარ გმირად კი „ოკლაჰომა სიტის"ლიდერი **კევინ დურანტი** უნდა მივიჩნიოთ. მან 33 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა უშუალო კონკურენტ „პორტლენდთან" მატჩში და თავის გუნდს 89:77 გაამარჯვებინა. „ოკლაჰომას" მოგებათა სერია ექვს მატჩამდე გაიზარდა, რაც საკლუბო რეკორდია. თავად დურანტმა ზედიზედ 25-ე მატჩში მინიმუმ 25 ქულა დააგროვა და სეზონში ოცდამეათედ გადააბიჯა 30-ქულიან ზღვარს.

**შარლოტი-ვაშინგტონი 94:92**

24:27, 26:22, 23:21, 21:22

შ: ჯექსონი (22+5 მოხსნა), უოლასი (17+13 მოხსნა), მიური (16).
ვ: ბატლერი (23+8 პასი), მილერი (19+6 მოხსნა), ჯეიმისონი (16+6 მოხსნა).

**კლივლენდი-ნიუ ჯერსი 104:97**

26:27, 29:22, 23:23, 26:25

კ: ჯეიმსი (32+11 პასი), უილიამსი (17), ვარეჟაო (15+9 მოხსნა).
ნ-ჯ: ლი (24+7 მოხსნა), ლოპესი (23+14 მოხსნა), ჰეიესი (19).

**ინდიანა-ჩიკაგო 101:109**

28:29, 32:28, 26:24, 15:28

ი: გრეინჯერი (27+10 მოხსნა), მერფი (18+16 მოხსნა), უოტსონი (14+6 პასი).
ჩ: დენგი (23+11 მოხსნა), როუზი (21+7 პასი), სალმონსი (21).

**ფილადელფია-მინესოტა 119:97**

30:23, 43:28, 24:25, 22:21

ფ: იგუოდალა (24+6 პასი), ბრენდი (21+7 მოხსნა), უილიამსი (16+7 პასი).
მ: ელინგტონი (16), ბრიუერი (14), ფლინი (14+6 მოხსნა).

**მაიამი-ჰიუსტონი 99:66**

24:16, 32:15, 24:24, 19:11

მ: უეიდი (17+7 პასი), ჰასლემი (14+14 მოხსნა), აროიო (12+7 პასი).
ჰ: სკოლა (12+7 მოხსნა), ლენდრი (11+6 მოხსნა), ბრუქსი (10).

**ნიუ იორკი-საკრამენ. 114:118 (ო)**

33:26, 23:26, 28:24, 21:29, 9:13

ნ-ი: ჩენდლერი (35+5 მოხსნა), ლი (21+10 მოხსნა+5 პასი), ჰარინგტონი (17).
ს: ევანსი (27+10 მოხსნა+6 პასი), გრინი (24+8 მოხსნა), კასპი (18+9 მოხსნა).

**მემფისი-ატლანტა 94:108**

30:27, 25:26, 20:29, 19:26

მ: რენდოლფი (20+14 მოხსნა), გეი (18), მაიო (16).
ა: კროუფორდი (28), სმიტი (17+6 მოხსნა), ჰორფორდი (15+8 მოხსნა).

**მილუოკი-დეტროიტი 81:93**

9:20, 29:25, 24:19, 19:29

მ: ჯენინგსი (18+5 პასი), ბოგუტი (17+18 მოხსნა), ბელი (15).
დ: სტაკი (18+5 მოხსნა+7 პასი), პრინსი (18), გორდონი (18).

**დენვერი-დალასი 127:91**

32:21, 33:18, 38:31, 24:21

დენ: ნენე (21+8 მოხსნა), ენტონი (19+6 პასი), ბილაპსი (16+6 პასი).
დალ: ნოვიცკი (17), ტერი (16), ჰოვარდი (14).

**პორტლენდი-ოკლაჰომა 77:89**

17:23, 24:18, 20:18, 16:30

პ: მილერი (22+6 მოხსნა+6 პასი), ოლდრიჯი (15+15 მოხსნა), კანინგემი (14+6 პასი).
ო: დურანტი (33+11 მოხსნა), გრინი (17), ჰარდენი (13).

**კლიპერსი-იუტა 99:109**

26:29, 30:23, 28:28, 15:29

კ: კამანი (19+7 მოხსნა), ბატლერი (18), დევისი (16+9 პასი)
ი: ბუზერი (34+14 მოხსნა), უილიამსი (13+11 პასი), პრაისი (11).

## კვირის სიმბოლური

გამთამაშებელი. რასელ უესტბრუკი (ოკლაჰომა)

**სტატისტიკა:** 19.7 ქულა+9.7 პასი+8.0 მოხსნა

**გუნდური შედეგი:** 3-0

დღევანდელი „"ოკლაჰომა" სასიამოვნო სანახავია. რა თქმა უნდა, ამ გუნდის მთავარი ვარსკვლავი **კევინ დურანტი** გახლავთ, მაგრამ ამ კვირას ძირითადი გამთამაშებლის **რასელ უესტბრუკის** უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა. „თანდერის" მცველი ამტკიცებს, რომ ულამაზესი ჩატენვების გარდა, ბრწყინვალედ ეხერხება შედეგიანი გადაცემების დარიგება და გუნდური შეტევის ორგანიზება. გარდა ამისა, ის ერთ-ერთი საუკეთესო მომხსნელი გამთამაშებელია ასოციაციაში. სხვათა შორის, „გოლდენ სტეიტთან" მატჩში უესტბრუკი ოთხმაგ დუბლს მიუახლოვდა, არადა, ეს ბიჭი სულ მეორე სეზონს ატარებს ლიგაში.

შემტევი მცველი. კევინ დურანტი (ოკლაჰომა)

**სტატისტიკა:** 30.7 ქულა+7.3 მოხსნა+3.0 პასი

**გუნდური შედეგი:** 3-0

იშვიათია ისეთი მოთამაშე, რომელიც თავის მესამე სეზონში საშუალოდ მატჩში 30 ქულას აგროვებს. კალათბურთელი, რომელიც კარიერის საწყის ეტაპზე ასეთი შედეგით გამოირჩა, მოგვიანებით თავის ამპლუაში ლიგის მთავარ დომინატორად მოგვევლინა. ერთ-ერთ მათგანზე ჩვენ ქვემოთ მოგახსენებთ.

დრო გვიჩვენებს შეუძლია თუ არა **დურანტს** ასეთი მოთამაშეების გვერდით დადგომა, მანამდე კი უბრალოდ დავტკბეთ ამ ფენომენის თამაშით.

მსუბუქი ფორვარდი. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)

**სტატისტიკა:** 35.0 ქულა+10.3 პასი+7.0 მოხსნა

**გუნდური შედეგი:** 3-0

სანამ **მო უილიამსი** ტრავმას იშუშებს, ლებრონი არ თაკილობს პარტნიორებისთვის თამაშს. **მაიკ ბრაუნმა** გადაწყვიტა ცოტათი გააფართოოს თავისი ლიდერის მოქმედების სპექტრი და ის გამთამაშებლის (!) პოზიციაზე დააყენა. ბევრმა **ჯეიმსი** თვით **მეჯიქ ჯონსონსაც** კი შეადარა. ალბათ, ასეთი შედარება ჯერ ნაადრევია თუნდაც იმიტომ, რომ ლებრონს ჯერ ერთი საჩემპიონო ბეჭედიც არ მოუგია.

მძიმე ფორვარდი. ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი)

**სტატისტიკა:** 25.0 ქულა+12.7 მოხსნა

**გუნდური შედეგი:** 3-0

დიდი ხანია „ფინიქსის" მძიმე ფორვარდს ასე კარგად არ უთამაშია. **ამარეს** გარშემო გავრცელებული სატრანსფერო ჭორების მიუხედავად, სტაუდმაიერმა გადაწყვიტა ყურადღება არ მიაქციოს არასაკალათბურთო ამბებს და მთლიანად თამაშზე მოახდინოს კონცენტრაცია. სამწუხაროდ, ფინიქსელს ბოლო დროს სულ უფრო იშვიათად აქვს მსგავსი გამონათებები. ახლაც ცოტა ვინმეს თუ სჯერა, რომ ამარე სეზონის ბოლომდე გააგრძელებს ასეთ დონეზე თამაშს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ხუთი წლის წინ, „სან ანტონიოსთან" საპლეიოფო სერიაში „სანზის" ფორვარდი **ტიმ დანკანს** ჯაბნიდა და საშუალოდ შეხვედრაში 35.0 ქულას აგროვებდა.

ცენტრი. დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

**სტატისტიკა:** 20.8 ქულა+13.5 მოხსნა+3.5 დაფარება

**გუნდური შედეგი:** 3-1

„ვაშინგტონთან" დასანანი მარცხი რომ არა, **ჰოვარდი** კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის ღირსეულ კონკურენციას გაუწევდა ლებრონს. არ უნდა დავივიწყოთ ბრწყინვალე გამარჯვება „ბოსტონ გარდენში", სადაც „სუპერმენმა" უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა „მეჯიქის" წარმატებაში. ასეა თუ ისე, „ორლანდოს" ლიდერს დამსახურებულად ეკუთვნის ლიგის საუკეთესო ცენტრის სახელი...

სხვადასხვა

ჰოკეი

## ისევ ევროპაში დაიწყება

მომავალ სეზონში ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი კვლავ ევროპაში აიღებს სტარტს - ამჯერად „ბებერ კონტინენტზე" ექვსი მატჩი გაიმართება, რაც სარეკორდო რაოდენობაა.

ფინეთში ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს „კაროლინა ჰარიკეინზი" და „მინესოტა უაილდი", ჩეხეთში ითამაშებენ „ბოსტონ ბრუინზი" და „ფინიქს კოიოტზი", შვედეთში - „კოლამბუს ბლუ ჯეკეტსი" და „სან ხოსე შარქსი". შეხვედრები 2010 წლის 7-10 ოქტომბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი პრაქტიკა 2007-08 წლების სეზონიდან მოქმედებს, როცა ლონდონში ჩემპიონატი „ლოს ანჯელეს კინგზისა" და „ანაჰაიმ დაქსის" მატჩებით გაიხსნა.

ფორმულა 1

## ამერიკელები ვერ ასწრებენ

ფორმულა 1-ის დებიუტანტი გუნდი - USF1 სავარაუდოდ გამოტოვებს ახალი ჩემპიონატის პირველ ეტაპს. ამერიკული საჯინიბოს პილოტის - **ხოსე მარია ლოპესის** მენეჯერმა **ფელიპე მაკგრაფმა** დაადასტურა, რომ დებიუტანტები ვერ ასწრებენ სეზონის სტარტისთვის მომზადებას და მათ ვერ ვიხილავთ ბაჰრეინის გრან-პრიზე. წესების თანახმად, იმ გუნდს, რომელიც ფინანსურ პრობლემებს განიცდის, დაუსჯელად სამი რბოლის გამოტოვება შეუძლია.

*„ჩვენ გარკვეული პრობლემები გვაქვს, მაგრამ ამის მიუხედავად USF1 მონდომებით აგრძელებს მზადებას სადებიუტო სეზონისთვის"*, - განაცხადა მაკგრაფმა.

რალი

## კიმიმ ავარიით დაიწყო

მომავალ უქმეებზე შვედეთის რალით იხსნება მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი. მონაწილეები უკვე შვედეთში არიან და პირველი ეტაპის დაწყებამდე ბოლო ვარჯიშებს ატარებენ.

გუშინ არ გაუმართლა ფორმულა 1-ის ყოფილ ჩემპიონ **კიმი რაიკონენს**. რალის სეზონის დებიუტანტი ავარიაში მოყვა, თუმცა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა **დაკი იუნგმა** განაცხადა, რომ ამ ინციდენტში კიმი არ ყოფილა დამნაშავე.

თავად რაიკონენმა უარი თქვა კომენტარზე - ფინელი აშკარად ცუდ ხასიათზე გახლდათ.

კალათბურთი

## რაილის სტაუდმაიერი უნდა

„მაიამი ჰიტის" პრეზიდენტ **პატ რაილის** „ფინიქს სანზის" ცენტრის **ამარე სტაუდმაიერის** შეძენის დიდი სურვილი აქვს. სანაცვლოდ ფლორიდელები რამდენიმე კალათბურთელის დათმობას აპირებენ. „სანზის" ხელმძღვანელობას ორ ნიჭიერ მოთამაშეს - **მაიკლ ბისლისა** და **დორელ რაიტს** შორის არჩევანის გაკეთება შეუძლია, მას აგრეთვე სთავაზობენ ვეტერანი კალათბურთელებს - **ჯერმეინ ო'ნილსა** და **კვენტინ რიჩარდსონს**. გარდა ამისა, „მაიამი" დათმობს მომავალი დრაფტის პირველი რაუნდში არჩევანის უფლებას.

## დიდი გაცვლა ტრეისისთვის

ამასობაში, სამმხრივ გაცვლაზე აწარმოებენ მოლაპარაკებებს „ჰიუსტონ როკეტსი", „ვაშინგტონ უიზარდსი" და „ნიუ იორკ ნიქსი". Yahoo! Sports-ის ინფორმაციით, „უიზარდსი" ჰიუსტონის მიმართულებით გაუშვებს ფორვარდ **კერონ ბატლერსა** და ცენტრ **ბრენდან ჰეივუდს**, „ნიქსი" „ვაშინგტონს" დაუთმობს **ელ ჰარინგტონს**, ხოლო „ჰიუსტონის" ფორვარდი **ტრეისი მაკგრეიდი** „ნიუ იორკში" გააგრძელებს კარიერას.

მხარეები ამ გრანდიოზულ გაცვლასი სხვა მოთამაშეების ჩართვის შესაძლებლობასაც განიხილავენ.

## რობინსონი ვერ ჩატენის?

„ყველა ვარსკვლავის უიქ ენდის" ჩატენვების კონკურსზე, შესაძლოა, შარშან მოპოვებული ტიტული ვერ დაიცვას „ნიუ იორკ ნიქსის" მცველმა **ნეიტ რობინსონმა** - კალათბურთელს საზარდულის ტრავმა აწუხებს.

*„ნეიტმა უახლოეს ორ დღეში უნდა გაგვაგებინოს როგორ გრძნობს თავს,* - ამბობს „ნიქსის" დამრიგებელი **მაიკ დ'ანტონი**. - *თუ ის ტრავმას დროულად არ მოირჩენს, „ყველა ვარსკვლავის უიქ ენდის" გამოტოვება მოუწევს, ხოლო თუ ყველაფერი წესრიგში იქნა, ჩვენ მას ჩატენების კონკურსში გამოსვლის უფლებას მივცემთ"*.

„ყველა ვარსკვლავის მატჩი" შაბათს დალასში გაიმართება.

ჩოგბურთი

## მარია ორშაბათს დაბრუნდება

რუსი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა მომავალი ორშაბათიდან განაახლებს ქალთა პროფესიულ ტურში გამოსვლას. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მემფისში Regions Morgan Keegan-ის ჩემპიონატში ჩაებმება.

ამ სეზონში შარაპოვამ მხოლოდ ერთი ოფიციალური მატჩი ჩაატარა: ავსტრალიის ღია პირველობის პირველივე წრეში სენსაციურად დამარცხდა თანამემამულე **მარია კირილენკოსთან** - 6:7(4), 6:3, 4:6.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში მემფისის ტურნირი ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** მოიგო, რომელმაც ფინალში ორ სეტში დაამარცხა დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**.

## მორესმო ნიუ-იორკის მარათონს გაირბენს

ამ კვირას ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი **ამელი მორესმო** უკანასკნელად მიიღებს მონაწილეობას ოფიციალურ ტურნირში და დაასრულებს საჩოგბურთო კარიერას. გუშინ, ამელი პარიზში საკუთარი გეგმების შესახებ ელაპარაკა ჟურნალისტებს. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი არ გამორიცხავს პარიზის ტურნირის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას.

*„მუდმივად ვცდილობ რაღაც ახლის მოფიქრებას, რადგან უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლია,* - აღიარა უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა. - *ახლა უბრალოდ ცხოვრებით ვტკბები. გაგიკვირდებათ, მაგრამ ნიუ-იორკის მარათონში ვაპირებ მონაწილეობას, მაგრამ ჯერ ფორმა უნდა ავკრიფო. მომავალში, ალბათ, ერთ-ერთი საჩოგბურთო ტურნირის დირექტორი გავხდები"*.

## მაკინროი: ფედერერი ყველა დროის საუკეთესოა

ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ჯონ მაკინროი** დარწმუნებულია, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი** ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად უნდა ჩაითვალოს.

მაკინროიმ შვეიცარიელი **როდ ლეივერზე** მაღლა დააყენა, არადა ამ ავსტრალიელს 1962 და 1969 წლებში ორჯერ აქვს მოგებული „დიდი სლემი" (სეზონის ოთხივე უმთავრესი ჩემპიონატი). ჯონის აზრით, ასევე ფედერერის უკან უნდა იდგეს უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი **პიტ სამპრასი**.

ამასთან მაკინროიმ აღნიშნა, რომ ლეივერი მისი კერპი იყო, სამპრასი კი ისტორიაში საუკეთესო ჩოგბურთელია ბალახის კორტებზე. თუმცა იქვე დაამატა, რომ „დიდი სლემის" ტურნირების 16-გზის ჩემპიონი ფედერერი - ყველაზე დიადი მოთამაშეა, რადგან ბოლო წლებში მისი თამაში ბრწყინვალე და ფენომენურად სტაბილური იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ვანკუვერი 2010

# ზვიგენების ტრიო ოქროს უმიზნებს

კანადის ნაკრების წამყვანი ფორვარდები - **ჯო ტორნტონი, პატრიკ მარლო და დენი ჰიტლი** ოთხი წლის წინ, ტურინის ოლიმპიადაზე განცდილი ფიასკოსთვის რეაბილიტაციას აპირებენ. ეს თავდამსხმელები „სან ხოსე შარქსში" ერთ შეტევით ტრიოში მოქმედებენ და მათი შეთამაშება ძალიან წაადგება მომავალი ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანას.

ტურინში კანადის ნაკრებმა მეშვიდე ადგილი დაიკავა. იმ გუნდში ტორნტონი და ჰიტლი თამაშობდნენ და ახლა ფორვარდებისთვის რევანშის დრო დადგა. დღეისთვის ისინი ბრწყინვალე ფორმაში იმყოფებიან, მათ არ ჩამოუვარდება ოლიმპიური ნაკრების დებიუტანტი პატრიკ მარლო.

*„ძალიან კომფორტულია თამაში, როცა ორივე პარტნიორი ბრწყინვალედ გრძნობს შენს გადაცემებს. ჩემთვის საკმარისია მეტოქის კარისკენ გავუშვა შაიბა, რომ ის ხშირად გოლად იქცევა"*, - ამბობს ტორნტონი, რომელსაც ამ სეზონში 74 ქულა (15 გოლი+59 შედეგიანი პასი) აქვს დაგროვებული.



*„ბუნებრივია, ჩვენზე განსაკუთრებული ზეწოლა იქნება. აუცილებლად უნდა გავამართლოთ გულშემატკივრების ნდობა. შემიძლია ვთქვა, რომ ერთად ბრწყინვალედ გამოგვდის თამაში და თუ ნაკრების ხელმძღვანელები ჩვენს ტრიოს არ დაშლიან, დიდ დახმარებას გავუწევთ კანადას"*, - აცხადებს დენი ჰიტლი.

მიმდინარე რეგულარულში ჰიტლის ანგარიშზე 66 ქულა (32+34) მოდის, პატრია მარლომ კი 64 ქულა (38+26) მიითვალა.



ვანკუვერის ოლიმპიადის ანტისადოპინგო ლაბორატორია მზად არის მუშაობის დასაწყებად. უახლოესი სამი კვირის განმავლობაში ცენტრის სპეციალისტები ორი ათასზე მეტ სინჯს აიღებენ, მათ შორის 400 სისხლის ანალიზი იქნება.

ლაბორატორია ყველაზე თანამედროვე მაღალტექნოლოგიური მოწყობილობით არის აღჭურვილი, ცენტრის ექიმებს კი შეუძლიათ 24 საათში გამოიკვლიონ სინჯები და მათი საბოლოო შედეგები წარმოადგინონ. *„ოლიმპიური სოფლის*

# ჰოკეისტებსაც შეამოწმებენ

*გახსნის დღიდან ჩვენმა ექსპერტებმა უკვე 420 სინჯი აიღეს, მაგრამ დოპინგზე არც ერთს არ უჩვენებია დადებითი შედეგი"*, - ამბობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე **არნე ლუნგკვისტი**.

მანვე ისიც აღნიშნა, რომ „ვერც ერთი ლაბორატორია ვერ იძლევა დოპინგის აღმოჩენის ასპროცენტიან გარანტიას". ლუნგკვისტის სიტყვებით, ფარმაკოლოგია სწრაფი ტემპებით ვითარდება და ბაზარზე პრაქტიკულად ყოველდღე ჩნდება „ორმაგი დანიშნულების მედიკამენტები".

სხვათა შორის, თამაშების მიმდინარეობისას სხვა ოლიმპიელების მსგავსად დოპინგშემოწმებას ჰოკეის ეროვნული ლიგის ვარსკვლავებიც გაივლიან. დოპინგლაბორატორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი **კრისტიანა ეიოტი** აცხადებს, რომ NHL-ის ჰოკეისტები უკვე შეამოწმეს დოპინგზე, მაგრამ გამორიცხული არ არის დამატებითი ტესტების ჩატარება.

# სნოუბორდისტი ყველაზე მდიდარია

## კანადელები ცეცხლის დანთებას გრეტცკის ანდობენ

ამერიკულმა ჟურნალმა „ფორსბმა", რომელიც ტრადიციულად მდიდარი ადამიანების რეიტინგებს ადგენს, ოლიმპიადის ყველაზე შეძლებული მონაწილეების სია გამოაქვეყნა.

სიის სათავეში 23 წლის სნოუბორდისტ **შონ უაიტს** ვხედავთ, რომელმაც გასულ სეზონში 8 მილიონ დოლარზე მეტი გამოიმუშავა. ოდნავ ნაკლები შემოსავალი აქვს 19 წლის სამხრეთკორეელ მოციგურავე **კიმ იუ ნას**, თუმცა მანაც შეძლო 8-მილიონიანი ზღვრის გადალახვა. მესამეზეა ამერიკელი სამთო მოთხილამურე **ლინდსი ვონი** - 3 მილიონი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეიტინგში არ შედიან ჰოკეის ეროვნული ლიგის ვარსკვლავები, თორემ სიის ზედა ადგილებს სწორედ ისინი დაიკავებდნენ.

■ ■ ■

კანადური გამოცემა Globe and Mail-ის მკითხველებს სურთ, რომ ვანკუვერის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე ცეცხლის დანთების პატივი ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტს, ლეგენდარულ **უეინ გრეტცკის** მიენიჭოს.

გრეტცკიმ გამოკითხულთა ხმების 25 პროცენტი მიიღო, მეორე ადგილი ერგო პარალიმპიური თამაშების მონაწილე **რიკ ჰანსენს** - 17 პროცენტი, მესამეზეა ციგურებით სრბოლაში ოლიმპიადების ექვსგზის პრიზიორი **სინდი კლასენი** - 13 პროცენტი.

■ ■ ■

ვანკუვერი ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე თბილი დედაქალაქი გახდება. თებერვალში ოლიმპიადის მას-



პინძელ ქალაქში ტემპერატურა საშუალოდ 4.8 გრადუსია და იქ დღემდე არ მოსულა თოვლი. საბედნიეროდ უისტლერში, სადაც სათხილამურო სტარტები უნდა გაიმართოს, უფრო ცივა, ვიდრე ვანკუვერში. ცნობისთვის, წინა ოლიმპიადები დათოვლილ ქალაქებში მიმდინარეობდა და იქ საშუალო ტემპერატურა მინუს 2.3 გრადუსს შეადგენდა.

საერთოდ, თეთრი ოლიმპიადები ისეთ ქალაქებში ტარდებოდა, სადაც დიდი რაოდენობით თოვლი მოდის. მაგალითად, კალგარიში (1988) საშუალოდ თოვლის საფრის სიმაღლე 135 სანტიმეტრს აღწევს, სოლტ-ლეიკ-სიტიში (2002) ეს მაჩვენებელი 163 სანტიმეტრია, ნაგანოში (1998) - 175, საპოროში (1972) - 295. ვანკუვერში კი 48 სანტიმეტრი თოვლი მოდის და თან ის ორ-სამ დღეში დნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ოტავა-კალგარი 3:2**

1:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ჰაგმანი-21 (იგინლა-29, სტაიანი-26), 1:1 კოვალიოვი-15 (კუბა-20, სპეცა-16), 1:2 სტაიანი-18 (იგინლა-30, ჰაგმანი-15), 2:2 ი. რუუტუ-9 (ვინჩესტერი-7), 3:2 სპეცა-13 (ჩიჩუ-9).

**კაროლინა-ფლორიდა 4:1**

0:0, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ი. იოკინენი-21 (ე. სტაალი-28, კულენი-27), 1:1 სტილმანი-11 (უეისი-27, მაკეიბი-18), 2:1 პიტკანენი-4 (რეი უიტნი-28, ა. უორდი-10), 3:1 კულენი-12 (გლისონი-12, კოსტოპულოსი-9), 4:1 ტ. რუუტუ-12 (იელე-3, კულენი-28).

**ტამპა ბეი-ვანკუვერი 3:1**

1:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 სტემკოსი-33 (სენტ ლუისი-46, მელოუნი-21), 1:1 კესლერი-15 (ერჰოფი-18), 2:1 სენტ ლუისი-19, 3:1 სენტ ლუისი-20 (სტემკოსი-30, დაუნი-20).

**სტ. ლუისი-დეტროიტი 4:3 (ბ)**

0:1, 2:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 დრეიპერი-7 (ჯ. ერიქსონი-8, ჰელმი-9), 1:1 კარია-11 (პერონი-18, ბეკსი-20), 2:1 კარია-12 (ბეკსი-21, ჯეკმენი-12), 3:1 ენდი მაკდონალდი-18 (ე. ჯონსონი-22, კოლაიაკოვო-13), 3:2 დაციუკი-16 (ზეტერბერგი-30, ფრანცენი-2), 3:3 ფილპულა-6 (ბერტუცი-18, რაფალსკი-24).

**ბულიტები გაიტანეს:** ოში (სენტ ლუისი), ჯ. უილიამსი (დეტროიტი), ბოიესი (სენტ ლუისი).

**ჩიკაგო-დალასი 4:3 (ბ)**

2:2, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 რიბეირო-11 (ჯ. ნეილი-20, ბრუნსტრიომი-9), 1:1 პ. კეინი-23 (შარპი-29, სიბრუკი-19), 1:2 ჯ. ნეილი-24 (ბ. რიჩარდსი-47, ვოივიტკა-3), 2:2 პ. კეინი-24 (შარპი-30, ბოლანდი-5), 3:2 ბროუერი-18 (მარიან ჰოსა-17, ვერსტეეგი-20), 3:3 ლ. ერიქსონი-23 (ბ. რიჩარდსი-48, ჯ. ნეილი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** ვერსტეეგი (ჩიკაგო).

**აილენდერსი-ნეშვილი 4:3 (ბ)**

0:0, 2:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მეიერი-2 (შრემპი-13, შტრაიტი-23), 1:1 კ. ო'რაილი-1, 1:2 ჯ. უორდი-12 (სმიტსონი-4, ჰამჰუისი-11), 2:2 ჟერვე-2 (მარტინი-1, შრემპი-14), 2:3 სალივანი-12 (ერატი-17, არნოტი-20), 3:3 შტრაიტი-8 (მარტინი-2, ოკსოპო-26).

**ბულიტები გაიტანეს:** ნილსენი (აილენდერსი), ერატი (ნეშვილი), ტავარესი (აილენდერსი).

**ბაფალო-ბოსტონი 2:3 (ბ)**

0:2, 2:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პეი-8 (სავარი-20, შატანი-3), 0:2 პეი-9 (ხარა-27, მორისი-20), 1:2 დ. როი-13 (ტიმ კონოლი-39, პომინვილი-27), 2:2 მიერსი-8 (გოსტადი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** პომინვილი (ბაფალო), შტურმი (ბოსტონი), კრეისი (ბოსტონი).

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| არსენალი-ლივერპული | 1:0 |
| ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ | 1:1 |
| ვესტ ჰემი-ბირმინგემი | 2:0 |
| ვულვზი-ტოტენჰემი | 1:0 |
| ბლექბერნი-ჰალი | 1:0 |
| ევერტონი-ჩელსი | 2:1 |
| **იტალია** | |
| პარმა-ინტერი | 1:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ხეტაფე-სევილია | 1:0 (0:2) |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ბურგჰაუზენი-კილი | 0:3 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| აუგსბურგი-კიოლნი | 2:0 |
| ბაიერნი-ფიურტი | 6:2 |
| ოსნაბრიუკი-შალკე | 0:1 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ტულუზი-ბრესტი | 0:2 |
| ოსერი-პლაბენეკი | 4:0 |
| სტ. ეტიენი-ვანი | 2:0 |
| ბორდო-მონაკო | 0:2 |
| ლანსი-მარსელი | 3:1 |
| **ბელგია** | |
| შარლერუა-ლოკერენი | გადაიდო |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| სერკლი-რუზელარე | გადაიდო |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | |
| პორტუ-აკადემიკა | 1:0 |
| **შოტლანდია** | |
| სელტიკი-ჰართსი | 2:0 |
| დანდი იუნ-ჰემილტონი | 0:2 |
| ფალკირკი-კილმარნოკი | 0:1 |
| ჰიბერნიანი-აბერდინი | 2:2 |
| მაზერველი-რეინჯერსი | 1:1 |
| სტ. მირენი-სტ. ჯონსტონი | 1:1 |
| **I დივიზიონი** | |
| ეირი-პარტიკი | გადაიდო |
| **III დივიზიონი** | |
| ისტ სტირლინგი-ელჯინი | 2:0 |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| შტურმი-ზალცბურგი | 2:0 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| კავალა-პანიონიოსი | 0:0 შეწყდა |
| ქსანტი-არისი | 1:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ტრაბზონი-ბუიუქშეჰირი | 1:0 (1:1) |
| გალათასარაი-ანთალია | 3:2 (1:2) |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-პროკომი | 84:73 |
| ოლიმპიაკოსი-ციბონა | 78:75 |
| უნიკახა-ჟალგირისი | 86:68 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| ილვესი-კერპეტი | 4:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. კოსტა დო საუიპე** | |
| მაშადო-ანდრეევი | 3:6, 7:5, 4:6 |
| **ATP. როტერდამი** | |
| ბერერი-კლემანი | 7:6, 4:6, 6:4 |
| მონფილსი-ო. როხუსი | 4:6, 6:1, 6:2 |
| სიოდერლინგი-სისლინგი | 7:6, 6:2 |
| მელცერი-ტროიცკი | 6:3, 6:0 |
| დავიდენკო-ფ. ლოპესი | 6:4, 6:2 |
| ჯ. ბლეიკი-ბაღდატისი | 4:6, 2:6 |
| რობრედო-ფ. მაიერი | 4:6, 6:3, 3:6 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| შტეპანეკი-მალისი | 3:6, 4:6 |
| კოლშრაიბერი-სელა | 6:2, 6:0 |
| ბერდიხი-ნიემინენი | 6:3, 6:2 |
| **WTA. პარიზი** | |
| რეზაიე-როდინა | 6:4, 6:4 |
| ვიკმაიერი-მარტიჩი | 4:6, 6:3, 5:7 |
| დემენტიევა-პავლიუჩენკოვა | 6:4, 6:4 |
| ვესნინა-გარბინი | 4:6, 6:2, 2:6 |
| პენეტა-კლეიბანოვა | 7:6, 6:1 |
| **WTA. პატაია სიტი** | |
| დატე-როდიონოვა | 1:6, 0:6 |
| მირზა-მალეკი | 6:3, 4:6, 3:6 |
| გორჯესი-კარატანჩევა | 2:6, 1:6 |
| ლისიცკი-ტანასუგარნი | 3:6, 6:3, 5:7 |
| შვედოვა-სხეპერსი | 7:6, 6:3 |

## TV პროგრამა

### 11 თებერვალი. ხუთშაბათი

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:15 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
08:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
10:25 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. III ტური. ცსკა-პროკომი.
12:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ.
13:55 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
15:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
17:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
19:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
21:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:10 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
21:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:10 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. III ტურის მიმოხილვა.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. III ტური. ბარსელონა-პანათინაიკოსი (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ.
03:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ვაშინგტონი (LIVE).
06:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. III ტური. ცსკა-პროკომი.

#### SPORT 2 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
09:50 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
10:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
12:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-პარმა.
13:45 პოკერი.
15:30 მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი. კოპენჰაგენი. დანია.
18:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
20:15 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
20:40 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. III ტური. ცსკა-პროკომი.
22:20 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
00:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ბოსტონი.
02:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. III ტური. ბარსელონა-პანათინაიკოსი.
03:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:45 მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი. კოპენჰაგენი. დანია.
07:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.

#### EUROSPORT

11:30 ვანკუვერი 2010. ტელეჟურნალი.
11:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. ბიშოფსჰოფენი. ავსტრია.
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კლიგენტალი. გერმანია.
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
15:00 ველოსპორტი. კატარის ტური. IV ეტაპი.
16:00 ველოსპორტი. კატარის ტური. V ეტაპი (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:45 ვანკუვერი 2010. ტელეჟურნალი.
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი.
22:20 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
00:15 ბრძოლა წესების გარეშე.
02:20 პრო-რესტლინგი.
03:50 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
04:05 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
04:20 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი.

კრივი

# ჰოლიფილდი ისევ იჩხუბებს



პრომოუტერული კომპანია Sauerland ვეტერანი მოკრივეების - 44 წლის **ბრაიან ნილსენისა** და 47 წლის **ევანდერ ჰოლიფილდის** ბრძოლის ორგანიზებას აპირებს.

თუმცა ამ საინტერესო ორთაბრძოლის ჩასატარებლად დანიელი მოკრივის რინგზე დაბრუნება იქნება საჭირო. ნილსენმა კარიერა ექვსი წლის წინ მუხლის ტრავმის გამო დაასრულა. რინგზე სავარაუდო დაბრუნების შესახებ დანიელი აცხადებს, რომ ამ ნაბიჯს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადგამს, თუ ძველი ტრავმა ხელს არ შეუშლის მოსამზადებელი პერიოდის დროს.

ამ ცნობამ დანიაში დიდი ეიფორია გამოიწვია. წერენ, რომ Sauerland ნილსენს რინგზე გასვლაში მილიონ დოლარს სთავაზობს.

რაც შეეხება 47 წლის ჰოლიფილდს, ის ვარჯიშებს აგრძელებს და არ აპირებს დიდი სპორტიდან წასვლას. ამერიკელი მოკრივე დაინტერესებულია ამ ბრძოლის გამართვით და ნილსენის თანხმობას ელოდება.




ფორმულა 1




# ორი პრეზენტაცია და წვიმა ხერესში

გუშინ, ხერესში წინასასეზონო ტესტების მეორე ოფიციალური სერია დაიწყო, მანამდე კი ორმა გუნდმა წარადგინა ახალი ბოლიდი. პირველი იყო ინდური საჯინიბო - „ფორს ინდია".

ინდოელი ბიზნესმენის **ვიჯეი მალიას** ახალმა პირმშომ ძველი ფერები შეინარჩუნა, თუმცა შეიცვალა წინა ანტიფრთის დიზაინი და სხვა გუნდების მანქანების მსგავსად, სიგრძეშიც მოიმატა. როგორც იცით, ეს იმით არის განპირობებული, რომ 2010 წელს რბოლების მსვლელობისას საწვავის შევსება აკრძალულია და ამიტომაც მანქანებში დიდი ავზებია დაყენებული.

2009 წელი „ფორს ინდიასთვის" წარმატებული იყო - გუნდმა არსებობის ისტორიაში პირველი ქულები და პირველი პოდიუმი მოიპოვა. საჯინიბოს პილოტები - გერმანელი **ადრიან სუტილი** და იტალიელი **ვიტანტონიო ლიუცი** 2010 წელს მინიმუმ ამ შედეგის გამეორებას გეგმავენ, თუმცა იმასაც უსვამენ ხაზს, რომ შარშანდელთან შედარებით უფრო ძლიერები გახდნენ და შესაძლოა, მეტს მიაღწიონ ჩემპიონატში.

ამის შემდეგ „რედ ბულის" ჯერი დადგა. აქაც ტრადიციული ფერები და ბევრი საინტერესო ტექნიკური სიახლე ვიხილეთ, განსაკუთრებით ეს აეროდინამიკურ მიგნებებს შეეხება.

ორივე მანქანა ჩემპიონატის სხვა მონაწილეებთან ერთად (კვლავ ვერ ვიხილეთ ტესტებზე სამი დებიუტანტი - USF1, „ლოტუსი" და „კამპოსი") ხერესის ავტოდრომის ტრასაზე გავიდა და ოთხდღიან სატესტო სერიას შეუდგა, თუმცა „რედ ბულისთვის" ვარჯიში ნაადრევად დასრულდა, რადგან ავსტრალიელი **მარკ უებერის** მანქანას ძრავასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა.

გუშინ სხვა პილოტებსაც არ გაუმართლათ, რადგან მათ მზადებაში წვიმა ჩაერია. ამინდის გაფუჭებამდე ავტომრბოლებს დაახლოებით 10-10 წრე ჰქონდათ გავლილი. იმ მომენტისთვის საუკეთესო დროის ავტორი „მერსედესის" წევრი **ნიკო როსბერგი** იყო - 1 წუთი და 20,927 წამი.

ტესტები წვიმის პირობებშიც გაგრძელდა, თუმცა ტრასაზე აქტიურობამ აშკარად იკლო: მანქანების უმრავლესობა ბოქსებში დაბრუნდა, გუშინდელი დღის ლიდერად კი როსბერგი გამოცხადდა.

მეორე შედეგი ჰქონდა „ტორო როსოს" პილოტ **სებასტიან ბუემის** (1.21,031, ლიდერთან ჩამორჩენა +0.104), მესამე - „უილიამსის" წევრ **ნიკო ჰიულკენბერგს** (1.22,243, +1.316), მეოთხე და მეხუთე - **ფერნანდო ალონსოს** „ფერარისა" (1.22,895, +1.968) და **კამუი კობაიაშის** „ზაუბერს" (1.23,787, +2.860).






ჩოგბურთი

# ჯოკოვიჩების საჩოგბურთო ცენტრი

ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ სერბი ჩოგბურთელი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** არა მხოლოდ ნიჭიერი ჩოგბურთელი, არამედ უნარიანი ბიზნესმენიცაა. მან „ადიდასთან" ერთად გამოუშვა სპორტული ტანსაცმლის ერთობლივი ხაზი, გახსნა რესტორნების საკუთარი ქსელი და ATP-ის ტურნირი ჩაატარა სერბეთში (პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში). თუმცა 22 წლის ნოვაკს უფრო გრანდიოზული გეგმები აქვს.

დღეისთვის ჯოკოვიჩების ოჯახი ბელგრადის ცენტრში საჩოგბურთო ცენტრის მშენებლობით არის დაკავებული. სწორედ ამ კომპლექსში უნდა გაიმართოს ATP-ის ყოველწლიური ტურნირი, რომლის დებიუტი 2009 წელს შედგა.

უძრავი ქონების სააგენტო Beobuild-მა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა მომავალი კომპლექსის დეტალური გეგმა. მთავარ კორტზე ტრიბუნები 5 ათას მაყურებელზე იქნება გათვლილი. უნდა აღინიშნოს, რომ მომავალი სტადიონის აგებულება „როლან გაროსის" მსგავსი იქნება - ცენტრალური კორტის გარშემო პატარა ღია და დახურული მოედნები განთავსდება.

ჯოკოვიჩების ოჯახის საკუთარი კომპანია - „ოჯახური სპორტი" ასევე საკუთარ თავზე იღებს სტუმარი ჩოგბურთელებისთვის საჭირო პირობების შექმნას: ამისთვის აშენდება სასტუმრო, რესტორანი, მაღაზიები...

მაგრამ ასეთი გრანდიოზული პროექტის მთავარი მიზანი არა ATP-ის ტურნირის მასპინძლობა, არამედ ნიჭიერი სერბი ბავშვების განვითარება იქნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**